




ՏԵԽՆՈԵՄԻ

ARCHEION

XIV





სქანობ ხასნიჟიჯი  
ხამჩანოჯუმო

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის  
საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო*

*Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-  
Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი ო ნ ი  
**A R C H E I O N**  
**XIV**

თბილისი 2017 Tbilisi

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი**

**რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე**

**სარედაქციო საბჭო:**

თეონა იაშვილი (თბილისი), სოსო სტურუა, ანზორ თხილაიშვილი, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო კიკავა, ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი), მერაბ კეზევაძე (ქუთაისი)

**Maia Ivanishvili** – chairman of editorial board

**Tamaz Putkaradze** - editor

**Editorial Board:**

Teona Iashvili (Tbilisi), Soso Sturua, Anzor Tkhilaishvili, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili (Batumi), Merab Kezevadze (Kutaisi).

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.

ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style reserved

აჭარის საარქივო სამმართველო, ტელეფონი: 27 52 10  
ვებ გვერდი: <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2017

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

**საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები აჭარის საარქივო  
სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით**

საქართველოს ყოველთვის ჰქონდათ ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობები თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ სახანოებთან, რომლებიც ხშირად სპარსეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში იყვნენ მოქცეულნი. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ნაწილი მკვიდრდებოდა კიდევ საქართველოში ფეოდალური მონარქიის საზღვრების გაფართოებისა თუ შევიწროების პირობებში. უცხოტომელთა მიგრაციას განაპირობებდა აგრეთვე ისტორიული ბელუკუდმართობანი და ცხოვრებისათვის ვარგისი სამეურნეო პირობები.

ადრეულ შუა საუკუნეებში თურქულენოვანი ტომების საქართველოში შემოსვლისა და დამკვიდრების შესახებ ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ მათი მოძრაობა მეზობელ სომხეთსა და ალბანეთში მიგვანიშნებს, რომ მეტნაკლები ინტენსივობით მსგავს პროცესებს საქართველოშიც უნდა ჰქონოდა ადგილი. ზოგიერთი აზერბაიჯანელი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ თურქულენოვანი ტომები (ბუნთურქები, საბირები) კავკასიაში და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე ძვ. წ. IV საუკუნიდან ჩნდებიან, მაგრამ ეს მოსაზრებები ჯერ კიდევ ჰიპოთეზის დონეზე რჩებიან.

თურქთა პირველი მასობრივი შემოსვლა-დამკვიდრება აღმოსავლეთ საქართველოში „დიდ თურქობას“ უკავშირდება. ამიერკავკასიაში თურქსეღჩუკები XI საუკუნის 30-იან წლებში გამოჩნდნენ. მეფე გიორგი II-ის ხანაში (1072-1089) დაიწყო „დიდი თურქობა“. იქიდან მოკიდებული სეღჩუკები ყოველ წელიწადს მოდიოდნენ, უკან იშვიათად ბრუნდებოდნენ და აქვე სახლდებოდნენ. მომთაბარეთა ჩამოსახლება უფრო და უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებდა. დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) მიერ ჩამოსახლებული ყივჩაყები ასევე თურქული მოდგმისა იყვნენ, მაგრამ მოგვიანებით მათი უმეტესობა კვლავ ჩრდილო კავკასიაში გაბრუნდა, ხოლო მეორე ნაწილი საქართველდა.

მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა XV-XVI საუკუნეებში, გააქტიურა საქართველოში უცხოტომელთა დამკვიდრების პროცესი. XVII საუკუნემდე მომთაბარე თურქმენების ჩამოსახლებასა და დამკვიდრებას ძირითადად ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა და ისინი ადვილად ახერხებდნენ ქართულ მოსახლეობასთან ინტეგრაციას. XVII საუკუნის დამდევს შაჰ-აბას პირველმა ქართლის მეფე გიორგის „საჩუქარი“ მოსთხოვა, სანაცვლოდ კი ირანში რამდენიმე სოფელი და 300 თუჰანი შესთავაზა. შაჰმა „საჩუქარ“ მიწაზე ღორეს სახანო შექმნა, იქ ბორჩალოს მუსლიმი ტომები ჩამოსახლდა და აღჯაყალის ციხისთავს დაუქვემდებარა. ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს: როდესაც შაჰ-აბასმა წაართვა აღჯაყალად წოდებული ციხე (თეთრი ციხე) მეფე გიორგის, „მან მოიყვანა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ“. ღორის ხანად გამუსლიმებული ქართველი ფეოდალი დანიშნეს. აღსანიშნავია, რომ მანამ-

დე საქართველოს ტერიტორიაზე ტოპონიმი „ბორჩალო“ არსად გვხვდება (<https://ka.wikipedia.org/wiki>)

შაჰ-აბასმა ქართლის ანალოგიური პოლიტიკა გაატარა კახეთშიც. მან კახეთის მეფისაგან კაკენისელი იჩუქა და მომთაბარეთა ჩასახლება დაიწყო. ადგილობრივი მოსახლეობა აყარა და ირანში გადაასახლა, კაკენისელის სასულთნოში კი წახურელებმა დაიწყეს ჩამოსახლება. თურქმენული მოდგმის ტომების დამკვიდრების შემდეგ აქტუალური გახდა ელის საკითხი. ვახტანგ VI-ის „დასტურდამალის“ „ელის დებულებაში“ ჩამოთვლილია ქართლისა და კახეთის ყიზილბაშური თემები, რომლებიც ტომთა დაშლა-დანაწევრების შედეგად წარმოქმნილან, ესენია: ჯავანშირი, ქეშალუ, ნაჯბადილუ, არანლუ, დემურჩი, ჰასანლუ, აჰმადლუ, ხილუ და ა.შ. ისინი ცენტრალურ და სამხრეთ ირანიდან შემოვიდნენ და აქედან მასობრივად გასახლებული ადგილობრივი მოსახლეობის ადგილებზე დაფუძნდნენ (<https://ka.wikipedia.org/wiki>). ვახტანგ მეფე ცდილობდა საკანონმდებლო საფუძველი შეექმნა ქართულ სამეფოში მათი ინტეგრირებისათვის.

თურქმენთა მიგრაცია XVIII საუკუნეშიც გრძელდებოდა. ისინი ძირითადად კახეთში (თელავთან 5 სოფელში) და ქვემო ქართლში (დღევანდელი მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში) დანაწილდნენ. მოგვიანებით, ელებმა გააფართოვეს საცხოვრისი, შეაღწიეს დმანისის ხეობაში, აუყვნენ ქვიახრამის ხეობების გაყოლებით აღმოსავლეთისაკენ და მდინარე მტკვრის გაღმა მხარეზე ლილოებსა და ყარაიის მდიდარ საძოვრებს დაეპატრონნენ (<https://ka.wikipedia.org/wiki>). ერეკლე მეორემ მე-18 ს. შუა ხანებში სცადა ეთნიკური არაქართველების მეშვეობით გაუკაცრიელებული მიწების შევსება. ამ მიზნით მუღანის ველიდან გადმოასახლა სპარსელებისაგან შევიწროებული 250 თურქმენული ოჯახი. მათგან შეიქმნა სოფლები: მუღანლო, ყაფანახი და ყიზილ-ჰაჯილი, რომლებიც დღეს მარნეულის რაიონში მდებარეობენ (<https://ka.wikipedia.org/wiki>).

ზოგადად, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების წინაპრები თითქმის მთლიანად სპარსეთიდან და თურქეთიდან მოვიდნენ გვიან ფეოდალურ ეპოქაში. მათი ჩამოსახლება გარეშე აგრესიული ძალების სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი და მიზნად ისახავდა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციების კოლონიზაციას. საქართველოზე გამუდმებული თავდასხმების შედეგად ირანელი და თურქი დამპყრობლები ხშირად მიმართავდნენ თურქული ტომების ჩამოსახლებას იმ მიწებზე, რომლებიც მანამდე ქართველ მოსახლეობას ეკავა. ახალი დასახლებანი თანდათან იკავებდნენ გაუკაცრიელებულ ქართულ სოფლებს. ამ სოფლების მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი მტერს შეეწირა უთანასწორო ბრძოლაში ან ტყვედ იქნა წაყვანილი უცხოეთში; გადარჩენილნი კი იძულებული იყვნენ თავი შეეფარებინათ სამშობლოს სხვა კუთხეებში ([http://www.geogen.ge/ge/main\\_nationalities\\_georgia/azerbaijanians](http://www.geogen.ge/ge/main_nationalities_georgia/azerbaijanians)).

სხვადასხვა ხასიათის სამხედრო-პოლიტიკური აქციების შედეგად იშვიათი როლი იყო საქართველოს ტერიტორიაზე არაქართველთა ჩამოსახლების შემთხვევები. მოსულთა ნაწილი ითქვიფებოდა ადგილობრივ ქართველ

მოსახლეობაში და განიცდიდა ასიმილაციას, ნაწილი კი ინარჩუნებდა თავის ეროვნებას ([http://www.geogen.ge/ge/main\\_nationalities\\_georgia/azerbaijanians](http://www.geogen.ge/ge/main_nationalities_georgia/azerbaijanians)).

რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, მათი ასიმილაცია სხვა ხალხებში ძალზე იშვიათი მოვლენაა. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები არც მექანიკური მოძრაობის (მიგრაცია) მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან. სამაგიეროდ მაღალია ბუნებრივი მატების მაჩვენებლები. 20 წლის მანძილზე (1959-1979 წწ.) საქართველოს მთელი მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 24%-ით, აზერბაიჯანელების კი 66%-ით, ანუ მათი საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 2,66%-ს. (ვ. ჯაოშვილი, 1996:112-290).

სხვა ეთნიკური უმცირესობებისაგან განსხვავებით, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მეტი ნაწილი სოფლად ცხოვრობს. 1970 წელს რესპუბლიკის ქალაქებში ცხოვრობდა მათი საერთო რაოდენობის 18,2%. 1979 წ. თბილისში ცხოვრობდა 12,9 ათასი აზერბაიჯანელი, რუსთავეში - 7,4 ათასი. აზერბაიჯანელები შეადგენდნენ ქვემო ქართლის სოფლის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს (მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის რაიონებში). მათი განსახლების მეორე არეალია კახეთი - საგარეჯოს, ლავოდეხის, თელავის რაიონების ტერიტორია. აზერბაიჯანული სოფლები არსებობს შიდა ქართლში - კასპის, მცხეთის და ქარელის რაიონებში, აგრეთვე თრიალეთში და თეთრიწყაროს რაიონში. რესპუბლიკის დანარჩენ რეგიონებში აზერბაიჯანელების რაოდენობა შედარებით უმნიშვნელოა.

1865 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართველოში ცხოვრობდა 51,5 აზერბაიჯანელი; 1886 წელს - 62,6; 1897 წელს - 81,1. აზერბაიჯანელთა რაოდენობამ საქართველოში მოიმატა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. 1926 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში იყო 143,951 აზერბაიჯანელი; 1939 წლის აღწერით კი 187,621; 1959 წელს - 153,6 (მეორე მსოფლიო ომმა განაპირობა 1959 წლისათვის მათი რაოდენობის შემცირება), 1970 წელს - 217,8; 1979 - 255,7; 1989 წელს - 307,5. ბოლო 2002 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 284,761 აზერბაიჯანელი, მათ შორის თბილისში - 10,942 (საქართველოს მოსახლეობის აღწერის ძირითადი შედეგები, თბილისი 2002).

**აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულია საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობათა ამსახველი უნიკალური წერილობითი დოკუმენტები** (ფონდი რ 89, ი-7, ი-6, რ-1, რ-2, რ-188, რ-77, რ-4, რ-572, რ-425), რომლებშიც წარმოდგენილია ბათუმის საქალაქო სათათბიროს სხდომის ოქმები კასპია-შავი ზღვის ნავთობწარმოების, სავაჭრო საზოგადოებისათვის ქალაქის ტერიტორიაზე ნავთობ სადენის გაყვანის, კასპია-შავი ზღვის საზოგადოების მიერ მიწის ნაკვეთის იჯარით აღების შესახებ, აქვე წარმოდგენილია ცნობები ბათუმში აზერბაიჯანის საკონსულოს შემადგენლობის, ამიერკავკასიის რკინიგზის, შავი და კასპიის საზღვაო ტრანსპორტს შორის გადაზიდვების მოსაგვარებლად სპეციალურად ბიუროს დაარსების, ბათუმში ნავთობგადამტუმბავი ქარხნის მშენებლობისათვის მიწის გამოყოფის და სხვა საკითხების შესახებ.

საარქივო ფონდებში გვხვდება მნიშვნელოვანი მონაცემები ამიერკავკასიის რკინიგზის, შავი და კასპიის საზღვაო ტრანსპორტით ადგილობრივი

გადაზიდვების საკითხებს. დოკუმენტის მიხედვით, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ფარგლებში გაყვანილი რკინიგზის ხაზები გაერთიანებულია ამიერკავკასიის რკინიგზის ერთიან ქსელში, რომელსაც სათავეში უდგას ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო. ცენტრალური ოფისი განთავსებულია თბილისში. მისი ხელმძღვანელი შედის ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობაში (ასსცსა, ფ. რ-ი, ს. N48, ფურც. 121-122).

დოკუმენტებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ბაქო-თბილისის რკინიგზის მმართველობის წესების შესახებ. საქმეში დაცულია მასალები ზოგადად ბაქო-თბილისი-ბათუმის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის ისტორიის საკითხები, რომელიც ასახულია რკინიგზის გახსნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში. მისი ავტორია ცნობილი არქივისტი ს. ტაბაღუა. ავტორი დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით განიხილავს ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანის საკითხებს და მას სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანებს უკავშირებს.

რუსეთის იმპერიაში პირველი რკინიგზა გაუყვანიათ **1837 წელს პეტერბურგსა და ცარსკოე სელოს შორის**. კავკასიაში რკინიგზის ხაზის გაყვანა სამხედრო-სტრატეგიული ამოცანებითაც იყო განპირობებული, თუმცა არც ეკონომიკური ინტერესები იყო მეორეხარისხოვანი. იგი იმპერიისათვის იქნებოდა შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო (ასსცსა, ფ. რ-89, ს. N 260, ფურც. 2). დოკუმენტების მიხედვით, რკინიგზის განვითარების გეგმა **ბ. ი. სტატკოვსკის** სახელთანაა დაკავშირებული. **1857 წელს** კავკასიის ჯარების მთავარ შტაბში სტატკოვსკიმ წარადგინა მოხსენებითი ბარათი ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობის აუცილებლობის დასაბუთებით. რკინიგზას ერთმანეთისათვის უნდა დაეკავშირებინა ბაქო და თბილისი. იმავე წელს წამოიჭრა საკითხი ფოთსა და თბილისს შორის რკინიგზის გაყვანის შესახებ. პროექტის ავტორები **იყვნენ ვ. ზურსკი და პ. ჩერევინი**. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ **1861 წ.** რკინიგზის მშენებლობის იდეა მოიწონა. ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის მოსაგვარებლად **თბილისში 1862 წ.** შეიქმნა განსაკუთრებული კომიტეტი.

**1863 წ.** გადაწყვეტილებით ფოთსა და თბილისს შორის რკინიგზის მშენებლობა გამბას **პროექტით** უნდა დაწყებულიყო. **სარკინიგზო ხაზის მშენებლობა დაიწყო 1865 წელს. 7 წლის შემდეგ, 1872 წ. 10 ოქტომბერს** ამიერკავკასიაში მოძრაობა დაიწყო პირველმა მატარებელმა ფოთსა და თბილისს შორის. აზერბაიჯანის ნავთობის ექსპორტის საჭიროება დღის წესრიგში აყენებდა რკინიგზის გაყვანას ბათუმამდე. **1880 წელს ერთდროულად** დაიწყო მუშაობა როგორც ბათუმიდან, ასევე სამტრედიიდან. მშენებლობა დასრულდა **1883 წ. 8 მაისს**. სამტრედიის ხაზი ფოთი-თბილისის ხაზს **1883 წ. 21 მაისს** შეუერთდა და მატარებელმაც დაიწყო ყოველდღიური მიმოსვლა ბაქო-თბილისი-ბათუმის ხაზზე. ფოთი-თბილისის მგზავრობის ხანგრძლივობა 27 საათი იყო (ასსცსა, ფ. რ-89, ს. N 620, ფურც. 5).

ბაქო-ბათუმის რკინიგზამ ეკონომიკურთან ერთად ხელი შეუწყო ორი რესპუბლიკის ურთიერთობათა შემდგომ გაღრმავებას. ნავთობის ექსპორტის სწრაფმა ზრდამ განაპირობა ბათუმში მსხვილი სამრეწველო ობიექტების

**გაჩენა.** შესაბამისად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობაც (ასსცსა, ფ. რ-89, ს. N 620, ფურც.6).

ნავთობის წარმოების განვითარებამ **წამოჭრა ნავთობსადენის გაყვანის აუცილებლობის საკითხი.** ეს პრობლემა არაერთხელ გამხდარა ბათუმის საქალაქო სათათბიროს მსჯელობის საგანი. ნავთობსადენის გაყვანის უფლებების მისაღებად სავაჭრო საზოგადოებას 1888 წელს მიუმართავს ბათუმის თვითმმართველობისათვის, რაც დასტურდება საარქივო ფონდებში დაცული ერთ-ერთი სხდომის ოქმიდან (ასსცსა, ფ. ი-7, ს. N 11, ფურც. 28-21).

ნავთობწარმოების შესახებ გადაწყვეტილებათა მისაღებად **1889 წ. 22 აპრილს ბაქოში ჩატარდა რიგით მეხუთე ყრილობა,** რომელმაც ჩამოაყალიბა 11 პუნქტიანი პროგრამა. იგი ითვალისწინებდა გზების გაყვანას, კეთილმოწყობით სამუშაოებს, სკოლებისა და საავადმყოფოების გახსნას, სამრეწველო ობიექტების განათებას, სამრეწველო პოლიციის ჩამოყალიბებას და სხვა საკითხებს (ასსცსა, ფ. ი-7, ს. N 86, ფ. 16).

ქალაქის თავის მოხსენებებსა და გამოსვლებში ხშირად ფიგურირებდა ნავთობის მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და კასპია-შავი ზღვის ნავთობის მრეწველთა საზოგადოებასთან ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ურთიერთობის საკითხი. მხედველობაში გვაქვს ქალაქის თავის 1890 წლის მოხსენება, რომელიც დაცულია ი-7 ფონდში (ასსცსა, ფ. ი-7, ს. N 104, ფურც. 10). ქალაქის ხელისუფლება ცდილობდა ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინათ ნავთობის წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნულის გამოხატულება იყო დამატებითი მიწის გაცემა ბათუმის ერთ-ერთ უსახელო ქუჩაზე, რაც დაფიქსირებულია ბათუმის საქალაქო სათათბიროს 1903 წლის 24 თებერვლის სხდომის ოქმში. დოკუმენტის მიხედვით, სხდომას ხელმძღვანელობდა ქალაქის თავი **გრ. ვოლსკი.** ესწრებოდა სულ 18 ხმოსანი: **პანასევიჩი, გაიდებუროვი, ქიქოძე, სიბირიაკოვი, მაჭუტაძე, მირიმა-ნოვა, ელიავა, ჩილინგაიანი, წერეთელი, საზონოვა, თარუმოვა, ლომინაძე, ომერადა, მუფთი ზადე, სკლიარევსკაია, დიმიტრიადი, ტრიანდაფილიდისი, ბარკალაია, ნაკაშიძე, გოგიჯანოვი, საბაევი, ჯაყელი და ნ ნაკაშიძე.** სხდომას დასწრებია სასულიერო წრის წარმომადგენელიც.

საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია ბათუმის საქალაქო თვითმმართველობას, კასპია-შავი ზღვის და სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების 1893 წლის მოლაპარაკებათა პროექტი. იგი ეხება **საზღვაო არხის გაყვანის უფლების საკითხს,** რომელიც უნდა მინიჭებოდა სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებას (ასსცსა, ფ. ი-6, ს. N101, ფურც.1-7).

საარქივო ფონდებში 1900-ნი წლების სხვა მასალებიცაა წარმოდგენილი. მათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შემფასებელი კომისიის 1927 წლის 17 მაისის სხდომის ოქმი ე. გენკინის თავმჯდომარეობით. სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: მ. გოგიბერიძე (აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე) და ნესტერევი (აზნავთობის თავრე). სხდომაზე დაისვა საკითხი **ნავთობგადასატუმბი ქარხნის მშენებლობის შესახებ.** ამასთან დაკავშირებით აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობამ (აზნავთობმა) დააყენა შუამდგომლობა ნავთობგადასატუმბი ქარხნისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ. 1927 წ. ივნისში

აჭარის ცაკმა და სახკომსაბჭომ მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება აზნავთობის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე დააკავშირებით, **ორთაბათუმში, მდ. ყოროლისწყლის მიმდებარე ტერიტორიაზე 205,97 ჰექტარი მიწის გამოყოფის შესახებ** (ასსცსა, ფ. რ-2, ს. N 682, ფურც. 11). ჰიდროტექნიკური და წყლის შემკრები აღჭურვილობის განთავსებისათვის აზნავთობს დამატებით გადაევა 4 ჰა. მიწა მდ. ყოროლისწყლის ორივე სანაპიროზე (ასსცსა, ფ. რ-2, ს. N 682, ფურც. 11). იქ არსებული მშენებლობები, შენობა-ნაგებობანი დაექვემდებარა რეკვიზიციას და კონფისკაციას (ასსცსა, ფ. რ-2, ს. N 682, ფურც. 11). დადგენილების მიხედვით ქარხნისა და მუშათა დასახლებას უნდა ჰქონოდა ყოროლისწყლიდან და მისი შენაკადებიდან წყლით სარგებლობის უფლება მდ. ლეჩის ჰიდროტექნიკური აღჭურვილობისა და წყალსაცავის გამოკლებით. ამავე დროს აზნავთობი ვალდებული იყო წყლის უკმარისობის შემთხვევაში შეევესო ქალაქის წყალსადენები ბათუმის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტისათვის. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქალაქის აღმასკომს ეძლეოდა მდ. ყოროლისწყლის წყლის გამოყენების უფლება.

დადგენილება ავალებდა აზნავთობს დაეჯავშნა გარკვეული ტერიტორია, რათა შესაძლებელი ყოფილიყო **ბათუმი-მწვანე კონცხის ტრამვაის ხაზის** დაუბრკოლებელი გაყვანა.

უცხოეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის ბათუმში შეიქმნა **აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო ვაჭრობის განვითარების განყოფილებები** (ასსცსა, ფ. რ-89, ს.N 620, ფურც. 8). ქალაქში ჩნდება აზერბაიჯანელთა მაღაზიები და სასტუმროები. ზოგიერთ მაღაზიაში მუშაობდნენ აზერბაიჯანის მოქალაქეები. მათგან დასახელებულია მურად სადიკზადე, რომელსაც შიიტური დღესასწაულის დღეს - 14 თებერვალს დაუკეცია მაღაზია. ამის გამო იგი დააჯარიმეს. საქმეშია ბათუმში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გაცემული მოწმობა. სადიკზადე თავისი განმცხადებით თხოვს სპარსეთის კონსულს ბათუმში მის მიმართ მიღებული სადამსჯელო გადაწყვეტილების (ჯარიმა) გადახედვას (ასსცსა, ფ. რ-2, ს. N48, ფურც. 41, 89,90). ჯარიმა - 15 მანეთით ოქროთი- დაუკისრებიან აგრეთვე სასტუმრო „აზერბაიჯანის“ მეპატრონე ქემალ კომახიძე (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის 1928 წ. 10 თებერვლის N9 გადაწყვეტილება). ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ეკისრებოდა ორი კვირით იძულებითი მუშაობა (ასსცსა, ფ. რ-77, ს.N 15, ფურც. 59).

საქართველო - აზერბაიჯანის კეთილმეზობლური ურთიერთობები გრძელდებოდა მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში. ტრადიცია დღესაც გრძელდება. ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, **1918 წელს აზერბაიჯანისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკებს შორის პირველად დამყარდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები**. 1919 წ. 16 ივნისის ხელშეკრულებით საქართველო და აზერბაიჯანი ერთად უნდა გამოსულიყვნენ დენიკინის მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. ჩვენს ქვეყნებს შორის იყო ტერიტორიული პრობლემა ზაქათალის ოლქთან დაკავშირებით, თუმცა წინააღმდეგობანი შეიარაღებულ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა. 1922-1936 წწ. ორივე ქვეყანა იყო სსრ კავშირის შემადგენელი

ნაწილი ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახით, 1936 წლიდან კი ცალკე რესპუბლიკების სახით გააერთიანეს საბჭოთა იმპერიაში.

1991 წ. ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა აღიდგინეს დამოუკიდებლობა. 1992 წ. ნოემბერში კი ამ ორ ქვეყანას შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები. მალე საქართველო და აზერბაიჯანი გახდნენ სუამის დამფუძნებლები და აქტიურად ჩაებნენ რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროექტებში. მხედველობაში გვაქვს ნავთობსადენი „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა და ა. შ. მე-20 ს. ბოლო ათწლეულში (1990, 1993 წწ.) გაფორმდა ხელშეკრულებები ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროებში თანამშრომლობის შესახებ. 1993 წ. ხელშეკრულებით საქართველომ ივალდებულა, რომ აზერბაიჯანულ გაზს სომხეთს არ მიაწვდიდა. აზერბაიჯანი ცდილობდა საქართველოს დარწმუნებას სომხეთისათვის ბლოკადის გამოცხადების აუცილებლობაში, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ამაზე არ წავიდა.

ჩვენს ქვეყნებს ურთიერთობების განმსაზღვრელი იურიდიული ჩარჩო მოიცავს 100-ზე მეტ ორმხრივ და მრავალმხრივ იურიდიულ დოკუმენტს, ხელშეკრულებასა თუ შეთანხმებას. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია 1996 წელს მიღწეული „შეთანხმება მეგობრობაზე, თანამშრომლობასა და უსაფრთხოებაზე“, რომელსაც თავის მხრივ სხვადასხვა დარგში დადებული მრავალი შეთანხმება მოჰყვა. ქვეყნებს შორის წარმატებული თანამშრომლობა სხვა საქმიანობის სფეროებთან ერთად მოიცავს ვაჭრობასა და ინვესტიციებს, ენერჯეტიკას, ტრანსპორტს, საბანკო და ფინანსურ სექტორებს, სოფლის მეურნეობას, სპორტს, განათლებას და კულტურას. აზერბაიჯანი და საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობენ ვაჭრობის სფეროში ([http://www.eaptc.eu/struct\\_file.php?id\\_pr=79](http://www.eaptc.eu/struct_file.php?id_pr=79))

აზერბაიჯანი მეორე ადგილზეა საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის. მასზე საქართველოს მთლიანი სავაჭრო ვაჭრობის 10 პროცენტი მოდის. ამასთან საქართველო აზერბაიჯანის რესპუბლიკის უმსხვილეს 12 სავაჭრო პარტნიორთა სიაშია. საქართველო აზერბაიჯანში ახორციელებს ცემენტის, ლოკომოტივების, სარკინიგზო მოწყობილობების, ქიმიური ნაწარმის, მინის, მინერალური წყლების, ალკოჰოლური სასმელების, ფარმაცევტული ნაწარმის ექსპორტს. აზერბაიჯანიდან შემოდის ნავთობი, ბენზინი, დიზელი, ბუნებრივი აირი, პლასტმასის ნაწარმი, ავეჯი და სამშენებლო მასალები.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობით აზერბაიჯანი მისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საინვესტიციო პარტნიორად მოიაზრება. საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ენერჯეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობა სტრატეგიული მნიშვნელობისაა. ისეთი პროექტები, როგორცაა „ბაქო-სუფსა“ და „ბაქო თბილისი-ჯეიჰანი“-ს ნავთობსადენები, „ბაქო-თბილისი-ერზრუმ“-ის გაზსადენი და აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორი მიზნად კასპიის აუზის ენერგორესურსებით ევროპის ბაზრის მომარაგებას ისახავენ, ხოლო „ბაქო-თბილისი-ყარსი“-ს სარკინიგზო პროექტი აზერბაიჯანისა და საქართველოს სარკინიგზო სისტემებს ევროპულ რკინიგზის ქსელთან დააკავშირებს, რასაც უდიდესი გეოსტრატეგიული მნიშ-

ვენელობა აქვს შავი და კასპიის ზღვის რეგიონისათვის. (<http://batumi.mfa.gov.az/ge/content/3>). აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით ევროპის მიმართულებით ბუნებრივი აირის ალტერნატიული მარშრუტით ტრანსპორტირების მიზნით აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთს შორის ხორციელდება შეკუმშული აირის ტრანსპორტირების პროექტი (AGRI). 2010 წლის 14 სექტემბერს ქ. ბაქოში საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთის პრეზიდენტებმა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას ამ პროექტის განხორციელების შესახებ.

სახმელეთო ტრანსპორტის მოძრაობა ორ ქვეყანას შორის ხუთი სასაზღვრო გამშვები და საბაჟო პუნქტის გავლით არის შესაძლებელი: ოთხი სახმელეთო (აქედან უმნიშვნელოვანესია ლაგოდეხი-ბელაქანისა და წითელი ხიდის პუნქტები) და ერთი სარკინიგზო სასაზღვრო პუნქტით (გარდაბანი-სადახლო).

კეთილმეზობლური ურთიერთობების მიუხედავად დღემდე **საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლის 446 კმ-იან მონაკვეთზე არსებობს სადავო საკითხები, რომელიც უპირატესად დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსს შეეხება.** საქართველო მზადაა გაცვალოს ტერიტორიები, რადგან აცნობიერებს ამ სამონასტრო კომპლექსის ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობას, თუმცა აზერბაიჯანი სადაო ტერიტორიის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მომიზეზებით ამ გარიგებაზე არ მიდის, უფრო მეტიც, სადაო ტერიტორიზე არსებულ მონასტერს კავკასიელი ალბანელების საკუთრებად მიიჩნევს. განნდა შეხედულება ამ ტერიტორიის ერთობლივ ტურისტულ ზონად გადაქცევის შესახებ, რაც ქართული საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზი გახდა.

აზერბაიჯანელები კომპაქტურად ცხოვრობენ ქვემო ქართლში, კახეთში, ძირითადად სოფლებში. მათი მცირე ნაწილი ცხოვრობს აჭარაშიც. 1959 წ. აღწერით აჭარაში ცხოვრობდა 674 აზერბაიჯანელი, (მ.შ. ბათუმში 419), 1970 წ. 885 (მ.შ. ბათუმში 456), 1979 წ. 934 (მ.შ. ბათუმში 528), 1989 წ. 1077 (მ. შ. ბათუმში 655), 2002 წ. 542 (მ.შ. ბათუმში 301, ქედაში 7, ქობულეთში 79, შუახევში 1, ხულოში 3, ხელგანაურში 151) (საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგები, 2003).

თვით აზერბაიჯანში კი ქართველების რაოდენობა საკმაოდ მოკრძალებულია. აზერბაიჯანის ბოლო აღწერის მონაცემებით, **აზერბაიჯანში ცხოვრობს 14 877 ქართველი (მათ შორის: ბაქოში - 2340, კახის რაიონში - 7450, სოფლები: კახინგილო, ქოთოკლუ, ალიბეგლო, მეშაბაში, ალათემური), ბელაქანის რაიონში - 1731, სოფელი ითითაღა), ზაქათალის რაიონში - 3071, სოფლები: მოსული და ალიაბადი), სხვა რეგიონში - 285).** აზერბაიჯანში ფუნქციონირებს ქართული სათვისტომო (ხელმძღვანელი რაფაელ ღვალაძე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი). მას აქვს ფილიალი კახის რაიონში (ხელმძღვანელი ვარაბიონ ბაბაჯანაშვილი). 2001 წლიდან კახის რაიონის სოფელ კახინგილოში ფუნქციონირებს ქართული კულტურის ცენტრი, ხოლო ალიბეგლოში (კახის რაიონი) ფუნქციონირებს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული თეატრი. კახის რაიონში მოქმედებს ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი "**ლაზარე**", ბავშვთა ქო-

## რეოგრაფიული და ქართული სიმღერის ბიჭუნათა და ქართული საკრავების გოგონათა ჯგუფები.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს 6 ქართული სკოლა და ამდენივე ქართულენოვანი სწავლების სექტორი, მათ შორის: კახის რაიონში - 6 სკოლა და 1-სექტორი, ბელაქანსა და ზაქათალაში - შესაბამისად ერთი და ოთხი ქართულ ენაზე სწავლების სექტორი, აღნიშნულ სკოლებსა და სექტორებზე ირიცხება 2452 მოსწავლე. რეგიონში მოქმედებს ქართულენოვანი სკოლამდელი 7 დაწესებულება: კახის რაიონში - ექვსი და ბელაქანის რაიონში ერთი.

კახის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს ორი ქართული მოქმედი ეკლესია: კახინგილოს და ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიები, ასევე აღიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის და მეშაბაშის მთავარ ანგელოზის სახელობის, ქოთოქლოს სამებისა და კახის ალავერდის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიები.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ასსცსა, ფ. რ-1, ს. N48, ფურც. 121-122;
2. ასსცსა, ფ. რ-2, ს. N 682, ფურც. 11;
3. ასსცსა, ფ. ი-6, ს. N101, ფურც.1-7;
4. ასსცსა, ფ. ი-7, ს. N 11, ფურც. 28-21;
5. ასსცსა, ფ. ი-7, ს. N 86, ფ. 16;
6. ასსცსა, ფ. ი-7, ს. N 104, ფურც. 10;
7. ასსცსა, ფ. რ-77, ს.N 15, ფურც. 59;
8. ასსცსა, ფ. რ-89, ს. N 260, ფურც. 2;
9. ასსცსა, ფ. რ-89, ს. N 620, ფურც. 5,6,8;
10. საქართველოს მოსახლეობის აღწერის ძირითადი შედეგები, თბილისი 2003, ტ. I-II;
11. საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგები, თბ. 2003;
12. ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX საუკუნეებში, თბილისი 1984;
13. ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბილისი 1996
14. [http://www.eaptc.eu/struct\\_file.php?id\\_pr=79;](http://www.eaptc.eu/struct_file.php?id_pr=79)
15. [http://batumi.mfa.gov.az/ge/content/3;](http://batumi.mfa.gov.az/ge/content/3)
16. [http://www.geogen.ge/ge/main\\_nationalities\\_georgia/azerbaijanians;](http://www.geogen.ge/ge/main_nationalities_georgia/azerbaijanians)
17. <https://ka.wikipedia.org/wiki/>

*Nato Kikava*  
*Tamaz Phutkaradze*

*Georgia-Azerbaijan relations according to the documents protected in Archives  
Administration of Ajara*

*Summary*

Azerbaijan is the nearest neighbor and strategic partner of Georgia. Based on materials protected in Archives Administration of Ajara, the article deals with important issues connected with Georgia-Azerbaijan relations.

**ზნეობრივი ომი  
ხიმშიაშვილთა ოჯახის წინააღმდეგ**

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია კარგად იცნობს აჭარის და ოსმალეთის აღმოსავლეთ პროვინციების მმართველის **ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის** (1781-1836) ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მამის **სელიმ ხიმშიაშვილის** (1752-1815) სიკვდილით დასჯის შემდეგ იგი ძმასთან, **აბდისთან** (1789-1859) ერთად, გურიაში ძმის ცოლეურს, **მამია გურიელის** (1789-1826) ოჯახს აფარებდა თავს, 1818 წელს აჭარაში დაბრუნდა, ოსმალეთის ხელისუფლებას შეურიგდა, რომელმაც ახმედი მამის თანამდებობაზე, სამთულიან ფაშად აღაზევა.

დაწინაურების მიუხედავად ახმედ-ფაშა გულის სიღრმეში ატარებდა ოსმალთა ჯალათის ხელით მამის თავის მოკვების შემზარავ ამბავს და ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რათა ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომობისთვის ზურგი ექცია, კავშირი დაემყარებინა რუსეთის ხელისუფლებასთან და დაექარებინა მის გამგებლობაში მყოფი ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული პროვინციების საქართველოსთვის დაბრუნება. დიდი საქმის მოსაგვარებლად რუსეთის ხელისუფლებასთან ფარული მოლაპარაკება თითქმის დასრულებული იყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, 1829 წელს, რუსეთის გენერალიტეტის მიერ შეთანხმების ცალმხრივად დარღვევამ და აჭარაში მტრულად შემოჭრამ, რამაც საფრთხე შეუქმნა მოსახლეობას და თვით ახმედ-ფაშის ოჯახს, ხიმშიაშვილს აზრი შეაცვლევინა, მას სხვა გზა აღარ ჰქონდა და ერთგულება კვლავ ოსმალეთის მთავრობას გამოუცხადა (**გიორგი ყაზბეგი**, 1995:39, 67).

ახმედ-ფაშის სიცოცხლეში და განსაკუთრებით მისი სიკვდილის შემდეგ, მეუღლე **დუდი-ხანუმ ბეჟანიძე (1810-1869)** აქტიურად ერთვებოდა მხარისთვის მეტად რთული პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებაში. ქმრის გარდაცვალების შემდეგ (1836 წ.) იგი პირველ რიგში შეუდგა მისი ვალების გასტუმრებას, მაგრამ 7,5 მილიონი ოსმალური პიასტრის გადახდა ვერ შეძლო და თავის მცირეწლოვან შვილთან (5 წლის) შერიფთან ერთად 1838 წელს ოსმალეთში გაემგზავრა, სულთან **მაჰმუდ მეორეს** ვალებისგან გათავისუფლება და შერიფის სრულასაკონების მიღწევამდე რეგენტად დამტკიცება თხოვა (**შამშე მეგრელიძე**, 1964:77).



ოსმალეთიდან დაბრუნებული დუდი ხანუმი საბოლოოდ განუდგა რუსეთს, მაგრამ ახლა მთელი თავისი ძალა და ენერჯია მაზლებს შორის (აბდი-ბეგი და ქორხუსეინ-ბეგი) ურთიერთშუღლის მოწესრიგებას მოანდომა,

რაც მეტად გაძნელდა რუსეთთან ურთიერთობის უკიდურესად გაუარესების გამო.

ყირიმის ომის დაწყების წინ, 1853 წელს უკვე დავაჟკაცებული **შერიფ ხიმშიაშვილი** თავად შეუდგა თავისი სამფლობელოს მართვას. ახალციხელი მეფისაშვილების მეშვეობით, რომელთა შორის შერიფს ძმობილი, **მიხეილ პავლეს ძე მეფისაშვილი** (1833-1902) ჰყავდა, კავშირი დაამყარა რუსეთის ხელისუფლებასთან და თხოვა განეახლებინა მისი

### დუდი-ხანუმ ბეჟანიძე (1810-1869)

მამის ახმედ-ფაშის დაწყებული ურთიერთობა რუსეთთან. შერიფმა ადვილად აულო ალლო შექმნილ ვითარებას და გადაწყვიტა რუსეთის მხარეს მდგარიყო, მაგრამ ეს ურთიერთობა მხოლოდ ფარულად შეიძლებოდა. დროდადრო ოსმალეთის ხელისუფალთ ეჭვი შეჰქონდათ შერიფის ერთგულებაში, იგი რამდენჯერმე მცირე ხნით ჩამოაშორეს აჭარის მართვას, ციხეშიც ჩასვეს, მაგრამ შერიფი მოხერხებულად აქარწყლებდა ამ ეჭვებს და კვლავ თავის თანამდებობას უბრუნდებოდა.



ახმედ-ფაშის, მისი მეუღლის **დუდი-ხანუმი** და შვილის **შერიფ-ბეგის** მოღვაწეობის მოკლე განხილვით საოცარი პარადოქსების მოწმენი ვხდებით: თვით **ახმედმა**, ოსმალეთის ფაშამ, რუსეთის მხარეზე გადასვლა გადაწყვიტა, მაგრამ რუსეთისავე ორპირობის მიზეზით იგი კვლავ ოსმალეთს შეურიგდა და მისი ერთგული გახდა; თუმცა ერთ დროს განდგომილ თავადს ოსმალეთის ხელისუფლება ბოლომდე ეჭვით უცქეროდა და, როგორც ამბობდნენ, არზრუმის სერასკირად მყოფი ახმედ-ფაშა, მისმა აგენტებმა მოწამლესო (საქართველოს ცსია. ფ. 11, საქ. 558, ფურ. 16-19).

ახმედ-ფაშის მეუღლე **დუდი-ხანუმი**, ჩაქვის მებატონე ბეჟანიძეების შთამომავალი (სეფერ-ბეგის ქალიშვილი) და საქართველოს მიმართ ერთგულ ოჯახში აღზრდილი, უადრესად ჭკვიანი, ბრძენი და დარბაისელი მანდილოსანი, რომელიც აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში, ქმრის სიცოცხლეში ერთხანს რუსეთის ხელისუფლებას უჭერს მხარს, თავისი კუთხის გათავისუფლებისთვის იბრძვის; მაგრამ შემდეგ იძულებულია კვლავ ოსმალეთს მიემხროს, თუმცა სიცოცხლის ბოლოს, შვილის შერიფის გავლენით, გარდაცვალებამდე (1869 წ.) კვლავ ქართულ ორიენტაციაზე დგას, რამაც მომხრეთა გარდა მრავალი მტერიც გაუჩინა.

- **შერიფ ხიმშიაშვილი** თავისი სამფლობელოს გამგებლად აღზევების შემდეგ პირველივე წლებში ფარულად ქართველი ხალხის მხარეზე დგას. ასეთი განწყობა ორმა მომენტმა განაპირობა: სიძულვილმა ოსმალეთის ხე-

ლისუფლების მიმართ, რომელმაც მისი ბაბუა სელიმი სიკვდილით დასაჯა, ხოლო მამა მოწამვლით გამოასალმა სიცოცხლეს და მეორე, ახალციხელი მეფისაშვილების ზეგავლენა, რომლებსაც შერიფ ხიმშიაშვილთან მოჰქონდათ ქართველი მოღვაწეების: **გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის, ივანე კერესელიძის, ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ გურიელის, აკაკი წერეთლის** იდეები და აჭარის ახალგაზრდა მმართველში აღვივებდნენ ქართულ ცნობიერებას. ამას თვით შერიფიც აღიარებს, როცა დიდი მადლიერებით წერს: „განა მოიპოვება ყოველთვის სადმე მისთანა ერთგული მოყვარე მეგობარი, რომ შენ ხვაშიადი მიანდო, პატიოსნად შეგინახოს და

**გენერალ შერიფ ახმედის ძე ხიმშიაშვილი  
(1832-1892)**

არ გაგთქვას? განა მოიძებნება მუდამ თავ. გრ. გურიელისთანა, უფ. მ. მეფისაშვილისთანა და ზოგიერთ ახალციხელებისთანა გამოსადეგი ძმაკაცები, გაჭირვებული კაცის ხელის-ხელმენდილად და წყლული-გულის საღებუნ-წამლად, რომ ისარგებლოს ჩემისთანა სვე-ბედისგან განწირულმა კაცმა?



შერიფი ყველა გვარს არ ასახელებს, მაგრამ მხედველობაში ვინც ყავს, ცხადი ხდება 1878 წლის 20 ნოემბრის ბანკეტის აქტიური წევრების სიით; ესენი ზემოთჩამოთვლილი დიდი ქართველი მამულიშვილები არიან; გრ. გურიელის და მ. მეფისაშვილის მეშვეობით, წერს შემდეგ შერიფი, „დავუახლოვდი ქ. თბილისს, სხვადასხვა ჩინებულ პირთა, თავადთა და აზნაურთა, თავიდან მოყოლებული უკანასკნელ აღსავლის მქონე პირთამდის და მათთანა პატივცემულ ყოველ წოდების პირთა ისეთი საგრძნობი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემს გულში, რომ ვერასოდეს ვერ დავივიწყებ ჩემ დღეში მე იმათ დიდ მოკეთობას, წრფელ კაცთმოყვარეობას და მიღებულობას... (შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. გულწრფელი აღსარება. გაზ. „დროება“, №143, 11 ივლისი, 1879 წ. გვ. 2, 3. ქ. არტაანი, 29 თბათვეს (1879 წ.).

ვფიქრობ მკითხველიც დარწმუნდა, რომ საქართველოს სხვა პროვინციების გამგებელთა მსგავსად ხიმშიაშვილებსაც არ ჰქონდათ მშვიდი ცხოვრება. ფეოდალურ დაპირისპირებას, უთანასწორობას და

## გენერალი გრიგოლ გურიელი (1821-1891)

დაბალი ფენების ექსპლოატაციას აჭარაში თან ერთვოდა მმართველთა ორიენტაცია: რუსული თუ თურქული, რაც ხელს უწყობდა მოსახლეობის გათიშვას, ურთიერთშუღლს და მმართველთა მიმართ უკმაყოფილებას; ეს კი ხშირად მასობრივ გამოსვლებში და აჯანყებებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ამბოხების სიმძიმე ერთნაირად იწვინეს ახმედ-ფაშამ, დუდი-ხანუმმა და შერიფ-ბეგმა. განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა, რომელსაც რუსეთთან აშკარა ურთიერთობის გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც არც ოსმალეთის ხელისუფლებას ეთაყვანებოდა და, ქართველ მთიელთა მსგავსად, თავისუფალ ცხოვრებას ესწრაფვოდა, შერიფს მტრად გადაეკიდა, აიძულა იგი ახალციხეში გაქცეულიყო და ძმობილის, მიხეილ მეფისაშვილის ოჯახში ეპოვა თავშესაფარი, ხოლო მისი სახლ-კარი გადაეწვათ (**ხარიტონ ახვლედიანი, 1956,131**).

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის და სამუსლიმანო საქართველოს დედა-სამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ შერიფის უკმაყოფილოთა რიცხვი არათუ შემცირდა, კიდევ უფრო მომრავლდა, რასაც ადგილობრივ ფანატიკოსებთან ერთად, ხელს უწყობდნენ ოსმალეთის ემისრები.

მოსახლეობის ერთმა ნაწილმა გაიხსენა 1844 წელი, მცირეწლოვანი შერიფის რეგენტი დედა, დუდი-ხანუმი, რომელსაც უხდებოდა ახლადშემოდებული თანზიმათის კანონის სისრულეში მოყვანა, კერძოდ მოსახლეობაში ექვსი სახის (თახშირი, სალიანი, რუსუმათი, სადერბო, თამბაქოს, ზაფთიების შესანახი) გადასახადის აკრეფა და ახალგაზრდების ოსმალეთის ჯარში რეკრუტებად გაწვევა, რასაც მაშინ დიდი აჯანყება მოყვა. ამ ამბების მრავალი მომსწრე 1878 წელსაც ცოცხალი იყო, მათს ძველ უკმაყოფილებას ახლა შერიფის განდგომა, „გარუსება“, ურჯულოებზე მიმხრობა დაემატა, რაც ფიზიკურ შეხლა-შემოხლასთან ერთად, მის წინააღმდეგ ჭორების გავრცელებასა და ზნეობრივ ომში გადაიზარდა.

ამ საქმის ოსტატებმა პირველ რიგში მიზანში ამოიღეს განსვენებული **დუდი-ხანუმი**, რომელსაც აჭარის მოსახლეობა თავის დედოფლად თვლიდა და მრავალ სასიკეთო საქმის გამო ეთაყვანებოდა; მას ქმართან დალატი დასწამეს და შერიფი უკანონო შვილად გამოაცხადეს, მისი დაცვის ერთი წევრი (იუსუფ ბერიძე) მოკლეს, ხოლო შერიფის სახლ-კარი მესამედ გადაწვეს.

ჭორი იმდენად გავრცელდა, რომ იგი რუსეთის ხელისუფლების ახალმა წარმომადგენლებმა, მათ შორის 1878-1881 წლებში მაჭახლის საპოლიციო უბნის უფროსმა დავით წერეთელმაც (1832-1902) დაიჯერა. თავის დღი-

ურში (№4) იგი წერს: „ამბობენ, რომ როდესაც ფაშათ იყო ახმედ ბეგი, ერთი იუდა (ურია) მოაყვანინა და ქვეშაგებლები დააკერვინაო. შემდეგ გამოაგზავნა აჭარაში თავის სახელში ქვეშაგებლის საკერავად (დღესაც რა მაგისტანა ღარიბი იყოს ბეგი, მაინც ქვეშაგებელი ბევრი აქვს. აღას უკანასკნელი ათი ხელი მაინც უნდა ჰქონდეს სტუმრისათვის). ხანუმს მოეწონა ურია და მუცელი წამოეზარდაო, რომ შეატყო თავის თავს გუნება-ნაქცეობა, ერთ ღამეს გასცა ბრძანება, ხვალ დილით ერთი ათი ცხენოსანი მზად იყოს და დილაზე შეჯდა ცხენზე და გასწია ყარსში ქმართან. ქმარმა კითხა მიზეზი მისვლისა. მან დაარწმუნა, რომ სიყვარულმა მომიარაო და ცოტა ფულიც მეჭირვებო. იყო იქ ორი კვირა და გამოეთხოვა ქმარს. ფაშამ ოქროებიც აჩუქა და გამოისტუმრა შინ. მაშინ თამამად აღიარა ორსულობა, რომელსაც მიეცა ვაჟი და უწოდეს სახელათ შერიფ-ბეგი” (ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხალხაწერთა ფონდი, საბუთი № 103).

როგორც დავინახეთ, დუდი-ხანუმს დასწამეს ისეთი მძიმე რამ, რაც ქალის საბოლოო გაწირვას და მოკვეტას ნიშნავდა, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობისთვის სიმართლე კარგად იყო ცნობილი. ჭორის გასაბათილებლად მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ მოძეულ ახალ საბუთებში მითითებული შერიფ ხიმშიაშვილის დაბადების თარიღი. დღემდე გამოცემულ ისტორიულ ლიტერატურაში, აგრეთვე შერიფ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიაზე მიძღვნილ შრომებში (მათ შორის ჩემს ნაშრომებშიც) მიჩნეულია, რომ იგი 1829 წელს დაიბადა, რაც ერთგვარად აძლიერებდა დუდი-ხანუმისადმი გამოთქმულ ეჭვს.

### დავით როსტომის ძე წერეთელი (1832-1902)

ამ თარიღის სწორად დადგენას უაღრესად დიდი ღირებულება ჰქონდა, რადგანაც, გავიმეორებ, იგი შერიფის მამის, ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის კანონიერ მამობას ეხება.

როგორც დავინახეთ, ზემო აჭარის უპირველეს ქალბატონს, დუდი-ხანუმს უღმობლად და შეუბრალებლად მოექცნენ, რითაც შეურაცხვეს და დაამდაბლეს მისი ზნეობა და ოჯახის ერთგულება.

სინამდვილე კი სხვაგვარია, რომლის დადგენაში გვეხმარება ჩვენს მიერ მოძიებული საბუთები, სადაც მითითებულია შერიფის დაბადების თარიღი 1832 წ. 17 იანვარი და ორგზის 1833 წლის 17 იანვარი, მაგრამ არცერთხელ 1829 წელი. ჭორის უარყოფაში გვეხმარება აგრეთვე „იუდა“ მკერავის შვილის ივანე ნებეირიძის ჩანაწერები.

ჭეშმარიტების დასადგენად საჭიროა წარსულის გახსენება და ახალი მასალების მოშველიება, რათა დავაზუსტოთ ახმედ ხიმშიაშვილის კარზე „იუდა“ მკერავი როდის და რა მიზეზით ჩამოვიდა და ოჯახის უფროსი ამ დროს მართლაც თუ იმყოფებოდა ყარსში.

1828 წლის 15 აგვისტოს, როცა რუსეთის ჯარმა აიღო ახალციხე, დამარცხებული ოსმალების ჯარისკაცებმა (ვინმე „თავგასისხლიანებულმა აჭა-

რელმა) ახალციხიდან გაიტაცეს ორი ყმაწვილი: თერთმეტი წლის ივანე (დაბადებული 1817 წლის 20 აპრილს) და ექვსი წლის პავლე (დაბადებული 1822 წელს) ნებიერიძეები. ისინი აჭარაში, ქელაში, სოფელ ზენდიდში წამოიყვანეს, გზად მიმავალი გამტაცებლებისგან ბავშვები გამოისყიდა ორცველმა გულო-აღა აბულაძემ (ჯინოლლი), რის შესახებაც ახალციხეში აცნობა ბავშვების ოჯახს. ტყვეთა დასახსნელად ქელაში ჩამოვიდა მათი მამა, ქართველი კათოლიკე („იუდა“) სტეფანე ნებიერიძე. მამამ უმცროსი ვაჟი პავლე დაიხსნა და კვლავ ახალციხეში დაბრუნდა, შემდეგ ივანეს დასახსნელი ფულიც მოაგროვა და კვლავ ქედისკენ გამოემართა. გზად დაემგზავრა ასევე ახალციხელი ნონო იმერელაშვილი, რომელმაც ერთ დამეს მძინარე სტეფანეს მოპარა ფული და თავის საქმეზე მოიხმარა. იმედდანთქმული სტეფანე, რომელიც თერძი იყო, ქედის ბეგს ეახლა და დახმარება თხოვა. აქ მუთი-ბეგ ბეჟანიძის ოჯახის წევრების ტანისამოსის შეკერვის საფასურად ცოტა ფული შეაგროვა, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა. მუთი-ბეგმა ურჩია წასულიყო ზემო აჭარაში ძმისშვილის, დუდი-ხანუმის მეუღლესთან, ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილთან და იქაც თავისი ხელობით ფული გამოემუშავებინა.

სტეფანე ჯერ დაბრუნდა ახალციხეში, იქ ნათესავებში შეაგროვა ფულები, ამის შემდეგ ეწვია ზემო აჭარის ფაშას ახმედ ხიმშიაშვილს და შესჩივლა თავისი გასაჭირი. თვით გატაცებული ივანე ნებიერიძე ამ ამბებს თავის დღიურში ასე აღწერს: „ფაშამან (ე. ი. ახმედ ხიმშიაშვილმა, რ. ს.) გაგზავნა კაცი ქედის ბეგთან, რათა ამანაც გაგზავნოს თავისი კაცი ორცვას ჩემს გულო-აღა ჯინოლლისთან (აბულაძე, რ. ს.), რომ წამომიყვანოს მე ზემო აჭარას და თვითონაც გამოცხადდეს ფაშასთან დასახსნელად... მოვედით ზემო აჭარას ფაშასთან, სადაც ვნახე მამაჩემი მკერვალი ხანუმის ტანისამოსისა... პარასკევს დღეს რა რომ დაასრულა ფაშამან სადილის ჭამა (!), რომ იყუნენ შეკრებილნი მასთან აღა კაცები... მოილაპარაკეს რეცა თუ შესაწვენელად ჩემს დასახსნელად“ (შოთა ლომსაძე, 1997:328-330).

სტეფანე ნებიერიძემ ზემო აჭარის ფაშის ახმედ ხიმშიაშვილის დახმარებით გამოისყიდა ივანე და ამის შემდეგ მამა-შვილი 1829 წლის მაისში ახალციხეში დაბრუნდნენ. ამგვარად, 1829 წელს სტეფანე ნებიერიძის („იუდა“) ხულოში ყოფნა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ იქ იგი ახმედ-ფაშას კი არ მიუწვევია, არამედ თვითონ ჩამოვიდა, მიზეზი კი გაყიდული შვილის გამოხსნა იყო.


ივანე ნებიერიძის ზემოთმოტანილი მოგონებაში, ზემოთქმულის გარდა, ბევრი რამ საყურადღებოა. პირველი ის, რომ მამამისი, ახალციხელი ქართველი კათოლიკეა და არა „იუდა-ურია.“ იგი მკერავად ჩამოიყვანა არა ახმედ-ფაშამ, არამედ მძიმე ვითარების, კერძოდ შვილის დატყვევების გამო იძულებული გახდა აჭარაში ჩამოსულიყო. ქვემო და ზემო აჭარის ფაშებთან სტეფანე მართლაც თერძობდა 1829 წელს, მაგრამ ომიანობის გამო მუთი-ბეგ ბეჟანიძე (?-1844) და ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილი მუდმივად საკუთარ ოჯახებში იყვნენ და აჭარიდან არ გასულან. ამას ადასტურებს ივანე ნებიერიძის დღიურები, სადაც ნათქვამია, რომ იგი გულო-აღა აბულაძესთან (რომელმაც ბავშვების გამტაცებლებს ფული გადაუხადა) ერთად, ახმედ-ფაშის დავალებით ხულოში ავიდა. მათ მასპინძლობა თვით ახმედ-ფაშა ხიმშიაშ-

ვიღმა გაუწია: „რომ დაასრულა ფაშამან სადილის ჭამა, მასთან ალა კაცები იყვნენ შეკრებილნი” და ჩემს დახსნაზე მოილაპარაკესო. ცხადი ხდება, რომ ზემო აჭარის მმართველი 1829 წელს ყარსში არ ყოფილა, იგი გამუდმებით ხულოში იყო და თვითონვე აქტიურად ჩაერთო ტყვე ბიჭის გათავისუფლებაში.

ფაშის ყარსში ყოფნა, თერძის დუდი-ხანუმთან რომანი და ქალბატონის მეუღლესთან ყარსში გამგზავრება, როგორც ამას აღწერს დავით წერეთელი, გამორიცხებულია. ეს მართლაც ასე რომ ყოფილიყო, მაშინ დუდი-ხანუმს შერიფი უნდა შესძენოდა 1829 ან 1830 წელს, როგორც დამკვიდრებულია ისტორიულ ლიტერატურაში, მაგრამ ირკვევა, რომ ეს თარიღი არასწორია. მოსკოვის სამხედრო ისტორიული არქივიდან მიღებული ახალი დოკუმენტების და სხვა სარწმუნო წყაროების შეჯერებით დადასტურდა, რომ შერიფ ხიმშიაშვილი დაიბადა არა 1829 წელს, როცა ახმედ-ფაშასთან სტუმრობდა სტეფანე ნებიერიძე, არამედ 2-3 წლის შემდეგ, **1833 წლის 17 იანვარს** (რუსეთის სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული არქივი. ფ. 400, ან. 9, ს. 20578, ფ. 251).

მისი თანატოლი და ძუძუმტე იყო ართვინის ოლქის უფროსი მიხეილ პავლეს ძე მეფისაშვილი, რომელიც იმავე 1833 წელს დაიბადა (გარდ. 1902 წ. დასაფლავებულია ს. ივლიტას, ახალციხიდან 3 კმ-ის დაშორებით) (ა. ფრონელი. მიხეილ მეფისაშვილის გარდაცვალების გამო. გაზ. „ივერია,” № 15, 19 იანვარი, 1902 წ. გვ. 2, 3).

როგორც ამბობენ, ჩვილობის დროს ორივე ბავშვს ერთ-ერთის დედა (ვერ გავარკვეით რომლის) მათ ძუძუს აწოვებდა.



ФЕДЕРАЛЬНОЕ  
АРХИВНОЕ АГЕНТСТВО

х

Федеральное казенное учреждение  
«РОССИЙСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ  
ВОЕННО-ИСТОРИЧЕСКИЙ АРХИВ»  
(РГВИА)

105005, Москва, ул. 2-я Бауманская, д. 3  
тел. (499) 261-20-70  
e-mail: [rgvia@mail.ru](mailto:rgvia@mail.ru)

Архивная справка

от 12.04.16 № 1462

На № \_\_\_\_\_ от \_\_\_\_\_

Члену союза писателей Грузии,  
профессору, историку  
Р. Д. Сурманидзе  
Грузия, Батуми

Уважаемый Рамаз Дурсунович!

Направляем Вам архивную справку генерал-майоре Александре Александровиче Шериф-Бек-Аджарском и его семье.

Из кратких записок о службе 1882 и 1885 гг. и посмертно составленного послужного списка 1893 г. генерал-майора Аджарского следует, что:

Александр Александрович (Шериф-Бек) Аджарский родился 17 января 1832 г. (согласно краткой записке о службе 1882 г.) или 7 января 1833 г. (согласно краткой записке 1885 г. и послужному списку 1893 г.).

Из бывших владельцев Верхней Аджарии.

Вероисповедания магометанского (согласно краткой записке о службе 1882 г.), затем православного (согласно краткой записке 1885 г. и послужному списку 1893 г.).

Воспитывался в доме родителей.

Высочайшим приказом от 26 февраля 1879 г. был произведен в генерал-майоры с зачислением по армейской кавалерии и с назначением состоять при Кавказской армии.

Через Святое Крещение и Миропомазание присоединен к Православной Церкви и наречен Александром Александровичем – 13 ноября 1883 г. (место принятия им православия в данных документах не указано).

### რუსული საბუთების ასლები

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ახმედ-ფაშის ოჯახზე გაერცვლებული, ზნეობის შემლახავი მითქმა-მოთქმა აშკარა ცილისწამებაა. ჭორი გააერცვლეს დიდი საგვარეულოს მტრებმა, ფანატიკოსებმა და უცხო ემისრებმა იმის გამო, რომ ხიმშიაშვილთა მოდგმა იბრძოდა სამუსლიმანო საქართველოს დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისთვის. ამიტომ ახმედ-ფაშა

ხიმშიაშვილს, ღუდი-ხანუმ ბეჟანიძეს და მათ შვილს, საქართველოს გაერთიანებისთვის ერთ-ერთ აქტიურ მებრძოლს, შერიფ ხიმშიაშვილს, რომელმაც უბრძოლველად და სისხლის დაუღვრელად დაუთმო რუს-ქართველთა ლაშქარს თავისი სამფლობელო, უნდა ჩამოერეცხოთ დაუსაბუთებელი შეურაცხყოფის ლაქა. ისინი, როგორც ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილები ასეთ ყურადღებას იმსახურებენ.

### ლიტერატურა

1. გიორგი ყაზბეგი. სამი თვე ოსმალეთის საქართველოში. ბათუმი. 1995 წ. გვ. 39, 67. თარგმნა რამაზ სურმანიძემ, გამოსცა მამია ხარაზმა.
2. შამშე მეგრელიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. თბილისი. 1964 წ. გვ. 77.
3. საქართველოს ცსია. ფ. 11, საქ. 558, ფურ. 16-19.
4. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. გულწრფელი აღსარება. გაზ. „დროება“, №143, 11 ივლისი, 1879 წ. გვ. 2, 3. ქ. არტანი, 29 თბილისს (1879 წ.).
5. ხარიტონ ახვლედიანი. სახალხო-განმანათლებლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში. ბათუმი. 1956 წ. გვ. 131.
6. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხაღნაწერთა ფონდი, საბუთი № 103.
7. შოთა ლომსაძე. მესხები. თბილისი. 1997 წ. გვ. 328-330.
8. რუსეთის სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული არქივი. ფ. 400, ან. 9, ს. 20578, ფ. 251.
9. ა. ფრონელი. მიხეილ მეფისაშვილის გარდაცვალების გამო. გაზ. „ივერია“, № 15, 19 იანვარი, 1902 წ. გვ. 2, 3.

*Ramaz Surmanidze*

### *The moral war against Khimshiashvili's family*

#### *Resume*

The author has brought together all the material that deals with the moral welfare of domestic and foreign enemies against Sheriff Khimshiashvili's family. Reliable arguments are grounded that the rumors spread over the Sheriff, his parents and their family are groundless.

**ლაზური იდენტობის პრობლემები  
ლაზური მეტყველების შენარჩუნების ფონზე**

წინამდებარე სტატია ეფუძნება ანკარის ჰაჯითოფე უნივერსიტეტის ლექტორის ნურდან კავაქლის მიერ ინტერნეტ საიტზე ([www.idildergisi.com](http://www.idildergisi.com)) გამოქვეყნებული სტატიის „NOVUS ORTUS: The Awakening of Laz Language in Turkey” („ხელახლა დაბადება: ლაზური ენის გამოღვიძება თურქეთში“) გაცნობის შედეგად განვითარებულ მოსაზრებებს. თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველური ენობრივი ოჯახის წარმომადგენელთა ყოფა-ცხოვრება, წარსული, აწმყო და მომავალი, სოციალური მდგომარეობა, ბუნებრივია, ინტერესს იწვევს საქართველოში. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული ტერმინოლოგიის შესაბამისად იბერიულ - კავკასიური (სხვა ქვეყნებში გავრცელებულია სახელწოდება „კავკასიური“) ენათა ჯგუფის ქართველური ენობრივი (სხვა ვარიანტია-სამხრეთკავკასიური) ოჯახის შემადგენლობაში ირიცხება - ქართული, სვანური, მეგრული, ლაზური ენები. კარგად არის ცნობილი, აგრეთვე, (ძირითადად, მიღებული თეორიის შესაბამისად), რომ არქაული, ჰიპოთეტური ქართველური ენა პირველად დაიყო ორ ერთობად, ერთი მხრივ, სვანურ და, მეორე მხრივ, ქართულ-ზანურ ერთობად. შემდგომში კი ეს ბოლო ერთობა გაიყო ქართულ და ზანურ ენებად. ამჟამად, მეცნიერთა დიდი ნაწილი ზანურ ენას მეგრულ და ლაზურ ენებად ყოფს. მიიჩნევენ, რომ ისინი ახლოვდნენ, მაგრამ განსხვავებულ ენებს წარმოადგენენ. საქართველოში განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ქართველური ენობრივი ოჯახის ლაზური ეთნოგრაფიული ჯგუფის ლაზური ენის მატარებელთა ერთობა. საქართველოში ლაზური პრობლემატიკა ყოველთვის იყო ინტენსიური კვლევის ობიექტი. ამ თვალსაზრისით თავისი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს უნივერსიტეტებს და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებს, რომელთა პროფესორებმა და მეცნიერ თანამშრომლებმა ლაზური მეტყველების, ეთნოლოგიის, ფოლკლორისა, თუ ისტორიის სფეროში მრავალი წერილი, გამოკვლევა, კრებული, მონოგრაფია გამოაქვეყნეს. ამავე დროს, როგორც ჩანს, უამრავი რამ, მეცნიერული შესწავლის მიღმა არის დარჩენილი. მაგალითად, ბოლო გამოკვლევებით ირკვევა, რომ ლაზურს გაცილებით უფრო მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა (მეგრულთან შედარებით) საკუთრივ ქართულ ენასთან, რაც უფრო მეტი ქართული ტერმინის ნასესხობაში გამოიხატება, ხოლო, მეორე მხრივ, ლაზური ეთნოგრაფიული ჯგუფის ამჟამინდელ საზღვრებს მნიშვნელოვნად დაშორებულ გურიის რაიონში გაცილებით მეტი ლაზური ნასესხობაა, ვიდრე მეგრული. მრავალი სხვა პრობლემა შესწავლას მოითხოვს და გასაკეთებელი ძალიან ბევრია. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ლაზურის შენარჩუნება, განვითარება და მისი გადაშენებისაგან დაცვა არის საჭირო.

ქალბატონ ნურდან კავაქლის წერილი, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება საეტაპო მნიშვნელობის იყოს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის

უძველესი მოსახლეობის, სახელდობრ, ლაზების იდენტობის, თვითცნობიერების შენარჩუნების თვალსაზრისით. საყურადღებოა ავტორის ენთუზიაზმი, პერსპექტივაში დარწმუნებულობა, ენერგიულობა და იმედიანობა, რომელიც წერილის სათაურიდანაც თვალნათლივ ჩანს. ავტორი კარგად ფლობს იმ თანამედროვე თეორიულ მასალას, რომელიც გადაშენების ზღვარზე მისულ კულტურებს შეეხება. იგი კარგად იცნობს ლინგვისტურ თეორიულ ლიტერატურას. ის აღნიშნავს, რომ ლაზური ენა, ძირითადად გავრცელებულია თურქეთის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროზე. ამ ენას გაქრობის საშიშროება ემუქრება. ლაზურ ენას თურქეთში არ აქვს ოფიციალური სტატუსი და ის ეთნიკური უმცირესობის ენად ითვლება. ნურდან კავაქლის თქმით, თურქეთში მცხოვრები ყველა ლაზი ორენოვანია და ოფიციალურ თურქულთან ერთად, უფრო ხშირად, შიდა საოჯახო ურთიერთობებში, აგრეთვე ლაზურს იყენებს. სტატიაში ხატოვნადაა ნათქვამი, რომ ლაზური ენა ამოდებულია თურქეთის ისტორიის მტვრიანი ფურცლებიდან, იმ ტენდენციის საპასუხოდ, რომელსაც მსოფლიოში ენათა გაქრობის ტენდენციას უწოდებენ. ენის გაქრობის საშიშროებას ავტორი სოციოლინგვისტური ფენომენის ტერმინებში განიხილავს, როგორც ენის შინაგანი, თუ გარეგანი ფაქტორების საზღვრების ფარგლებში მიმდინარე პროცესს. ავტორს ლაზური ენის გამოცოცხლებისადმი მიძღვნილი მოძრაობა დეტალურად აქვს წარმოდგენილი. ავტორი თანამედროვე თურქეთის ისტორიის ფონზე განიხილავს ლაზური ენის გამოცოცხლების ფაქტს, რაც ამ ენის ფუნქციონირების თვალსაზრისით, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სინამდვილეში ლაზური ენის ხელახლა დაბადებას ნიშნავს.

რა თქმა უნდა, ლაზური ენის ფუნქციონირების თანამედროვე არეალი, ძირითადად, თურქეთის რესპუბლიკით შემოისაზღვრება, მაგრამ არა გვგონია, რომ ლაზური კულტურის ნებისმიერი პრობლემის საფუძვლიანი განხილვა შეიძლებოდეს საერთოდ ქართველური (ანუ სხვა ტერმინოლოგიით „სამხრეთ კავკასიური“) ენების მატარებელთა ისტორიის, კულტურის მიღწევების გარეშე.

ლაზური ენის შენარჩუნება არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მთლიანად თურქეთის მასშტაბით ენის გამოყენება-გამოუყენებლობის პრობლემამდე. აქ ჩვენ პიროვნული მიდგომაც უნდა გავითვალისწინოთ, რადგან მშობლიური ენის გამოყენების პრობლემა არა მხოლოდ ამ ენაზე მოსაუბრეთა (ან ყოფილ მოსაუბრეთა,) ანუ ამ ენის „მფლობელთა“ კოლექტივის საქმეა, არამედ ის უპირველეს ყოვლისა ჩვენს ინდივიდუალობასთან, იდენტობასთან, თავმოყვარეობასთან არის დაკავშირებული, რადგან ამ ენაზე უარის თქმით, ჩვენ პიროვნულ განსხვავებულობაზე, ჩვენთვის ბუნებრივად მოცემულ ღირებულებაზე, პიროვნულ უპირატესობაზე ვამბობთ უარს. ამიტომ აქ ქალბატონ ნურდან კავაქლის კარგად აქვს გამოყენებული ანონიმი ავტორის მოსაზრება: **„თუ თქვენ მშობლიურ ენას კარგავთ, თქვენც, აგრეთვე, დაკარგული ხართ“**. აქედან გამომდინარე, ავტორი თვლის, რომ მშობლიური ენის შენარჩუნება ვიდაც სხვების ინტერესს კი არ წარმოადგენს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჩემს პირად ინტერესში შემოდის, რადგან ის არის ჩემი საყრდენი, ძალის, ენერჯის მომნიჭებელი, „ჩემი“ სივრცის განმსაზღვრელი, ბუნებრივად ღირებულების მოცემულობის მაჩვენებელი. ეს არის ზუსტად ჩემი ციხე-სიმაგრე, ჩემი სიამაყისა და ჩემი მეობის დამადასტურებელი. ამი-

ტომ ყველაფერ იმას, რაც კი მე მეკუთვნის, ეს უმთავრესი კუთვნილების ნიშანი ანდა იდენტობა უნდა ახასიათებდეს და მე უნდა ვიყო მისი მცველი, რადგან მასზე უარის თქმა, სინამდვილეში იგივე თვითმკვლევლობაა, ჩემი პიროვნების არარაობად გადაქცევაა. აქ მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, აგრეთვე, ისიც, რომ, როდესაც აქ ჩვენ სიტყვა „ჩვენს“ და „ჩემს“ ვიყენებთ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ღაზებს არ ვგულისხმობთ, არამედ, საერთოდ, ქართველურ ენებზე ყველა მოსაუბრეს ან კიდევ ქართველურ ენებზე ყველა მოსაუბრის მემკვიდრეს, იმის მიუხედავად იცის, თუ არა მან ამჟამად მისი მშობლიური ენა.

ნურდან კავაქლი აღნიშნავს, რომ მცირე ენების ასიმილაციის ისტორიის მაგალითები, ენებისადმი სახელმწიფო ხელისუფლების დამოკიდებულების თავისებურებები, ოფიციალურ სოციალურ გარემოში ადამიანთა საურთიერთობო, სამეტყველო საშუალებებისადმი განსხვავებულ (ოფიციალურ საზოგადოებაში ნაკლებად გამოყენების თვალსაზრისით), ვარიაციულ მდგომარეობაში ჩაყენებამ ბევრი ენა გაქრობის პირას მიიყვანა.

საბედნიეროდ, ამჟამად სახელმწიფოების მეტი წილი არ ახდენს ასეთ ტოტალურ ზემოქმედებას მცირე ენებზე და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ საკუთარი პიროვნებისა და აქედან გამომდინარე საკუთარი ენის ღირებულების შენარჩუნების მიზნით განავითარონ საკუთარი ენა, რათა, როგორც სამართლიანად მიუთითებს ავტორი, ენა არ აღმოჩნდეს იმ ენათა რიცხვში, როდესაც ის, რაღაც გარემოებების გამო, კარგავს მის უნარს შეითვისოს საზოგადოებაში შემუშავებული, შემოსული უახლესი კონცეფციები და ცნებები, როცა ენა კარგავს მის საურთიერთობო ფუნქციას. ავტორი არაპირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მცირე ენების წარმომადგენლები არ შეიძლება არხეინად იყვნენ იმის გამო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, იუნესკო მხარს უჭერს გაქრობის პირამდე მისულ ენებს. სავსებით ვეთანხმებით ქალბატონ ნურდან კავაქლის ამ მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ სინამდვილეში კულტურათა ბრძოლა იყო და მუდმივად იქნება. ამ ფონზე, მნიშვნელობა არა აქვს მრავალრიცხოვანია, თუ მცირერიცხოვანი ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე. მნიშვნელოვანია, რამდენად შეაქვს მას წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში. ამ თვალსაზრისით უთუოდ სამაგალითო არიან ებრაელები, რომლებსაც მათი სიმცირის მიუხედავად უდიდესი წვლილი შეაქვთ თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში და ორი ათასზე მეტი ხნის შემდეგ ნამდვილად გააცოცხლეს საკუთარი ენა, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო, ნეგატიური ფაქტორების გამო, თავის დროს, უმრავლესობას დავიწყებული ქონდა.

ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ენობრივი გადაშენების საშიშროება გამოწვეულია, როგორც გარეგანი (სამხედრო, რელიგიური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა) და აგრეთვე შინაგანი (განწყობები, მერყეობა, იძულება და სხვა) ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. აქედან გამომდინარე, ვაცნობიერებთ, რომ ჩვენც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები ვართ და საკუთარი ენის ცოდნა ხელს კი არ გვიშლის, პირიქით, ხელს გვიწყობს ვიყოთ მსოფლიო ცივილიზაციის აქტიური მონაწილენი. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საურთიერთობოდ მეორე ენის ცოდნაა საჭირო, არ არსებობს რაიმე არგუმენტი, რომ ამისათვის საკუთარი ენა დავივიწყოთ, უკუვაგლოთ ან, თუ არ ვიცით, არ შევისწავლოთ.

ავტორი წერს, რომ ლაზური, როგორც სამხრეთ კავკასიური (ქართველური) ენობრივი ოჯახის წევრი, იუნესკოს განსაზღვრის შესაბამისად, მსოფლიოში გაქრობის პირამდე მისულ ენად (<http://www.unesco.org/culture/languages-atlas/index.php>) არის მიჩნეული. ამ თვალსაზრისით, თურქეთში ლაზური ენის სიტუაციასთან დაკავშირებით, თურქეთის ხელისუფლება, ისევე, როგორც სხვა, საერთოდ გაქრობის პირამდე მისული ენებისა და მათ შორის ლაზურის მიმართ, გამოცოცხლების ღონისძიებებს ატარებსო, აღნიშნავს ავტორი. აქ მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ხელისუფლება მთლიანად ვერ აიღებს საკუთარ თავზე კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩენილი ენის გადარჩენის ტვირთს. ასეთი ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილი თვით ამ ენის მატარებლებმა უნდა გაინაწილონ. ამ შემთხვევაში ერთ-ერთ უმთავრეს პიროვნულ სირთულეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხშირად სახელმწიფოში ოფიციალურ ენობრივ ღირებულებათა სისტემის მიღება, ზოგჯერ, რატომღაც, ჩვენი მშობლიური ენის ღირებულებათა უარყოფის ხარჯზე ხორციელდება. პირიქით, როდესაც ჩვენ ოფიციალურ სტრუქტურის ენას ვაღიარებთ და ამავე დროს საკუთარსაც პატივს ვცემთ, მაშინ ჩვენც ვიმსახურებთ პატივისცემას( ეს იმის მიუხედავად გამოხატავენ ამას, თუ არა სხვა ენის მატარებლები). საერთოდ საკუთარი წარსულის ცოდნა შეიძლება ერთ-ერთი საუკეთესო საბუთია საკუთარი მეობის განმტკიცებაში. მაგალითად, ზოგიერთი სარწმუნო მოსაზრებით ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანის პეროდში ე. წ. ჰალადონები იგივე ლაზები იყვნენ და მხოლოდ ისინი შემორჩნენ ძველი ხალხებისაგან ანატოლიას, ეს ფაქტიც კი უბრალოდ ავადღებულებს ლაზური წარმომავლობის ნებისმიერ ადამიანს არა მხოლოდ შეინარჩუნოს მშობლიური ენა, არამედ აგრეთვე იამაყოს იმით, რომ მან სხვა ენებთან ერთად იცის ეს მისი მშობლიური ენა, რომელიც ათასობით წლების წინათაც ჟღერდა ანატოლიაში.

ავტორი წერს, რომ ეკოლოგიურ და გარემოს დაცვის სფეროში დაკავებული მეცნიერები და საზოგადოების წევრები ყურადღებას აქცევენ ბიოლინგვისტური მრავალგვარობის შემცირებას მთელ მსოფლიოში (Davis). მეცნიერთა თვალსაზრისით, წერს ნურდან კავაქლი, მთელ მსოფლიოში მრავალი ენის საშიშროების მდგომარეობაში ყოფნა საკმაოდ ფატალურია. ჰარისონი (2007 წელი) ვარაუდობს, რომ ამჟამად პლანეტაზე დაახლოებით 6900 ენაზე ლაპარაკობენ და აქედან თითქმის ნახევარზე უფრო მეტი ენა შემდეგ საუკუნეში მკვდარი ენების სიაში შევა. უფრო მეტიც მთელ მსოფლიოში თერთმეტ პროცენტზე მეტ ენაზე 150 ადამიანზე უფრო ნაკლები პირი ლაპარაკობს (Nettle & Romaine, 2000:40). ავტორი ასევე იმოწმებს კრაუსს (Krauss,1992:6), რომლის მიხედვითაც ასეთი ენები აღარ შეისწავლება მოსაუბრეთა ახალი თაობის მიერ, რადგან ისინი თვლიან, რომ, მომავალში ასეთი ენები მკვდარ ენათა შემადგენლობაში შევა.

ენის სამეტყველო, საკომუნიკაციო ფუნქციის მდგომარეობის საშიშროება ფასდება მასზე მოლაპარაკე ადამიანთა რაოდენობის შემცირებით და ენის ერთი თაობიდან მეორეზე გადაცემა - გადაუცემლობის თავისებურებით(Annamalai, 2014), რაც მეცნიერებს საფუძველს აძლევს ამგვარი რისკის მდგომარეობაში მყოფ ენებს „საშიშროებაში მყოფი ენები“ უწოდონ.

ჩვენს მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ მცირე ენობრივი ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელი ასეთ მდგომარეობას მართლაც ფატალურად თვლის და დიდი ენების ზემოქმედებას ისეთ წყაღდილობასთან აიგივებს, რომელიც შენ არ გაძლევს საშუალებას, თავი აარიდო მას. ასეთი მსჯელობა ყველაზე ნაკლებ შეესატყვისება რეალობას. სინამდვილეში მცირე ენის წარმომადგენელს არ შეუძლია რაიმე შემატოს დიდ ენას, თუ ის მას დაეუფლება და ამავე დროს უარს იტყვის საკუთარ ენაზე. აი აქ არის მთავარი შეცდომა. უმრავლეს შემთხვევაში დღეს ჩვენ არავინ გვაიძულებს დავივიწყოთ საკუთარი ენა, ხოლო ვინმე თუ გვაიძულებს, მაშინ, პირიქით, ჩვენ ვაღდებულნი ვართ არ დავემორჩილოთ იძულებას. რა თქმა უნდა, აქ, უპირველეს ყოვლისა, არ ვგულისხმობთ იმ „დაწინაურებულად მოაზროვნე“ შინაურებს, რომლებსაც დინების შესაბამისად ცურვა, მართლაც ცურვა ჰგონიათ, იმ დროს, როდესაც ცურვა ღირებულებას მხოლოდ მაშინ იძენს, როდესაც შენ დინების საწინააღმდეგოდ ცურავ.

ქალბატონი ნურდან კავაქლი ენის სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნის ახსნას მეცნიერ ჰოფმანის (Hoffman, 2009) დახმარებით ცდილობს, რომლის მიხედვით, ასეთი შედეგი გამოწვეულია ენაზე მოსაუბრეთა ფიზიკური რაოდენობის შემცირებით (გენოციდის, ბუნებრივი უბედურების ან მგავსი მიზეზების გამო), ენობრივი საზოგადოების დეზინტეგრაციით - ერთიანობის დარღვევით (გადაადგილება, დომინანტურ მოსახლეობასთან ასიმილაცია, ეკონომიკური მიზეზების ზემოქმედება), დომინანტური ენის მედიას საშუალებით ზემოქმედების შედეგად ჰომოგენურობის (გაერთგვაროვნების) მიღწევის ეფექტით (როდესაც მცირე შემადგენლობის ენის მატარებლებს საქმე აქვთ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით დომინანტური ენის ტელევიზიასთან, რადიოსთან და ბეჭდვით მედიასთან).

ქალბატონ ნურდან კავაქლის თვალსაზრისით ენის ფუნქციონირების არეალის შემცირებისათვის აგრეთვე მნიშვნელოვანია ენის იძულებითი მიტოვება ( რაც ხშირად თან ახლავს დომინანტური ენის დაწესებულების - სკოლის დაუფარავი დამთრგუნავი ზემოქმედება). მსგავსი შემთხვევების საფუძველზე იუნესკოს (UNESCO) ანგარიშის შესაბამისად საშიშროების მდგომარეობაში ენების ყოფნას შემდეგი ფაქტორები განაპირობებენ: ენის არსებობისადმი საშიშროება შეიძლება იყოს გარეგანი ძალების ზემოქმედების შედეგი, როგორცაა სამხედრო, ეკონომიკური, რელიგიური, კულტურული ან განათლებითი დაქვემდებარება. საშიშროება შეიძლება გამოწვეული იყოს შინაგანი ძალებით, როგორცაა საკუთარი ენის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება. შინაგანი თვითიძულება ხშირად მის საფუძველს გარე წყაროში პოულობს და ორივე აჩერებს თაობათა შორის ლინგვისტური და კულტურული ტრადიციების გადაცემას.

ენისადმი ასეთი საფრთხის წარმოშობას მკვლევარი სრიკუმარი (Sreekumar, 2014) განმარტავს, როგორც საზოგადოების მიერ სამეტყველო ტენდენციის განუვითარებლობის მდგომარეობისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენციას, როდესაც უმცირესობის ენა საერთოდ კარგავს მიზიდულობის ძალას. დამატებით ამგვარი საკითხების შესახებ ავტორს მოყავს მეცნიერის ბატონ დავისის (Davis, 2014) მოსაზრება, რომ საშიშროების ქვეშ მყოფი ენის მთავარ მახასიათებლად თაობათა შორის

ენის გადაცემის შენელება ან შეწყვეტა და იმ სოციალური სფეროს შემცირება უნდა ჩაითვალოს, რომელშიც ეს ენა გამოიყენება.

ნურდან კავაქლი ლოგიკურად დაასკვნის, რომ, რაც უფრო მეტად გამოიყენება ენა საზოგადოებაში, უფრო მეტად ვითარდება და ცოცხალი რჩება ის და პირიქით. ამავე დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ საშიშროების ქვეშ მყოფი ენა, შეიძლება უდიდესი ინფორმაციის წყარო იყოს და ეს არა მხოლოდ ამ ენის მატარებლებისათვის, არამედ საერთოდ კაცობრიობისათვის იყოს მნიშვნელოვანი, ოღონდ, თუ ჩვენ ამ ენაზე უკანასკნელ მოსაუბრესთან მანამ მივალთ, სანამ ის არ გარდაიცვლება, ამტკიცებს მეცნიერი ჰოფმანი (Hoffman, 2009).

ქალბატონი ნურდან კავაქლი მკითხველს მკვლევარ სარიჯილის (Sarigil, 2012) სიტყვებით შეგვახსენებს, რომ თურქეთის რესპუბლიკა მსოფლიოს სცენაზე 1920-იანი წლების დასაწყისში, როგორც სეკულარული და ცენტრალიზებული, მრავალ-ეთნიკური, მრავალ-რელიგიური სახელმწიფო მრავალ-ენობრივი ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე წარმოიშვა. ამავე დროს, მას მოყავს სხვა მკვლევართა აზრი, რომ ახლად შექმნილი სახელმწიფო თურქულ ნაციონალიზმს დაეფუძნა, ხოლო ამ სახელმწიფოში მრავალი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს (Andreuws & Benninghaus, 1989). მათ შორის არიან კავკასიური წარმოშობის ლაზები, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის ავტოქტონებად ითვლებიან.

ქალბატონი ნურდან კავაქლი ისტორიულ წარსულსაც იხსენებს და მიუთითებს, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის მკვიდრი მოსახლეობა - ლაზები ოსმალეთის იმპერიაში მეთხუთმეტე საუკუნის გვიანდელ წლებში აღმოჩნდნენ, ხოლო მკვლევარ სერდარის (Serdar, 2013) მტკიცების საფუძველზე წერს, რომ, რუსული ოკუპაციის პირობებში ლაზური მოსახლეობა დიდი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა მათი თურქული ორიენტაციის, თურქებთან ძმობისა და მათ მიმართ ლოიალობის გამო. ქალბატონი ნურდან კავაქლი აგრეთვე აღნიშნავს, რომ სკოლებში ლაზური საუბრის აკრძალვის შემდეგ, ოჯახში შეზღუდეს ლაზურად ბავშვებთან საუბარი, იმ მიზნით, რათა ბავშვები უფრო სრულყოფილად დაუფლებოდნენ თურქულს სკოლაში წასვლამდე.

ქალბატონი ნურდან კავაქლი, სხვადასხვა თურქ ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით წერს, რომ, პოლიტიკური თვალსაზრისით, 1934 წლის 21 ივნისს, თურქეთის მთავრობამ მიიღო გვარის შესახებ კანონი, რომელიც აიძულებდა საზოგადოების წევრებს ნებისმიერი ეთნიკური გვარის ნაცვლად, მხოლოდ თურქული ჟღერადობის გვარი ჰქონოდათ. 1950-იან წლებში, თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, ქალაქების, სოფლებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ლაზური დასახელებები შეიცვალა თურქული სახელწოდებებით. 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ თურქეთში ეთნიკურ ენებზე საუბარი აკრძალული იყო 1991 წლამდე. 2003 წლამდე აკრძალული იყო, აგრეთვე, ეთნიკურ ენებზე რადიოგადაცემები. 1930 წელს მთავრობამ ასევე აკრძალა ლაზური გაზეთი Mç'ita Muruntskhi (წითელი ვარსკლავი). უფრო მეტიც, თურქეთის აკადემიის ელიტის ზოგიერთმა ქვიზი - მეცნიერმა უარყო ლაზური ეთნიკური იდენტობის არსებობა (Beller-Hann Hann, 2000).

ნურდან კავაქლი მიუთითებს, რომ ეთნიკურ ენებზე მოსაუბრეებში, მათი ენებისა და ორიგინალური ეთნიკური და კულტურული იდენტობის დაკარგვის საშიშროების პირობებს (Bernand, 1992, Hale, 1998) შეეძლო ეთნონაციონალიზმის ჩამოყალიბება(Connor, 1994)გამოეწვია. ასეთი მდგომარეობა კი, თავის მხრივ, წყენის, დაღონებისა და მტრული განწყობის წარმოშობის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. ასეთი სიტუაციის მიუხედავად, ლაზი მოსახლეობის უმრავლესობა თურქულ ნაციონალიზმს უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა ეთნიკური ჯგუფი შეეთვისა.

ნურდან კავაქლის წერილში მოჰყავს სხვადასხვა მეცნიერის თვალსაზრისი ლაზურ პრობლემასთან დაკავშირებით. ლაკროიქის თანახმად, ლაზური არის დამწერლობის გარეშე და ენობრივი საფრთხის მდგომარეობაში მყოფი ენა თურქეთის ჩრდილო აღმოსავლეთში (Lacroix, 2009). თურქეთის მოსახლეობის ბოლო 1965 წლის აღწერის ოფიციალური მონაცემების შესაბამისად ლაზურზე მოსაუბრეთა რაოდენობა 85.108 ადამიანს ითვლიდა (Andrews, 1989:176). ფეურშტაინის (Feurstein, 1983) შეფასებით მთელ მსოფლიოში ლაზურად მოსაუბრეთა რაოდენობა 250 000 ადამიანს აღწევს (საქართველოში 2000 ლაზი ცხოვრობს). დღეისათვის ლაზურ ენაზე მოლაპარაკეთა უმრავლესობა ცხოვრობს ფაზარში (ათინა), არდესენში (ართაშენი), ჯამლიხემშინში (ვიჯა), ფინდიკლში (ვიწე), იკიზდერეში (ქსურასი), არჰავეში (არქაბი), ხოფაში, სარფში და ბორჩხაში.

ლაზები, განაგრძობს ქალბატონი ნურდან კავაქლი, აგრეთვე ცხოვრობენ ანატოლიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც ისინი დასახლდნენ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 ომის შემდეგ. ეს არის ისეთი დასახლებული პუნქტები, როგორცაა აქჩაკოჯა, საპანჯა, კარამურსტა, გოლჩუკი, ბარტინი და იალოვა. ამავე დროს ლაზები ცხოვრობენ გერმანიაში. 2013 წლის ეთნოლოგიის მეჩვიდმეტე გამოცემის შესაბამისად ლაზურად საუბრობენ, როგორც თურქეთში, ისე საქართველოშიც.

ნურდან კავაქლის ცნობით, რეალურად ლაზურს საერთოდ არ ჰქონდა დამწერლობა 1920-იან წლებამდე. ლათინურის საფუძველზე ლაზური ანბანი პირველად მომზადებული იყო ისკენდერ ციტაშის მიერ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. ამავე დროს, ლაზური გამოიყენებოდა, როგორც განათლების ენა იმ დაწესებულებებში, რომლებიც შექმნილი იყო ლაზი ბავშვებისათვის. მრავალი წიგნი იყო დაწერილი ლაზურ ენაზე. თითქმის ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ რაც ლაზური ალბონი (ლაზური ანბანი) იყო წარმოდგენილი საზოგადოებისათვის ფაზრი ლაზოდლუს მიერ 1984 წელს. ეს ანბანი პირველად იყო გამოყენებული ლაზურ ჟურნალში, რომელსაც „ლაზეურა“ ეწოდებოდა და მას გამოსცემდა გერმანიაში მცხოვრები ლაზების ჯგუფი. შემდეგ ეს ანბანი გამოყენებული იქნა ჟურნალ „ოგნი“ 1993 წელს, როდესაც თურქეთში მცხოვრებმა ლაზებმა დაიწყეს ზემოხსენებული ანბანის გამოყენება. ამჟამად მსოფლიოში ორი ლაზური ანბანი არის ცნობილი: ლათინური ანბანი თურქეთში მცხოვრები ლაზებისათვის და მხედრული (ქართული) ანბანი საქართველოში მცხოვრები ლაზებისათვის. ლაზურს არ აქვს ზოგადი წერილობითი სტანდარტი(ლიტერატურული სტანდარტი) და ამავე დროს მნიშვნელოვანია თურქულის ზეგავ-

ლენა სალექსიკონო სისტემაზე. ძველ დროში დამწერლობის არქონის პირობებში ლაზური მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში გამოიყენებოდა ახლო საოჯახო წრეში. ყველა ლაზი სრულად დაუფლებულია თურქულს; უფროსი თაობა (40 წელზე ზემოთ) ჩვეულებრივ ბილინგვები არიან, ხოლო ახალგაზრდა თაობაში სწრაფად მცირდება ლაზურის კომპეტენტურად მცოდნეთა რაოდენობა (Kutscher, 2008). მეორე მხრივ, განსხვავებები ხუთ მთავარ დიალექტს შორის (ხოფური, ვიწური, არქაბული, ჩხალური, ათინური და ართაშენური) მცირეა, თუმცა ურთიერთგაგების დონე დაბალია. ასეთი მდგომარეობა აგრეთვე აფერხებს ლაზურად კომუნიკაციას. ლაზოდლუსა და ფეურშტაინის მიერ შექმნილი (1984) ანბანი გამოიყენება ლაზურ ენაზე პუბლიკაციათა უმრავლესობაში. 1991 წელს გამოქვეყნებული „ნანა-ნენა-ს (დედა ენა) სახელწოდებით სახელმძღვანელო იყენებს ორივე ლათინურსა და ქართულ ანბანებს. ამავ დროს, პირველი ლაზურ-თურქული ლექსიკონი, დიდი ლაზური ნენაფუნა შეიქმნა ბუჯაკლიშისა და უზუნ ჰასანოდლუს (1999) მიერ დიდი ძალისხმევით შედეგად.

ნურდან კავაქლი მართალია, როდესაც წერს, რომ ყველა ენა არ არის ფუნქციონალურად თანაბარი, ისევე როგორც განსხვავებული ფერის ფერადი ფანქრები ერთ და იმავე შეკვრაში. მაგრამ ყველა ენა არის თანაბარი მათ უფლებაში იარსებონ და გაიფურჩქნონ. აქვე მოაქვს სკუტნაბ-კანგასის (Skutnabb-Kangas, 2012) განცხადება, რომ კულტურის არსებობის უფლება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ცოცხალი არსების ფიზიკური არსებობის უფლება. ამის მიუხედავად, ლაზური მოსახლეობა ივიწყებს მის მშობლიურ ენას, რადგან ახალგაზრდა თაობა სრულყოფილად არ ეუფლება ლაზურ ენას, ზოგიერთი სანახევროდ ლაზურად მოსაუბრეთა კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომლებსაც ესმით ლაზური და შეუძლიათ ილაპარაკონ, მაგრამ ჩვეულებრივ ისინი თურქულ სიტყვებს იყენებენ ლაზურის ნაცვლად.

ნურდან კავაქლი იუნესკოს კონსტიტუციის პირველი მუხლის შინაარსსაც ეხება, რომლითაც გამოცხადებულია ენების მრავალგვარობის, განსხვავებულობისა და განვითარების მუდმივი მხარდაჭერის შესახებ. იუნესკო აცხადებს, რომ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მეშვეობით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი. აუცილებელია ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტალურ თავისუფლებას იცავდეს კანონის ძალა, რასაც მთელი მსოფლიოს ხალხები სახელდობრ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის განუსხვავებლად უჭერენ მხარს (UNESCO, 1982).

წერილის ავტორი მიუთითებს, რომ ამ პრინციპების საფუძველზე იუნესკომ შეიმუშავა პროგრამები, რომლებიც მიმართულია ენების, განათლებისა და კულტურის განვითარებაზე, რომლის საშუალებით შესაძლებელია ეროვნულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება (Aikawa, 2001:13). ამ დებულებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ენის გამოცოცხლება არ არის უბრალო ტერმინი, არამედ ის გულისხმობს, აღნიშნავს ნურდან კავაქლი, ამჟამად ფუნქციონირებას მოკლებული ენის აქტიური ენობრივი საკომუნიკაციო ფუნქციის აღდგენას კონკრეტულ საზოგადოებაში (Henderson, Rohloff & Henderson, 2014).

ქალბატონ ნურდან კავაქლის დარწმუნების კარგი სტილი აქვს შერჩეული, ის თითქმის ყოველთვის ნახულობს მეცნიერთა ისეთ გამოთქმებს, რომლებიც კარგად გამოხატავენ საქმის არსს. ამაში მკითხველი ახლავს დარწმუნდება: ერთი მხრივ, ეკონომიკური გლობალიზაციის კულტურული ზემოქმედება იწვევს კულტურულ და ლინგვისტურ მრავალგვარობას, მაგრამ, მეორე მხრივ, მხარს უჭერს ტრანსნაციონალური იდენტობის დისკურს ეროვნულ სახელმწიფოებში, (SreeKumar, 2014). თუმცა არსებობს მარტივი (ჩვენ ვფიქრობთ, პრიმიტიული) გენერალიზაცია, რომლის მიხედვით ენების მრავალგვარობა მხოლოდ ხელისშემშლელია განვითარებისათვის და ენების არსებობის საფრთხე მთელ მსოფლიოში დაკავშირებულია ბიოლოგიური მრავალგვარობის კრიზისთან (Hala et al., 1992; Crystal, 2000; Nettle & Romaine, 2000, Harmon & Jonathan, 2010; Whalen & Simons, 2012). ამიტომ, კარგად შენიშნავს ნურდან კავაქლი, თითქოს გამოდის, რომ ადამიანმა თავი არ უნდა დადოს მრავალმხრივი განვითარების ფილოსოფიისათვის. აქ ჩვენს მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად მსოფლიო ტენდენციად გამოცხადებული ასეთი „თანამედროვე“, და „ცივილიზებული“ მიმართულება, სინამდვილეში ძალიან შორს არის თანამედროვეობისაგან და ცივილიზებულიობისაგან.

ნურდან კავაქლი წერს, რომ იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოში ენების უმრავლესობას აქვს ოფიციალური სტატუსი (Nettle & Romaine, 2000:31) სახელმწიფო აღიარების მიღება ნამდვილად საჭიროა მცირე ენებისათვის, რაც პრესტიჟის აღმნიშნელად ითვლება. ამ თვალსაზრისით, თურქეთში მდგომარეობა შედარებით რთულია. უმცირესობის ენები ერთ და იმავე დონეზე უკავშირდებიან (ყოველ შემთხვევაში თეორიულად), უმრავლესობის ან ოფიციალურ ენას. ფაქტია, რომ თურქული ენა ოფიციალური ენაა თურქეთში და მას აგრეთვე შეუძლია შეამციროს უმცირესობის ენების წარმოსახული მნიშვნელობა ან მხარდაჭერა. ამის მიუხედავად, ევროკავშირი გამოდის მულტიკულტურული და ეთნიკური განსხვავებულობის მდგომარეობის აღიარების აუცილებლობის ინიციატივით. რა თქმა უნდა, უკეთესია გვიან, ვიდრე არასდროს, რადგან, როგორც ცნობილია, თურქეთის მთავრობამ არც თუ დიდი ხნის წინ, რამდენიმე ლეგალური მოსამზადებელი ნაბიჯი გადადგა მცირე ენების საფრთხის მდგომარეობის დასაძლევად და გამოსაცოცხლებლად თურქეთის მთავრობის სამინისტროების დონის აქტების მეშვეობით.

დღეისათვის, აღნიშნავს ნურდან კავაქლი, მსოფლიოში მცირე ენები აღიარებულია, კულტურული და ლინგვისტური მრავალგვარობის მაჩვენებლად. მაგრამ მხოლოდ ეს დებულება არ არის იმ საკითხის გასაღები, რომელიც, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მცირე ენების შენარჩუნებისა და მხარდაჭერის პრობლემას გადაწყვეტს. ამ შემთხვევაში ენის გამოცოცხლების საშუალებად უმცირესობის ჯგუფები ხედავენ განათლებაში, რომელიც თავდაცვის ძალად არის წარმოდგენილი და რომელსაც შეუძლია ააღორძინოს ან განავითაროს მათი ენები, რადგან ჩვეულებრივ სახელმწიფო წინ წამოწევს მთლიანად სახელმწიფოებრივ ერთიანობას, რაც, ხშირად უმცირესობის ენების ხარჯზე, ძირითადი ენის სტანდარტის დაცვის ძლიერი პროპაგანდის საშუალებით ხორციელდება (Gorter, Zenotz & Cenoz, 2014).

ნურდან კავაქლი წერს, რომ ამავე დროს სკოლებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან ისინი განვითარების არტერიად არიან მიჩნეული. შესაბამისად თურქეთის მთავრობამ პირველად ისტორიაში ზოგიერთი ეთნიკურ ენებზე 2012 წლიდან დააკანონა ენის არჩევანის კურსები, რაც უზრუნველყოფს საშუალო სკოლების მოსწავლეების მოთხოვნებს. ენებს, რომლებიც, არჩევითი კურსების სახით ისწავლებიან „ცოცხალი ენები ან დიალექტები“ ეწოდება. ამ ენების შესწავლას კვირაში ორ საათს უთმობენ. 2013 წლამდე არ არსებობდა დამტკიცებული ლაზური ენის კურსების კურიკულუმი (პროგრამა). ახლახან, სწავლების მეხუთე წლისათვის თურქეთის განათლების სამინისტრომ დაამტკიცა ლაზური ენის კურიკულუმი.

ნურდან კავაქლი აღნიშნავს, რომ ლინგვისტური მრავალგვარობა უნიკალურ პერსპექტივას გვაძლევს ჩვენი გონების განსავითარებლად, რადგან ის ავლენს ბევრ კრეატიულ საშუალებას, რომლის შესაბამისად ადამიანებს მათი გამოცდილების ორგანიზება და კატეგორიზაცია შეუძლიათ (Nettle & Romaine, 2000:11). რაც უფრო ნაკლები ენა არსებობს, მით უფრო ნაკლები მრავალგვარობა არსებობს, და ნაკლები შესაძლებლობაა მეტი რამ გავიგოთ ენის შესახებ. ამიტომაც არის რომ საშიშროების მდგომარეობაში მყოფი ენები აგრეთვე არიან ინფორმაციის საწყობები, რომლებიც არა მხოლოდ ლინგვისტიკისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ, სხვა ნებისმიერი სპეციალობის მეცნიერებისთვის აგრეთვე. ამასთან დაკავშირებით 2000 წლამდე ლაზი მოსახლეობისა და ენის აკადემიური კვლევა არ ჩატარებულა წერს ქალბატონი ნურდან კავაქლი ( როგორც ჩანს ის თურქეთს გულისხმობს). პირველი აკადემიური ნაშრომი (დისერტაცია) ლაზურ ენაში და პირველი ლაზური გრამატიკა დაწერილი იყო ბოლახის უნივერსიტეტში(აქაც ავტორი აღბათ თურქეთს გულისხმობს), სადაც აგრეთვე პირველად აკადემიურ დონეზე შეთავაზებული იყო ლაზური ენის არჩევითი კურსები 2011 წელს. 2002 წელს ილმაზ ავჯის მიერ დაწერილი იქნა ლაზური ნენაჩქინი (ლაზური ენის გრამატიკა). ამავე დროს, “Pazar Laz”- (ფაზარის ლაზური) (Ozturk & Pochtrager, 2011) მეორე წიგნია, რომელიც დიალექტური განსხვავებულობის განზომილებაში ლაზური ენის გრამატიკას ეძღვნება.

განათლების სფეროში ცვლილებების პარალელურად აღსანიშნავია, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა რამ, რაც არაფორმალურ განათლებასთან არის დაკავშირებული. ამჟამად რამდენიმე კულტურული, სოლიდარობის ორგანიზაცია თუ ასოციაცია არის დაფუძნებული. მათ შორის არის „სიმა“ შავი ზღვის რეგიონის მოსახლეობის ორგანიზაცია, „ლაზებურა“, GoLA კულტურის, ხელოვნებისა და ეკოლოგიის არასამთავრობო ორგანიზაცია, ლაზური კულტურის ასოციაცია, ლაზური ინსტიტუტი. ამ ორგანიზაციების ზოგადი მიზანი განსაზღვრულია ლაზური კულტურისა და ენის შენარჩუნებისა და ხელის შეწყობის მიზნით. ამ თვალსაზრისით, ლაზური კურსები-სახელწოდებით- „Visinapamt(ჩვენ ვსაუბრობთ ლაზურად) არის გახსნილი. დამატებით ლაზური ენის ონლაინ კურსები ვებსაიტების საშუალებით ღია განათლებას სთავაზობენ. თუმცა კრაუსი (Krauss,1992) ტელევიზიას კულტურულ „ნერვულგაზად“ განიხილავს, რადგან ის მოიცავს მოსახლეობის უმრავლესობას, ანუ ოფიციალური ენა და კულტურა ყველა განსხვავებული ეთნიკუ-

რი წარმომავლობის სახლში შედის და აჩქარებს იმ პროცესს, როდესაც ადამიანები უარს ამბობენ საკუთარ ენებზე და კულტურაზე. ტელევიზია და/ან რადიო აგრეთვე შეიძლება იყო ფუნქციონალური ენის პრესტიჟის გამაძლიერებელი. მაგრამ, საკითხის გარკვევისათვის, აგრძელებს ქალბატონი ნურდან კავაქლი, მაგალითად, თურქეთში GelisimTV( ადგილობრივი დონის სატელევიზიო არხი) ტელევიზიამ ძალიან ჩქარა დაიწყო ლაზურ ენაზე გადაცემები, როგორც კი თურქეთის მთავრობამ 2013 წელს დაამტკიცა შესაბამისი კანონი, რომელმაც ნება დართო ეთნიკურ ენებზე გადაცემების მოწყობა.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, როგორც ჩანს, ბატონ კრაუსის მოსაზრება ყოველთვის არ უნდა იყოს სწორი. იმ შემთხვევაში, როდესაც პარალელურად არსებობს მცირე ენებზე სრულყოფილი გადაცემები, მაშინ ოფიციალური ენა აღარ იქნება საკუთარ ენებზე და კულტურაზე უარის თქმის გამომწვევი და პირიქით, ოფიციალური ენის სრულყოფა მთელი სახელმწიფოს მასშტაბით პრაგმატულ აუცილებლობას დაუკავშირდება. მეორე მხრივ, ადგილობრივ საკომუნიკაციო სივრცეში მშობლიური ენის ცოდნის აუცილებლობის მიღწევა თავისთავად მოხსნის დაპირისპირებას ადგილობრივ და ზოგადსახელმწიფო ენებს შორის, რადგან ორივეს მკვეთრად განსაზღვრული ფუნქციები ექნებად, რაც ორივესი დაუფლებისა და გამოყენების უკონფლიქტო განმტკიცებისა და არა უარყოფის მოთხოვნილებას ჩამოაყალიბებს.

საინტერესოა დებენპორტის (Debenport,2009) აზრი, რომელიც ნურდან კავაქლის მოაქვს: ენის ჩაწერა საშუალებას იძლევა ის მიღწევადი გავხადოთ იმათთვის, ვისაც არ შეუძლია ენას გაეცნოს ტელევიზიით, რადიოთი, ინტერნეტით და სხვა მასობრივი მედიის საშუალებებით. ამრიგად, სამყაროს სიცოცხლის შესახებ ინფორმაციას ადამიანი ლაზურ ენაზე დებულობს. 2010 წელს დაფუძნების შემდეგ **ლაზიკას გამომცემლობამ** დაბეჭდა 35 ორენოვანი თურქულ-ლაზური წიგნი. მაგალითად, ანტუან სენტ-ექსიუპერის წიგნი „პატარა პრინცი“, მსოფლიო მნიშვნელობის პირველი კლასიკური ნაწარმოები იყო, რომელიც თარგმნილია ლაზურზე. **ლაზური კულტურის გამომცემლობა** უხსნის გზას იმ წყაროებს, რომლებიც აგრეთვე დაწერილია ლაზურ ენაზე. ლაზურ ენაზე დაბეჭდილ წიგნებთან ერთად არის აგრეთვე სხვა დოკუმენტები, რომლებიც ამჟამად მიღწევადია საზოგადოებისათვის. საყურადღებოა, რომ ლაზურ ენაზე პირველი ჟურნალის – „ოგნის“ (გაიგონე) გაძეგების შემდეგ გზა გაეხსნა სხვა ჟურნალს „მჟორა“-ს (მზე) და“ სკანი ნენა“-ს (შენი ენა, შენი ხმა). ყოველი მათგანი ორ გამოცემას ითვლიდა. ამის მაგვარი ტრადიცია განხორციელებული იყო ლაზიკას გამომცემლობის კოლექტივის მიერ, რომელმაც ახალი ჟურნალის, სახელწოდებით „თანურა“ (მანათობელი) გამოცემა დაიწყო 2011 წელს. ამასთან დამატებით თურქეთის პირველი ლაზური გაზეთის „Agani Murutsxi(ახალი ვარსკვლავი) ორ თვეში ერთხელ გამოცემა დაიწყო 2013 წელს, იმისათვის, რათა ლაზური ენა სოფლებიდან ქალაქებში იქნეს გადატანილი.

ნურდან კავაქლი მიუთითებს ახალ გამოცემებზე, როგორცაა ახლახან გამოსაცემად ანონსირებული აკადემიური ჟურნალი Lazoba-Lazoloji Araçtirmalari Dergisi (ლაზობა-ჟურნალი ლაზოლოგიის კვლევა - ძიებაში).

დაგეგმილია გამოიცეს სამეცნიერო ნაშრომები ლაზურ ენაზე, კულტურაზე, გეოგრაფიაზე, ისტორიაზე და მონათესავე სფეროებზე ყოველ ექვს თვეში ერთხელ.

ლეონარდი (Leonard, 2008:23) ზოგიერთ ენას მძინარე ენას უწოდებს და მხედველობაში აქვს, რომ ის ენა, რომელიც არ არის ამჟამად გამოყენებული, მაგრამ დადასტურებულია, რომ მას აქვს მემკვიდრეობა და ამგვარად შეიძლება ისევ იყოს გამოყენებული. ამრიგად მძინარე ენამ – შეიძლება გაიღვიძოს, თუ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ხელმეორედ შეისწავლის დოკუმენტურად არსებულ ან შემონახულ ენას. ამის მსგავსად, მუსიკა შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც კულტურული ტრადიცია, ისტორიისა და ენის გადამცემი საშუალება. ამ თვალსაზრისით 1990-იან წლებში დაფუძნებული ლაზური როკ-ბანდის “Zugasi Berepe”-ს (ზღვის ბავშვები) ფუნქციონირება არის სხვა მნიშვნელოვანი ეტაპი ლაზური ენის შენარჩუნების საქმეში. დღეისათვის ბევრი ლაზური სიმღერა (მაგალითად, ქაზიმ ქოუნჩუს დიდოი ნანა) აგრეთვე ცნობილია თურქეთში მცხოვრები არა ლაზებისთვის.

ნურდან კავაქლი წერს, რომ მსოფლიოში ყველა საზოგადოებას მისი საკუთარი საშუალებები გააჩნია საშიშროების ქვეშ მყოფ ენებთან საურთიერთობოდ, იმისათვის, რათა შეინარჩუნონ ისინი გამოცოცხლების განსხვავებული ღონისძიებათა მეშვეობით. თურქეთში ლაზური ენის გამოცოცხლებას მრავალი, განსხვავებული მეთოდით ცდილობენ. მათ შორის საქმეში ჩართულია სკოლები (არჩევითი ენობრივი კურსები ამჟამად), სხვა მეცადინეობები ორგანიზებული აქვს NGO-ოს (არასამთავრობო ორგანიზაცია) ონლაინ განათლების კურსების სახით, როგორც ზრდასრულების, ისე ბავშვებისათვის. თურქეთში ხორციელდება მსოფლიოს კლასიკური სტატუსის მქონე წიგნებისა ან გაზეთების პუბლიკაცია ლაზურ ენაზე, მუსიკის გამოყენება კულტურული მემკვიდრეობის მომავალი თაობისათვის გადასაცემად. ქვეყანაში ხელი ეწყო უნიკალური იდენტობის გაცნობიერებაში საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის რაოდენობას. მთელ მსოფლიოში გაცნობიერების მიღწევა არასამთავრობო ორგანიზაციების ანდა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ტარდება ლაზური ენისადმი მიძღვნილი სემინარები, ვორქშოპები. ასეთი ღონისძიებების საშუალებით კი საპასუხოდ ვღებულობთ რიგითი მოქალაქეების აქტიურობას, რაც ლაზური ენის საშიშროების გაცნობიერებას და მისი შესანარჩუნებლად მხარდაჭერას განაპირობებს.

მეორე მხრივ, აღნიშნავს ნურდან კავაქლი, საჭიროა ამ საკითხებისადმი ოჯახების ყურადღების მიქცევა, რადგან თურქეთში ლაზური ენის ამჟამინდელ სიტუაციიდან გამომდინარე მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ადამიანი, უარყოფს საშიშროების მქონე ენების ნებისმიერი გამოცოცხლების ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას. ასეთ შემთხვევაში წინასწარ იგულისხმება, რომ ენების გამოცოცხლება ზიანს მიაყენებს თურქული სახელმწიფოს ფუნქციონირებას. ზოგიერთი ადამიანი კი ყურადღებას ამახვილებს რეფორმების საშუალებით ენის შენარჩუნების პრობლემის გადაწყვეტაზე, როდესაც დაძლეული იქნება ნებისმიერი ნეგატიური ეფექტი.

მაგრამ ენის განახლების პროცესში ზოგიერთი სერიოზული წარუმატებლობა დაფიქრებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, თურქეთში არ

არის საკმარისი აკადემიური პირი (მეცნიერი) ვისაც შეუძლია იმუშაოს ამ პრობლემაზე. ამავე დროს თურქეთში არ არის საკმარისი რაოდენობის ლაზური ენის მასწავლებელი. უნივერსიტეტებში არ არის ლაზური ენის განყოფილება ან დეპარტამენტი, რომელიც ლაზურ პრობლემასთან დაკავშირებით იმუშავებს. კიდევ უფრო მეტად საჭიროა ლაზურ ენაში პედაგოგიური დახელოვნების ორგანიზება უნივერსიტეტებში. ამ საკითხთან დაკავშირებით მასწავლებლები შეიძლება მშობლების მიერ ადგილობრივი მცდელობების საფუძველზე. მაგალითად, გასულ წელს, ისევ რაოდენობით საკმარისი მოსწავლეებისა და მათი მშობლების ძალისხმევით, კოოპერაციისა და კოორდინაციის საფუძველზე საშუალო სკოლებისათვის მოძებნილი იყო ლაზური ენის ორი მასწავლებელი.

არჩევითი კურსების ლაზური ენის მასწავლებლების პრობლემის გამო, ლაზი აქტივისტები და არასამთავრობო ორგანიზაციები ახლა ცდილობენ გაამხნეონ ხალხი, განსაკუთრებით მშობლები, რომლებსაც ნამდვილად აკლიათ ენთუზიაზმი, რათა მხარი დაუჭირონ მათ ბავშვებს მიიღონ ასეთი არჩევითი კურსები იმის ხაზგასმით, რომ ლაზური ენა სიკვდილის პირას არის. სინამდვილეში ენის დაკარგვის საშიშროების გაცნობიერება წარმატებული მაშინ იქნება, როდესაც უმცირესობის ენებისადმი მნიშვნელოვანი და თანამედროვე როლი დადგენილი იქნება საზოგადოებაში ინდივიდების, მეცნიერებისა და ადამიანთა სხვა ჯგუფების მიერ ერთობლივი ძალისხმევით და სახელისუფლო დონეზე ენობრივი მემკვიდრეობის განვითარებით. ამ თვალსაზრისით, ენის შეფასება, ენობრივი მასალის რეკონსტრუქცია, უფროსი ასაკის ადამიანების გარემოს შესწავლაში ჩართვა, კულტურული პრაქტიკის გაძლიერება და საშიშროებაში მყოფი ენების გამოყენების სტიმულირება, როგორც სახლში ისე საზოგადოებაში, ინტენსიური ენობრივი პროგრამების განვითარება, საშიშროების ქვეშ მყოფი ენების გამოყენება სახელმწიფო, მედიის, ადგილობრივ კომერციულ სფეროებში და ამ ენების გამოყენების სფეროების დადგენა აუცილებელია ამტკიცებს ქალბატონი ნურდან კავაქლი.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ, ჩვენ დიდი ინტერესით გავეცანით ქალბატონ ნურდან კავაქლის სტატიას. ვუსურვებთ წარმატებებს მის საქმიანობაში და გვინდა აგრეთვე დავარწმუნოთ, რომ ნებისმიერ ლაზურ პრობლემატიკას უამრავი გულშემატკივარი ყავს საქართველოში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ozturk & Pochtrager, 2011;
2. Hala et al., 1992; Crystal, 2000; Nettle & Romaine, 2000, Harmon & Jonathan, 2010; Whalen & Simons, 2012
3. [www.idildergisi.com](http://www.idildergisi.com)

*Gubaz Vanilishi*  
*Guram Chaganava*

*Lazian identity problems*  
*on the background of keeping lazian speech*  
*Summary*

The life, past, present and future of the Georgian linguistic family living in the Republic of Turkey are naturally interested in Georgia. The article discusses the problems of lazian identity on the background of keeping lazian speech.

არტაანელთა სამეურნეო ცხოვრების  
ზოგიერთი საკითხი

(ნაშრომი შესრულებულია საბრანტო პროექტის (FR/196/2-105/14)

„არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ეპიზოდის“ ფარგლებში)

არტაანი ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი ბარაქიანი მხარეა. რეგიონის დაბლობი ლანდშაფტი შავმიწანიადაგიანია და სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. უკიდვანო საძოვრები მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის რაოდენობრივი ზრდის, ჯიშობრივი და ხარისხობრივი გამრავალფეროვნების ხელშემწყობი პირობად გვევლინება.

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, სანამ მას თურქოსმალები დაიპყრობდნენ, იგი ჯავახეთთან, თრიალეთთან და ქართლთან ერთად წარმოადგენდა პურის ბეღელს, მეცხოველეობის პროდუქტების მნიშვნელოვან მწარმოებელს. იქაური მოსავალი მეტად კალორიულია და რძის პროდუქტებიც შესაბამისად მეტად ცხიმოვანობით გამოირჩევა. არტაანი ხომ ცნობილი იყო და არის რძის პროდუქტების ხარისხიანობითა და კალორიულობით, რომელსაც აქ დიდი რაოდენობით აწარმოებენ. ისტორიულად მომდინარე და ტრადიციულად მაღალგანვითარებული მეურნეობა მშვიდობიანობის პერიოდში მეტად მასშტაბურ და ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. არტაანის ვრცელ და ნოყიერ საძოვრებზე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მრავალრიცხოვანი ჯოგები ბალახობდნენ. იქაური მდინარეები მდიდარი იყო აგრეთვე თევზით.

აღნიშნულის საბუთად გამოდგება „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის „გეოგრაფია“ და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომლებშიც უხვადაა მოცემული არტაანის სამეურნეო ცხოვრების ამსახველი ფაქტიური მონაცემები. წყაროებიდან ჩანს, რომ არტაანის მოსახლეობა ოსმალების ხელისუფლებას დაბეგრული ჰყავდა მემინდვრეობის და მეცხოველეობის ყველა პროდუქტით. ყოველივე ეს იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ იქაურები იმ დროისათვის საკმაოდ წვლგამართულად ცხოვრობდნენ.



არტაანელები ადრიდანვე მისდევდნენ საქონლის სელექციას, სხვადასხვა ჯიშების შეჯვარების შედეგად გამოჰყავდათ ადგილობრივ პირობებს

შეგუებული, უხვრძიანი და ხორციანი ჯიშები. ამ ტრადიციას ნაწილობრივ აგრძელებენ ქართველების ნასახლარებზე დაფუძნებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ არტაანში იცის მკაცრი, სუსხიანი და გრძელი ზამთარი, მესაქონლეობა რჩება მეურნეობის წამყვან დარგად. ასეთი ფართომასშტაბიანი მესაქონლეობის წარმოება ბალახის თესვის კულტურის განვითარებასაც უწყობს ხელს. ასე იყო წარსულში, თუმცა ნოციერი საძოვრები მის გარეშეც იძლევა საქონლის გამოკვების შესაძლებლობას.



საკვები ბაზის გარდა აუცილებელია კარგად მოწყობილი, თბილი საქონლის ზამთრის სადგომები. ისტორიული არტაანის სამეურნეო ცხოვრებაში ზემოთდასახელებული პირობები სინქრონულად ავსებდა ერთმანეთს. წარსულში აქ არსებობდა საძოვრების მოვლა-პატრონობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიცია. საძოვრების მცენარეული საფარი იყო ყოველდღიური ყურადღების ცენტრში. მოსახლეობა ებრძოდა ნიადაგის ეროზიას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დიდი და ჰაერტევადი ბოსლების მშენებლობას. მიწურბანიან საცხოვრებელ და სამეურნეო კომპლექსში ყველაზე დიდი ფართი საქონლის ბოსლებს ეკავა. დემოგრაფიული ცვლილების მიუხედავად დიდი და ფართე, ჰაერტევადი ბოსლები ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე არტაანშიც. ამ თვალსაზრისითაც იქაური ყოფა ახლოსაა ჯავახურთან. იგი დამახასიათებელი იყო არა მარტო სოციალურად დაწინაურებული ფენებისათვის, არამედ ზოგადად, ყველა ოჯახისათვის.



ახირი//ბოსელი

მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობანი მარტო ბოსლებით არ ამოიწურება. არტაანში, ისევე როგორც თრიალეთსა თუ ჯავახეთში დამახასიათებელია სეზონური სამეურნეო დასახლებები. ზაფხულობით მემთევარეები საქონელს მთა იაილებში მიერეკებიან, სადაც შესაბამისი საცხოვრებლები და საქონლის სადგომები გააჩნიათ. აღნიშნული მსგავსება შემთხვევითი არაა. იგი აიხსნება გარკვეული ცხოვრებისეული კანონზომიერებით, რაც ცხადია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთანაა დაკავშირებული.

საზაფხულო იალაღებზე აშკარად ჩანს საქონლის ღია სადგომების ნაშთები. კვლავაც გვხვდება ქვის ყორით თუ მავთულის ბადით შემოღობილი საზაფხულო სადგომებიც. საქონლის დიდ, ღია სადგომებს ქართველები ხალხამს უწოდებენ, პატარა სადგომებს კი ბერას. მათი სახით საქმე გვაქვს საუკუნეების განმავლობაში აპრობირებულ, ოპტიმალური ხასიათის და ტრაფარეტული მოყვანილობის საქონლის სადგომთან. იგი მოიაღაღე მესაქონლეობის არსებობის დამადასტურებელი მატერიალური ფაქტია. ამ მხარეში მცხოვრები თანამედროვე მოსახლეობა საქონლის ღია სადგომს **ადილის** სახელით მოიხსენიებს. საქონელს მწყემსავენ მწყემსები. ხალხამებში ჰყავთ წვრილფეხა საქონელიც.



**ხალხამი/ადილი**

ადილი/ხალხამი საკმაოდ განიერი სადგომია ფართე კარით. ზღუდე ლოდებითაა ამოყორილი. ზღუდის სიგანე 0,5-0,8 მეტრია. ქვის **ყორეზე/ჩეფერ//დ(ტ)უარ-კედელ-ზე** ზომოდან შემოწყობილია გამხმარი, ოთხკუთხად დაჭრილი წივის ნაჭრები. ცალკეულ დასახლებებში გამოყენებულია ძველი, აღდგენილი სადგომები. თითოეულ ხალხამში საშუალოდ 50-60 მსხვილფეხა უნდა დატეულიყო. აშკარაა, რომ წარსულში არტაანის ნოციერ საძოვრებზე უფრო ბევრ მსხვილფეხა საქონელს უნდა ებალახა. ზოგადად, დიდი მასშტაბის მესაქონლეობა განვითარებული ფეოდალური საქართველოს პირობებში იშვიათობას არ წარმოადგენდა. ამის დასადასტურებლად „კახა თორელის ჯოგების“ გახსენებაც კმარა.

ამჟამად, ერთ ოჯახს საშუალოს ჰყავს 10-15 მსხვილფეხა პირუტყვი. ზოგიერთ ოჯახს 50-მდეც კი. ერთ-ერთ რესპონდენტს სოფელ ორთაკენტში

**ქესუმად** აყვანილი საქონლის ჩათვლით ჰყავს 100 სული პირუტყვი. ერთმანეთის მიყოლებით, კასკადურად განლაგებული ავაზნები (5-6 ავაზანი) მესაქონლეობის განვითარების მასშტაბებზე მიუთითებს.



რესპონდენტთა გადმოცემით ბოლო პერიოდში შეინიშნება საქონლის ქესუმად აყვანის (აბარების) ტენდენცია, როცა საქონლის მოვლის სანაცვლოდ მომწველს რჩება რძის პროდუქტების გარკვეული რაოდენობა (შეთანხმების შესაბამისად).

აღპური მეურნეობისათვის განკუთვნილი მესაქონლეთა დამხმარე „ზაფხულსაჯდომი“ სამეურნეო ბაზები დიდ ფართობზეა გაშენებული. მათ ერთ ნაწილში წარმოდგენილია შედარებით ძველი ციკლოპური წესით ნაგები საქონლის ღია სადგომები და ქოხსახლები.



**არტაანი, ქოი იაღთის იაილები**

მეორე ნაწილი შედარებით ახალია, რომლებშიც უფრო გვიან მოსული თურქები, ქურთები, თარაქამები, ჰემშილები და სხვა ეთნიკური ჯგუფების მესაქონლეები ცხოვრობენ.



### მთური საცხოვრებელი ბაღდაშენის იაილაში

ძველი დასახლებების შემორჩენილ ნაწილში ნათლად ჩანს ცენტრში ქოხსახლების, ირგვლივ კი საქონლის ღია სადგომთა ნაშთები. მესაქონლეთა დასახლების დაგეგმარების ანალოგიური მონაცემები დამახასიათებელია თრიალეთისა და ჯავახეთისათვის (თ. ჩიქოვანი, 1982:48). ქვით ნაშენი ეს ნაგებობები ყორული შენების პრინციპს ეფუძნება და ერთ ან ორსათავსო-ან მწყემსური ტიპის ქოხსახლებს წარმოადგენენ. კედელთა კუთხეების შემკვრელად ზოგან ნათალი ქვებიცაა გამოყენებული.

საზაფხულო სადგომებისა და ნამოსახლარების ადგილმდებარეობა, დასახლებათა ფორმის კომპაქტურობა, ღია სადგომთა სიმრავლე იმის დამადასტურებელია, რომ მესაქონლეთა დამხმარე სამეურნეო ბაზები - „ზაფხულ საჯდომები“ არტაანში თრიალეთისა და ჯავახეთის მსგავსად ფართოდ გავრცელებული მოვლენაა და მთისა და ბარის ურთიერთობის მატერიალურ გამოსატყულებას წარმოადგენს. ადრე ასეთი დასახლებებიც პატრონიმიული ნიშნით იყო დაგეგმარებული. მონოგენურ უბნად დასახლებულ ყოველ ოჯახს ჰქონდა თავისი ქოხი. ამჟამად მონოგენურობა დარღვეულია. საქონელი საერთო საძოვრებზე ბალახობს. პატრონიმიულ-მონოგენური ნიშნით დასახლებამ დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა.

არტაანელთა საზაფხულო საძოვრები მხოლოდ არტაანელთათვის როდია განკუთვნილი. აქ შევხვდებით ზღვისპირა ზოლიდან ამოსულ მოიალადლებსაც.

მესაქონლეობის განვითარების დონეზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის **სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მასშტაბურობა**. ოდითგანვე მასშტაბური მესაქონლეობის მხარე - არტაანი მატერიალური კულტურის, კერძოდ კი ხალხური ბინათმშენებლობის თვალსაზრისით ერთ-ერთ დაწინაურებულ კუთხეს წარმოადგენდა. აქ საქონლის სადგომის მოწყობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. არტაანის ბანიანი სახლის კომპლექსში თვალნათლივ იყო ასახული მეურნეობის გაბატონებული დარგის - მესაქონლეობის ინტერესები, ადგილი და მნიშვნელობა არტაანელთა სამეურნეო ცხოვრებაში. ბოსელს სახლის კომპლექსში ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს. მესაქონლეობის მასშტაბურობას ხელს უწყობდა ისიც, რომ ეს მხარე უტყეოა ან ტყის მცირე ფართობებითაა წარმოდგენილი. შესაბამისად მცირე იყო (ან სულ არ იყო) საწვავად გამოსაყენებელი ტყის რესურსები. ეს ფაქტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქონლის ნაკელს, რომლისგანაც ამზადებენ წივას.

არქიტექტურული თვალსაზრისით იქაური **ბოსელი//ახირ//ახორი** არაფრითაა გამორჩეული, მაგრამ არტაანელთა წარსულ სამეურნეო ცხოვრებაში

ასე არ იყო. ისტორიულად წარმოებულმა ინტენსიური მესაქონლეობის ინტერესებმა ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ბინათმშენებლობის დაწინაურებული ხერხებიბოსელის მშენებლობაშიც მაქსიმალურად გამოიყენა. ამას მოითხოვდა განვითარებული მესაქონლეობის მაღალი კულტურა.

ზოგადად, საცხოვრისი და საქონლის სადგომი ერთმანეთის გვერდიგვერდაა განთავსებული. მათ ტიხარი აცალკევებს. ტიხარად გამოყენებულია ქვის კედელი, ზოგან ზოგან კი ფიცრები ან საქონლის ნაკელისაგან შექმნილი კვადრები. ყალიბში ჩასხმული სქელი მასა მოჭრილი ქვის ფორმას იღებს. მას აშრობენ. მისგან ზოგჯერ შიგა კედელს კი აშენებენ. არტაანის მოსახლეობა წივას //თექეზს შეშის მაგივრად, საწვავადაც იყენებენ. საქონლის ნაკელს აღნიშნულ რეგიონში ფართო გამოყენება აქვს.

ბოსელების მშენებლობის დროს მაქსიმალურად გამოიყენებოდა ბინათმშენებლობის ტრადიციული ხერხები. საილუსტრაციოდ შეიძლება დავახასიათოთ მედინე ოჯაქის ახორი სოფელ ალთაში. იგი სანიტარული ვარგისიანობის მხრივაც იყო გამორჩეული. ბოსელი//ახირი საცხოვრებელ სახლზე მიჯრით მიშენებული, ბანით მომთავრებული ჩვეულებრივი ნაგებობაა შიგნიდან ორმხრივი (ზოგჯერ ერთმხრივიც) დახრილი მაღალი ჭერით და ბანზე დატოვებული სასინათლე სარკმლით.



ალთაში, მედინე ოჯაქის საცხოვრებელისა და ბოსელის შესასვლელი. ფასადი ახირი ორი დიდი განყოფილებისაგან შედგება. თითოეული განყოფილების სიგრძე 15 მ, სიგანე 8 მეტრია. მასში რამოდენიმე ათეული მსხვილფეხა პირუტყვის დაბინავებაა შესაძლებელი.



**ახირი, სოფ. ალთაში**

ახირში აბინავებენ შინაურ ფრინველებსაც. შინაური ფრინველებიდან მოშენებული ჰყავთ ძირითადად ბატები, რადგან ქათმები ჭირს გაუწყვეტია.

აქა იქ იშვიათად გვხვდება ქათმებიც. ქათმები. სინათლისა და ჰაერიზაციისათვის სახურვაზე დატოებებულია ე. წ. საშუქე სარკმელი ისე, რომ დაცული იყოს წვიმის წყლის ჩაჟონვისაგან.



**საშუქე სარკმელი**

ახორის იატაკი მიწატეკეპნილია. საქონლის პატივისათვის იატაკზე ამოჭრილია 25 სმ. სიღრმის, 2 მ. სიგრძისა და 40 სმ. სიგანის ე. წ. სანარწყული.



**სანარწყული**

მასში გროვდება საქონლის პატივი, რომელიც შემდეგ გარეთ გამოაქვთ წივის //თეზექის დასამზადებლად. გრძელი კედლების გასწვრივ, როგორც წესი გამართულია ბაგა.

ახორი იმდენად დიდი და მასშტაბურია, რომ შესაძლოა ჩამონგრეს, ამიტომ, ამიტომ ახორის ორივე ნაწილში ჭერს ქვემოლან შეყენებული აქვს 30-30 - ზე მეტი საყრდენი ბოძი.



**ახორი საყრდენი ბოძებით**

არტაანელები ახორს შემდეგნაირად აგებდნენ: ქვითა და ლამკირით ამოყვანდნენ თანაბარი სისქის კედლებს. კედლის სისქე განისაზღვრებოდა არტაანის ცივი კლიმატური პირობების შესაბამისად, რადგან ცივ ზამთარში ბაგურ კვებაზე მყოფი საქონელი ადვილად ავადდება. ამიტომ კედლები საკმაოდ სქელი უნდა ყოფილიყო.

კედლების მომთავრების შემდეგ კედლის სიმაღლეზე, 2-2,5 მეტრის დაშორებით დადგამდნენ საკედლე ბოძებს, რომლებზეც ზემოდან გაიდებოდა ერთმანეთში თავბოლოებით ჩამაგრებული ძელები. საკედლე ბოძებიდან 2-დე მეტრზე კვლავ დაიდგმებოდა ანალოგიური ბოძები. ბოძების თავზე ერთმანეთის პარალელურად მაგრდებოდა ორი თავზე, რომლებზედაც ბოძების გადამკვეთად ეწყობოდა მოკლე ძელები. საკედლე ბოძებსა და თავხეებზე მაგრდებოდა მათი გამწვდენი ძელები-კვანტები. კვანტებსა და თავხეებზე მჭიდროდ ლაგდებოდა ნაპობი ძელები-კოჭები. სახურავის კონსტრუქციას უკეთდებოდა საშუქე ერდო. ამის შემდეგ იტკეპნებოდა ბანი და იქმნებოდა ერთკვანტიანი ახორის ჭერის კონსტრუქცია, რომელიც წინა და უკანა საკედლე ბოძების არათანაბარი სიმაღლის გამო ორმხრივ დაქანებული გამოდიოდა. ბოსლის სახურავის მოწყობა ანალოგიური წესებით ხდებოდა თრიალეთში, რაც აღწერილი აქვს ცნობილ მეცნიერს თ. ჩიქოვანს (ჩიქოვანი თ., 1976:66-67). გვხვდება ორ და სამკვანტიანი ჰაერტევალი ბოსლებიც.

არტაანში დღემდე შემონახულია 100, 150 თუ 200 კვ. მ. ფართის ბოსლები, რაც ამ მხარეში მესაქონლეობის მნიშვნელობაზე მეტყველებს.

ბანიანი სახლის კომპლექსში წარმოდგენილია აგრეთვე **სამანლიქი//საბძელი//სათივე**. მედინე ოჯაქის სამანლიქი ახორის მოპირდაპირე მხარეს, თონეზე მიჯრითაა მიშენებული. მისი სიგრძე - 15 მეტრია, სიგანე კი 6 მეტრი. სამანლიქი რომელიც მიწის ზედაპირიდან 1,3 მეტროზეა ჩაღრმავებული. სიმაღლე - 5-6 მეტრია.



სათივე//სამანლიქი. სოფ. ალთაში, მედინე ოჯაქის საკარმიდამო კომპლექსი

სამანდიქის ასეთი მასშტაბურობა მეურნეობაში მესაქონლეობის როლისა და მნიშვნელობის მანიშნებელია.

ისტორიულად მომდინარე და ტრადიციულად მაღალგანვითარებული არტაანის მეურნეობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს **სამიწათმოქმედო ყოფა**, რომელიც ფრიად მასშტაბურ და ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. რეგიონი ცნობილი იყო საუკეთესო და უხვმოსავლიანი პურეულით, კარტოფილით, მესაქონლეობის პროდუქტებით, რაზეც მეტყველებს როგორც ისტორიული წყაროები („ქართლის ცხოვრება“, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ და ა. შ.), ისე სამეურნეო დანიშნულების მატერიალური კულტურის ძეგლები.

უკვე არქეოლოგიურ ძეგლებად ქცეული თუ ამჟამად არსებული სხვადასხვა ხასიათის სამეურნეო დანიშნულების მატერიალური კულტურის ძეგლები მიუთითებენ იმაზე, რომ როგორც გვიანფეოდალურ ხანაში, ისე შემდგომ პერიოდში არტაანისათვის დამახასიათებელი იყო მრავალპროფილიანი სოფლის მეურნეობა - მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა - მესაქონლეობის უპირატესი განვითარებით. ეს დარგები ინტენსიურ და ფართო ხასიათს ატარებდა. მიწათმოქმედების დარგებიდან უპირატესად მემინდვრეობა და მეკარტოფილეობაა განვითარებული. აქაური ბარის ლანდშაფტი შავმიწანიადაგიანია, რომელზეც უხვად მოდის ყველა სახის (**ხორბალი, ქერი, შვრია, ფეტვი** და სხვა) მარცვლეული. მემინდვრეობის ტრადიციული კულტურები საკმაოდ დიდი შემოსავალს იძლეოდა. ბერძენიშვილის დაკვირვებით სამხრეთ საქართველოში მემინდვრეობის კულტურები მესაქონლეობასთან ერთად ქვეყნის მნიშვნელოვან სიმდიდრეს წარმოადგენდა. ისტორიულ საბუთიანობასთან ერთად მის ფაქტიურ დამადასტურებელს წარმოადგენს რეგიონში ჯერ კიდევ მრავლად შემორჩენილი ეთნოგრაფიული რეალიები - ხორბლის შესანახი სათავსოები, მიწისქვეშა საცავების ნაშთები და ა. შ. მოსავალს იყენებენ როგორც საქონლის გამოსაკვებად, ისე საოჯახო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. აფრქვევენ სპეციალური საფრქვევი მოწყობილობით.

პურეულთან ერთად არტაანელებს მოყავთ **კარტოფილი**. ეს კულტურა ისტორიული საქართველოს სხვა რეგიონებშიცაა გავრცელებული. იმერხეველები კარტოფილს **მიწის ხაპსაც** ეძახიან, ბორჩხა-მურღულში კი **ფათათისს** უწოდებენ.

მთხრობელთა გადმოცემით ითესება როგორც თეთრი, ისე ყვითელი ყართოფი (კარტოფილი). განსაკუთრებით ნაყოფიერია თეთრი კარტოფილის ჯიში. იგი გემოთიც გამოირჩევა. „რომ მოხარშავ, გედეიფქნება და ძალიან გერმელია (გემრიელი)“. კარტოფილის ფართობებიდან უპირატესობას ეამირს ანიჭებენ. კარტოფილის კულტურა არტაანის ოლქში სხვადასხვა დონეზეა განვითარებული. ზოგან ეს კულტურა აღარ მოყავთ, წარსულში კი იგი ყველგან გვხვდებოდა.

არტაანი აღპურ ზონას განეკუთვნება. შესაბამისად, ინტენსიური ხასიათი არ აქვს მებოსტნეობას, თუმცა ზოგიერთ სოფელში ცალკეული ოჯახები მეურნეობის ამ დარგის განვითარებასაც მისდევენ. ბოსტნეული კულტურებიდან მოყავთ: კიტრი, პომიდორი, ისპანახი, ფირასა//პრასა, კომბოსტო, ზოგან წიწაკა, სხვადასხვა სახის მწვანილი.



სოფელი კოდისწყარო

ზოგიერთ დასახლებაში მოყავთ ლობიოც.



შედარებით უფრო მაღალი სამეურნეო კულტურით გამოირჩევა არტაანის ახლოს მდებარე სოფლები: ქვ. ჭინჭრობი (სუგოზუ), ზომო ჭინჭრობი (აგზეტეფი), ბაღდადი, აქიაქა, თეფელერი (კონკი), კოდისწყარო და ა. შ. ამ სოფლებში შემცირებულია საწვავად წივის გამოყენება. ზოგან არის კარტოფილის ვრცელი მასივები. მიწის ნაკვეთები მავთულითაა შემოღობილი, რომლებშიც უხვადაა ფხალი, მწვანილი, კიტრი, პომიდორი, ლობიო.

სამეურნეო კულტურის მარალი დონე მათი წინაპრების სამშობლოში მიღებული სამეურნეო გამოცდილების შედეგი უნდა იყოს. აქ ალაგ-ალაგ შემორჩენილი მიწურ ბანიანი სახლების ნაწილი ამჟამად სამეურნეო ფუნქციითაა დატვირთული. შესაბამისად წივის გამოყენება აქ შედარებით შეზღუდულია.

არტაანის რეგიონის მაღალი ზონის სოფლებში ვხვდებით სათბურებსაც.



**სოფელი ალთაში**

მიწების და საძოვრების სასაზღვრე ნიშნად გამოიყენება ე. წ. „ქუშკა“ - ქვის მშრალი წყობის ნახევარ მეტრამდე სიმაღლის სვეტი.



**ქუშკა**

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები თანამედროვე არტანში ძირითადად მექანიზებულია. ჰყავთ მანქანა-ტრაქტორები, კომბაინები და სხვა აუცილებელი ტექნიკური საშუალებები. საგაზაფხულო სამუშაოები იმერხევში იწყება გვიან გაზაფხულზე. ნაკვეთების მზით განათებას ანუ რელიეფის ექაპოზიციას ერთ-ერთი მთავარი როლი ეკისრება (კახიძე ნ., 1974:39). ხალხის რწმენით მარცვალი მანამ არ დაითესება, სანამ მიწა არ გამოშრება, მაგრამ თუ დათესვა დააგვიანე, ნაყოფი დამწიფებას ვერ მოასწრებსო.

სამეურნეო ციკლთანაა დაკავშირებული ამინდის მართვის ხალხური ჩვეულებანი. ერთ-ერთი ასეთია „ნაზარ“-ი, რაც ჩვენში გავრცელებული ლა-

ზარობის ანალოგიურია. იგი ამაღლმთიანი აჭარის სოფელ ღორჯომში ჰამბალის//ახალიკოს, ხალო იმერხევში „ნაზარობის“ სახელითაა ცნობილი. სასურველი ამინდის გამოსაწვევად არტანელეები (ძირითადად ბავშვები) შეიკრიბებიან, ცეკვა-სიმღერით შემოივლიან თანასოფლელების ოჯახებს, იმხიარულებენ, სახლის შესასვლელებთან - კარებზე წყალს მოასხურებენ (სანაცვლოდ მიიღებენ სასურსათო პროდუქტებს: ყველს, კარაქს, ყაიმაღს. . .).

რიტუალის შინაარსობრივი და სანახაობითი მხარე ისეთივეა, როგორც მთიან აჭარაში. ხიხაძირის ხეობაში მოწმენდილი, „მოსარკული“ ამინდის გამოსაწვევად აკეთებენ დედოფალას - „ქეფნა ხათუნს“, რომლის შემქმნლობაში ზოგან სარკეც ფიგურირებდა.

ამრიგად, ოდიოგანვე მაღალგანვითარებული მეურნეობით გამორჩეული არტაანი თრიალეთთან და ქართლთან ერთად წარმოადგენდა პურის ბედელს, მეცხოველეობის პროდუქტების მნიშვნელოვან მწარმოებელს. ისტორიულად მომდინარე და ტრადიციულად მაღალგანვითარებული მეურნეობა მშვიდობიანობის პერიოდში მეტად მასშტაბურ და ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. არტაანის ვრცელი და ნოყიერი საძოვრები მესაქონლეობის განვითარების უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა, რაც სრულადაა გამოყენებული თანამედროვე პირობებშიც.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. თ. ჩიქოვანი, ჯავახეთი, თბ. 1982
2. თ. ჩიქოვანი, თრიალეთი, თბ. 1976
3. თ. ფუტკარაძე, საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, არტაანი 2015, 2016, 2017.

*Tamaz Phutkaradze*

### *Some issues of Ardahan people's economic life Summary*

Ardahan is one of the most potent sides of historical Georgia. The landscape of the region is black in the region and creates favorable conditions for the development of agriculture and livestock. In the article, the field material deals with the most important issues in the economic life of Artanan.

(1840-1917 )

[15; 16],

[19],

[9]).

50- . XIX „

1810 .

1848 . 1828 .

1878 „

(1826-1888). 1860-

1866  
1867 .  
1870 1872 .

[6].

«

» [11, . 6].

(1817-1864)

« XVIII-XIX . ».

[9, . 173].

(

10 1840 . ( ) 1840

17 1846 . 6 - .  
(1846-1852) [2; 5].

1849 ., - , ( ).

[8, . 43],

1860- . . 20

1868 . : « , , ... , ... , , , , , » [15, . 26].

1859-1860 . , , ( « » [14]).

1866-1867 . - (1866, - ) (1867, - ). 1868 . 1872 . - , 1883 . [17], (1874, ), 1874 . , , ).

1878 . - ( - - ), 80- . XIX . - : (1882, ), (1887, ) (1889, ). 1878 . ( , 1878-1896), 1884 . 1897 . - 1899 . 1885-1898 . ( ). 1897 . 1899 . 1891 . 8 -

( ) ; - :  
 ( ), ( ), ( ),  
 ( ) ( )  
 ( ).

6 , 4,  
 1896-1897 .

1901-1914 .  
 3 8, 1911-1914 . : -  
 - - ,  
 1878 . - ,  
 , - ( 1886 ).  
 , . -  
 ,  
 3  
 35000.  
 , 80- XIX . 1883  
 [12].  
 , 1883 .. 3 . 18  
 ,  
 1885-1892 . 1886-1889 ..  
 , 2  
 80 95 . 1892 . «  
 » (West Hartlepool) « »  
 (Murex). - , ,  
 , 23 1892 .  
 [1].  
 80- . XIX .



1906 .

20 1906 . 11:00 .

[3, . 1290-1295; 4, p. 520].

».

1917 . 11 :  
 ( ), ( )  
 ), ( ) ( . . . )  
 ( ), ( ), ( )  
 ( )  
 1917 .

1. Batumi sea Port. [ ] // Batumi sea Port. URL: <http://www.batumiport.com/history-ru.html>
2. FO 78/442: Ottoman Empire: correspondence with Consul R.W. Brant, Smyrna; Vice Consul John Charnaud, Smyrna; Vice Consul Francis J Stevens, Trebizond; Consul Henry Suter, Kaisseriah; Vice Consul Frederick Guarracino, Batoom; [Batumi]; Vice Consul R.W. Stevens, Samsoun; Consul Robert Taylor, Bagdad; Vice Consul M. Rassam, Bagdad // The National Archives [ ]. URL: <http://discovery.nationalarchives.gov.uk>
3. Papers relating to the foreign relations of the United States with the annual message of the president transmitted to Congress December 3, 1906 / The United States Department of State. Washington: Government Printing Office, 1909, Part 2.
4. Saul N.E. Concord and Conflict: the United States and Russia, 1867-1914. Lawrence: University Press of Kansas, 1996. 672 p.
5. Wilson D. List of British Consular Officials in the Ottoman Empire and its former territories, from the sixteenth century to about 1860 [ ]. URL: [http://www.levantineheritage.com/pdf/List\\_of\\_British\\_Consular\\_Officials\\_Turkey\(1581-1860\)-D\\_Wilson.pdf](http://www.levantineheritage.com/pdf/List_of_British_Consular_Officials_Turkey(1581-1860)-D_Wilson.pdf)
6. [ ]. URL: <http://viperson.ru/data/200412/a1.txt>
7. [ ] // : ( ). URL: <https://uk.wikipedia.org/wiki/>
8. // .
2015. 8. . 42-47.
9. . . .

- [ ... ): ... , 2013. 276 . ( ) /  
 ( VIII – ):  
 : 07.00.02;  
 , 2013. 276 ]
10. , 1903. 808 .
11. // ( ) . 1: . :  
 , 2015. . 5-18.
12. [ ] // . URL:  
<http://www.adzar.net/history.htm>
13. [ ] // ( ) . URL: <http://www.batumi.ge/en/?page=show&sec=2>
14. 1858... 1917 / . : .  
 , 1859-1917.
15. . : ,  
 2008. 336 .
16. .  
 , 2012. 320 .
17. [ ] // : ( ) . URL: <http://uk.wikipedia.org/wiki/>
18. , 1958 ( ) .
19. ( ) // Archeion (Batumi). 2011. 1. . 62-65.

,  
 . [10, . 642-670]

			( )
		- -	. , . - .

-		-	
-		- -	.
		- -	1903 .
		-	: , , , , : , ,
	:		
1)	- -		
2)	. -		
		-	: , , , , .
	:		
1)	- -		
2)	- -		
		-	
	:		
1)	. -		
2)	. -		
3)	. -		
	. -		
	- -		
	- -		, ,

		- -	1903-1904
		- -	
		- -	
		- -	
		-	
		- -	
		-	
		- -	
		-	

*Oleksandr Trygub  
Liudmyla Vovchuk*

***FOREIGN CONSULS  
IN GEORGIAN CITIES OF THE COSTS OF THE BLACK SEA (1840-1917)***

***Summary***

Today one of the little-known pages of modern historical science is the history of the formation and development of the consulate's institution in the Black Sea port cities of the Georgian coast, which, in the mid-1850's, played a main role in the foreign economic life of the Russian Empire, ensuring the trade needs of the Eastern Caucasus. The oil reserves, the significant development of port cities and the geopolitical significance of the territory of Georgia for the then world leaders (Britain, France and the Russian Empire) contributed to the opening of the foreign consulates here, one of the main tasks of which was the development of trade and economic relations.

The first foreign consulate (according to our data), which were representing the interests of Great Britain, was opened in Batum (at that time in the Ottoman Empire) in 1840.

Subsequently, during 1859-1860, Sukhum and Poti (the territory of the Russian Empire) attracted interest in themselves, where, until the end of the nineteenth century, consular institutions of the United Kingdom, Turkey, France, Greece, and others operated.

However, for the period of 1878, when Batum went to the Russian Empire and received the port of Franco and became the third largest city of Transcaucasia, all foreign consuls leave Sukhum and only in 1884 resumed its Consulate in Turkey. And in Poti at the beginning of twentieth century only 6 consulates were left. While in Batum there were 14 diplomatic missions from different countries of the world for the period of 1902.

**Keywords:** consular office, consul, Georgia, Eastern Black Sea, Sukhum, Poti, Batum.

( )

1938) (1885 -

1905

1918

1919

2.

3

7 , - 22 4.

5 , ( )

),

---

1 ( -

2 ), . 4, . 2, . 575, . 4 .

3 , . 4, . 1, . 16, . 121.

4 , . 4, . 1, . 17, . 61. 19 1919 . 24 1934 .

5 , . 4, . 1, . 16, . 119.

, . 15  
 , . 16.  
 ,  
 6.  
 , .  
 7.  
 ,  
 ,  
 8.  
 12 : 10 2  
 9.  
 ,  
 10,  
 7 1920 .  
 . 1  
 .  
 ,  
 13 1919 . 21  
 1920 .  
 ,  
 11.  
 , 13  
 ,  
 « »-  
 12.  
 ,  
 ,  
 ,  
 13.  
 ,

---

6 , . 4, . 1, . 17, . 45.

7 , . 4, . 1, . 16, . 129.

8 , . 4, . 1, . 13, . 198.

9 , . 198.

10 // -2000. — ., 2002. — . 43. — . 32.

11 , . 4, . 1, . 16, . 124.

12 .

13 , . 1236, . 1, . 733, . 15 .



1920 ., »

. 20

«

« »

<sup>19</sup>.

8

( , )

«

»<sup>20</sup>.

72 33 30

»<sup>21</sup>.

26

1920 .

1

1920 .

. 4

«

»

« »

<sup>22</sup>.

31

1921 .

<sup>19</sup>

, . 8 .

<sup>20</sup>

, . 4, . 1, . 16, . 136.

<sup>21</sup>

, . 4, . 1, . 13, . 183-184.

<sup>22</sup>

, . 4, . 1, . 16, . 136.



4 )<sup>27</sup>.

« »

, . . . , . . .  
, . . .  
, . . .  
« »  
. « »  
. . .  
,  
,  
« »<sup>28</sup>  
« »  
, . . .  
,

1921 .

65  
30

159,

29.

<sup>30</sup>, 1921 .

1930 .

1937

---

<sup>27</sup> , . 19.

<sup>28</sup> .

<sup>29</sup> , . 4, . 1, . 643, . 6.

<sup>30</sup> , . 4.

· , ,  
« » , ,  
· , , ,  
· , ,  
· , 22 1938 , 54-  
1 , 54-8, 54-11 , —  
· , ,  
· « » ·  
· , ,  
·

# ПОСТАНОВЛЕНИЕ

Гор. Харьков, октября 11 дня. 1937 года. Я, Оперуполномоч. 4

Отдела УГБ ХОУ НКВД - Мл. Лейтенант Госбезопасности - ТОМИН

рассмотрев материалы по обвинению гр. ПАГАРЕЛЛИ Константина Соломоновича, 1884г. р. грузин, гражданства СССР, в/п. член коллегии защитников, проживает Дмитриевская № 15..

в преступлениях, предусмотренных ст. ст. 54-9 ч. I и 54-II УК УССР, разившихся в том, что он проводит активную антисоветскую меньшевистскую деятельность, связан с контр-революционным украинским националистическими кругами и с меньшевистскими кругами Закавказья.

дел, что (привести мотивы избрания меры пресечения) пребывание его на свободе может отразиться на ход следствия.

На основании изложенного и руководствуясь ст. ст. 143, 145 и 156 УПК УССР

## ПОСТАНОВИЛ:

1. Избрать мерой пресечения способов уклонения от суда и следствия по отношению к обвиняемому ПАГАРЕЛЛИ Константину Соломоновичу - содержание под стражей в Харьковской тюрьме.

2. Настоящее постановление представить Харьковскому Областному Прокурору.

Опер. Уполномоченный 4 ОТДЕЛА УГБ  
Мл. Лейтенант Госбезопасности /ТОМИН/

СОГЛАСЕН: НАЧ 4 ОТДЕЛА УГБ  
Ст. Лейтенант Госбезопасности /ОИМХОВИЧ/

УТВЕРЖДАЮ: ЗАМ НАЧ ХАРЬК. ОБЛМУПРАВЛ. НКВД  
Капитан Государствен. Безопасности /ГРИЦАН/

# ПОСТАНОВЛЕНИЕ

3

Гор. Харьков 193 <sup>7</sup> г. 11 октября

Облпрокурор по Харьковской области, рассмотрев материалы по делу по обвинению  
на ЦАГАРЕЛЛИ Константина СОЛОМОНОВИЧА, 1884г.р.м., грузин, гр. СССР, б/п.  
и коллеги защитников, проживает Дмитриевская № 15.

принимая во внимание, что нахождение на свободе обвиняемого ЦАГАРЕЛЛИ К.С.

\_\_\_\_\_ может отразиться на ходе следствия.

потому, руководствуясь ст. 143, 145 и 156 УПК УССР

## ПОСТАНОВИЛ:

для пресечения обвиняемому ЦАГАРЕЛЛИ Константину Соломоновичу.

брать содержание под стражей содержание под стражей.

копию настоящего постановления направить Начальнику IV отдела УГБ НКВД

Харьковской области, за которым зачислить арестованного.



Облпрокурор Леонов

/ЛЕОНОВ/

Постановление мне объявлено " \_\_\_\_\_ " \_\_\_\_\_ 193 г.

Обвиняемый \_\_\_\_\_

4

### АНКЕТА АРЕСТОВАННОГО

1. Фамилия Цагарели  
2. Имя и отчество Константи́н Саламонович  
3. Дата рождения: число 2 " мая год 1885  
4. Место рождения г. Кутаиси Грузия

5. Место жительства (адрес) г. Харьков Дмитровская ул.

6. Профессия и специальность Юрист. член коллегии защитников.  
7. Место службы и должность или род занятий член Харьковской  
областной коллегии защитников г. Харьков 3-й коллектив.  
(указать без сокращений название предприятия или учреждения и характер производства)

8. Паспорт г. Харьков Григорий Григорьевич Бриллиант г. Харьков.  
(когда и какое право выдан, номер и фамилия, где принята)

9. Социальное происхождение Рабочие.  
(род занятий родителей и их имущественное положение)

10. Социальное положение Служащий Юрист  
(род занятий и имущественное положение арестованного)  
а) до революции Служащий  
б) после революции Служащий

11. Образование (общее и специальное) Высшее. В 1914 г. окончил  
Юридический факультет Харьковского университета.

Партийность (в прошлом и в настоящем) В 1905 г. состоял членом в РСДРП. с т. Грузин в какой находился до конца 1905 г. В других партиях не состоял.

13. Национальность и гражданство (подданство) Грузин гражданин СССР

14. Категория воинского учета-запаса и где состоит на учете На воен-учете не состоит.

15. Служба в белых и др. к-р. армиях, участие в бандах и восстаниях против Соввласти (когда и в качестве кого) Не служил.

16. Каким репрессиям подвергался при Соввласти: судимость, арест и др. (когда, каким органом и за что) В 1921 году был арестован домашним арестом органами З.К. В 1930 г. был арестован органами Г.П.Ч. содержался под стражей 2 м.ц. Судимости не было.

17. Состав семьи Жена София - преподавательница музыки. (указав родство, фамилию, адрес и род занятий)  
Брат Георгий проживает в т. Мбилиси работает артистом. Дети точно не знаю.

Подпись арестованного

1. Особые внешние приметы

2. Кем и когда арестован

3. Где содержится под стражей Иризм 2 Корце

4. Особые замечания

Подпись сотрудника, исполнившего задание

193 г.

# ПРИГОВОР

89

и Союза Советских Социалистических Республик  
выездная сессия  
ой Коллегии Верховного Суда Союза ССР  
в составе:

председательствующего диввоенюриста ОРЛОВА А.М.

судей: бригвоенюриста ГАЛЕНКОВА И.С. и военюриста 1 ранга КЛИМИНА

и секретаре военном юристе 1 ранга КУДРЯВЦЕВЕ Л.Н.

заврытом судебном заседании, в гор. К и е в е

22 сентября 1938 года, рассмотрела дело по обвинению:

ЦАГАРЕЛИ Константина Соломоновича, 1885г.р., бывш. члена колл  
итников в г.Харькове - в преступлениях, предусмотренных ст.ст.:  
8 и 54-II УК УССР.

орительным и судебным следствием установлено, что Цагарели являлся  
членом преступников антиговетской меньшевистской террор  
истической организации действовавшей на Украине и по се  
му проводил активную работу по воссозданию меньшевист  
ской организации

Кроме этого Цагарели <sup>назначен с 1927г.</sup> передавал шпикомские сведения одному  
польскому консулу и являлся шпионажем вплоть до дня своего аре  
стуования Цагарели виновным в совершении им преступ  
ий предусмотренных ст.ст. 54-1а, 54-8 и 54-11 УК УССР  
и ч.2 ст.ст. 296 и 297 УПК Выездная Сессия Высш  
ей Коллегии Верховного Суда Союза ССР

мере уголовного наказания - расстрелу, с конфискацией  
всего личного имущества принадлежащего осужденной.

Приговор окончательный и на основании постановления  
ЦКК СССР от 1 декабря 1934 года подлежащий немедлен-  
ному исполнению.

Председательствующий А. Гуров

Члены {

Г. Р. М. б.

25  
18  
2593

ПРОКУРОРУ СССР тов. Р У Д Е Н К О. -




Дареджани Соломонович Гвазава,  
прожив. в гор. Тбилиси по ул.  
Лермонтова № 29.

З а я в л е н и е

10

Брат мой Н а г а р е л и Константин Соломонович  
работал в гор. Харькове членом коллегии защитников, 12-го  
октября 1937 года он был репрессирован в возрасте 52-х лет  
На наш запрос нам сообщили, что он выслан сроком на де-  
сять лет без права переписки. Уже много лет прошло ми  
не знаем ничего о его судьбе. Просим Вас пересмотреть  
его дело и результат сообщить нам.



*Д. Гвазава* ( Д. Гвазава )

25-го октября 1954 года.  
гор. Тбилиси

13  
3.10.54



201

Управление Комитета Государственной безопасности при  
Совете Министров Украинской ССР

По Харьковской области.

от Цагарели-Гвазавы  
Дареджан Соломоновны  
прж. в г. Тбилиси по ул.  
Лермонтова № 29.

З а я в л е н и е

Я получила Ваш ответ на мое заявление за № 6/1/ц-21  
26.XI-56 г. на которое сообщаю, что у моего брата  
Цагарели Константина Соломоновича детей не было, что  
легко установить по полевой книге по адресу Дмитриевская  
улица № 15, где он проживал до 1937 года. Что касается  
его жены Цагарели Софьи Александровны, она во время  
войны выбила не известно куда, на наши письма ответа  
не поступило. Последнее ее письмо датировано 1940 г.  
20.VII. Подлинник этого письма я препровождаю Вам. Из  
этого письма Вы установите, что она развелась с моим  
братом в 1940 году и носила девичью фамилию - Домбров-  
ская. Вы можете узнать из милицйских органов г. Харько-  
ва по какой причине она выбила из Харькова и куда, а  
имеет ли право на наследство или нет судите по существ-  
ующим законам.

*Цагарели-Гвазавы*  
*Д.С.*

Цагарели-Гвазавы Д.С./

24/II-57г.

*ირინე მატიაში*

*ქართველი კონსულის კონსტანტინე ცაგარელის ბედი უკრაინაში  
(უკრაინის არქივებში დაცული დოკუმენტების მიხედვით)*

*რეზიუმე*

კონსტანტინე ცაგარელი (1885-1938) მჭიდროდ იყო დაკავშირებული უკრაინასთან. ქუთაისელმა ჭაბუკმა ხარკოვის უნივერსიტეტში მიიღო იურიდიული განათლება. მოგვიანებით იგი მუშაობას აგრძელებს დიპლომატიის სფეროში - კონსულის თანამდებობაზე. სტატიაში, უკრაინის არქივებში დაცული დოკუმენტების საფუძველზე წარმოდგენილია კონსტანტინე ცაგარელის ცხოვრებისა და საქმიანობის მნიშვნელოვანი საკითხები.

**ბადრი კაკაბაძე - ქველმოქმედი, მეცენატი**

„...ძე კაცისა იმისთვის კი არ მოვიდა, რომ სხვები იმსახუროს, არამედ რათა სხვებს ემსახუროს და მისცეს სული მრავალთა გამოსახსნელად” (სახარება). **ბადრი კაკაბაძე** ერთი იმათგანია, ვინც თავისი ცხოვრება ხალხისა და ქვეყნის სამსახურს მიუძღვნა, აქტიურად ჩაერთო საქველმოქმედო საქმიანობაში და ახალგაზრდობაშივე დაიმსახურა მშობლიური ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა. ბადრი კაკაბაძე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველი ბიზნესმენია პეტერბურგში. წყალტუბოში დაბადებულმა ბიჭმა სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ლენინგრადის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, ინჟინერ-ტექნოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. პირველი სამსახურიც სწორედ ინჟინერ-ტექნოლოგის რანგში დაიწყო და სულ მალე ტექნოლოგიური საამქროს დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. 1993 წელს ამავე საამქროს ბაზაზე შეიქმნა ღია სააქციო საზოგადოება ”პეტროხოლოდი”, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას საკვები პროდუქტით ვაჭრობა და ნაყინის წარმოება-რეალიზაცია შეადგენდა.

დღეისათვის ბადრი კაკაბაძის კუთვნილი ”პეტროხოლოდი” 200 სავაჭრო კომპანიასთან თანამშრომლობს, რუსეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში კი ქართველი ბიზნესმენის სააქციო საზოგადოება ნაყინის ყველაზე მსხვილი მწარმოებელია.

90-იანი წლების ბოლოს ბადრი კაკაბაძე სანკტ-პეტერბურგში **ქართული ასოციაციის „ივერიას“ თავმჯდომარედ** აირჩიეს. ქართველთა ასოციაცია რუსეთის იმპერიის დედაქალაქში 1992 წელს დაარსდა. ქართველთა თემის მეთაური ხაზგასმით აღნიშნავს:

„ჩემი სამშობლო საქართველოა, რომელიც უზომოდ მიყვარს“. ქართველი ბიზნესმენი იმასაც ამბობს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებზეც აისახება. ”ივერია” დღეს პეტერბურგში მყოფ რამდენიმე ცნობილ ქართველს აერთიანებს, რომელთა შორისაც არიან „მარინის თეატრის” პრიმაბალერინა **ირმა ნიორაძე**, ბიზნესმენი **გორჩა ჩხაიძე**, ექიმი **ალექსეი ბაინდურაშვილი**.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება და საქმიანობა უხდება უცხოეთში, ბადრი კაკაბაძემ შეძლო საკუთარი ნიჭისა და უნარის სრული გამოვლენა, შეინარჩუნა ვაჟკაცობა, ალაღმართლობა, პრინციპულობა და სრულიად სამართლიანად **დაიმკვიდრა მეცენატისა და ქველმოქმედის საპატიო სახელი**. ამიტომაც იცნობენ პეტერბურგელები ქართველ ბიზნესმენს, როგორც დიდ ქველმოქმედს, პატრიოტს, ჰუმანისტსა და კაცთმოყვარე პიროვნებას, გაჭირვებული ადამიანის გვერდში მდგომსა და მოჭირნახულეს, რომელსაც თავისი კეთილი და სასახელო საქმეებით კიდევ უფრო განუმტკიცებია კაკაბაძეთა გვარის სახელოვანი ტრადიციები. გულით შეიყვარეს ბადრი კაკაბაძე პეტერბურგელებმა, რადგან მან მოახერხა იქაური მეგობრების ჭირისა და ღხინის თანაზიარი გამხდარიყო.



ბადრი კაკაბაძე

მეგობრებისა და კოლეგების სიყვარულით გარემოსილს მაინც მშობლიური ქვეყნისათვის, საქართველოსათვის სასიკეთო საქმეების კეთებისაკენ მიუწევს გული. ამის ნათელი მაგალითია აჭარის საარქივო სამმართველოსადმი გაწეული დახმარება 2017 წლის ივნისში.

ევროკავშირის საგრანტო პროექტის - „Knowledge Exchange and Academic Cultures in the Humanities: Europe and the Black Sea Region, late 18th – 21<sup>st</sup> Centuries” –ფარგლებში მოგვიხდა გარკვეული პერიოდით მივლინება პიატიგორსკის სახელმწიფო ლინგვისტურ უნივერსიტეტში. საჭირო იყო ამ შესაძლებლობის გამოყენება, რათა პეტერბურგში მდებარე რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ არქივში საქართველოს შესახებ არსებული მასალების ელექტრონული ვერსიები (ნაწილი მაინც) შემოგვეტანა.

საარქივო სამმართველოს არ გააჩნდა შესაბამისი ხარჯები. სამმართველოს უფროსის მოადგილემ ანზორ თხილაიშვილმა აღნიშნულის შესახებ აცნობა აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ პატარაძეს.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდის რეგიონალურ მმართველებს გაცნობიერებული არ ჰქონდათ უცხოეთიდან ჩვენი ქვეყნის შესახებ არსებული საარქივო მასალების შემოტანის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ბატონმა ზურაბმა კი იგი უმნიშვნელოვანეს საკითხად ჩანიშნა და ჩემი ტელეფონის ნომერი მოითხოვა.



**ზურაბ პატარაძე**

პიატიგორსკში მიმავალს პეტერბურგიდან დამიკავშირდა თავად ბადრი კაკაბაძე, რომელმაც ზურაბ პატარაძის თხოვნით ითავა პეტერბურგში ჩემს ვიზიტთან დაკავშირებული ყველა პრობლემის მოგვარება. მართლაც, პეტერბურგში ჩასულს დამახვედრეს კეთილმოწყობილი ბინა „Площадь мужества“- სთან ახლოს და მომამაგრეს მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც მართავდა შესანიშნავი პიროვნება, ქართველების დიდი გულშემბატკივარი, ბატონ ბადრის დამფასებელი და პატივისმცემელი ალექსეი ლოგვინიუკი.



**პეტერგოფი, ალექსეი ლოგვინიუკთან ერთად**

ნიშანდობლივია, რომ საარქივო მომსახურებისათვის საჭირო ხარჯებიდან 30 000 რუბლი გაიღო ბატონმა ბადრი კაკაბაძემ.



**რუსეთის სახელმწიფო ისტორიული არქივი**

დღეს, ჩვენს მიერ შეკვეთილი საარქივო დოკუმენტები ბათუმშია. გამდიდრდა საარქივო სამმართველოს ფონდები. შემოტანილი დოკუმენტების ნაწილი სრულიად უცნობია ქართველი მეცნიერებისათვის. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის ამ დოკუმენტებს აქვს ფასდაუდებელი მნიშვნელობა, რაც ბატონი ბადრის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.



**რუსეთის სახელმწიფო ისტორიული არქივის სამკითხველო დარბაზი**

აჭარის საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობა და მთელი კოლექტივი გამოხატავს უდიდესი მადლიერების გრძნობას ჩვენი პეტერბურგელი თანამემამულისადმი. მადლობა უნდა მოვახსენოთ აგრეთვე აჭარის მთავრო-

ბის თავმჯდომარეს ზურაბ პატარაძეს, რომლის შუამდგომლობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სახელოვან მეცენატთან დაკავშირება.

პეტერბურგის არქივში მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია აგრეთვე ინგუშმა ქალბატონმა, კუნსტკამერის თანამშრომელმა, შესანიშნავმა მეცნიერმა და ქართველების დიდმა გულშემატკივარმა მაკა ალბაგაჩიევამ.



მაკა ალბაგაჩიევა სამკითხველო დარბაზში

ქალბატონმა მაკამ შემომთავაზა კუნსტკამერის თანამშრომლებთან წამეკითხა ლექცია საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ. მან გამაცნო კუნსტკამერის თანამშრომლები, რომელთა შორის აღმოჩნდა ახალგაზრდა ქართველოლოგი, ქართული ენის, ქართველთა ისტორიისა და ტრადიციულ-ყოფითი კულტურის შესანიშნავი მცოდნე ევგენია ზახაროვა. ქალბატონმა ევგენიამ გვიჩვენა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე მის მიერ გამოცემული ფოტოალბომი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ.



კუნსტკამერის თანამშრომლებთან ერთად,მარცხნიდან მეორე ევგენია ზახაროვა

საყოველთაოდ ცნობილია ინგუშების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ქართველების მიმართ. კონფლიქტურ რეგიონებში ბოლო პერიოდში განვითარებული პოლიტიკური და სამხედრო მოვლენების დროს არც ერთ ინგუშს არ გადაუდგამს ქართველების საწინააღმდეგო ნაბიჯი. მათ კარგად ახსოვთ ინგუშთა დეპორტაცია, რომელთა სახლებში ჩაასახლეს ქართველები, მაგრამ რეპატრიაციის შემდეგ, როცა ინგუშები დაუბრუნდნენ სამშობლოს, ქართველებმა უპრობლემოდ დატოვეს ინგუშთა სახლები, უსასყიდლოდ დაუტოვეს უძრავ-მოძრავი ქონება და ცოცხალი პირუტყვი. აღნიშნულის შესახებ აღფრთოვანებით საუბრობდა ჩემი ინგუში მასპინძელი. ნიშანდობლივია, რომ მაკა ალბაგაჩიევას მეუღლე მაგამედი, რომელმაც ქართულ რესტორანში გამიწია მასპინძლობა, ბადრი კაკაბაძის მეგობარი აღმოჩნდა.



**პეტერბურგი, მაგამედ ალბაგაჩიევთან ერთად**

ბადრი კაკაბაძე საუკეთესო ადამიანური თვისებებით დააჯილდოვა განგებამ. ყველაზე მთავარი – მეგობრობის ღვთიური ნიჭია. მთელ პეტერბურგში ცნობილია ბადრი კაკაბაძისა და ქუთაისელი ნუკრი აბულაძის გულისთადი, ყველასათვის სამაგალითო მეგობრობა. სულიერი ტკივილების წნეხში გამოტარებულ ნუკრი აბულაძეს, რომელსაც ბედის უკუღმართობამ ერთადერთი ქალიშვილი, მისი ცხოვრების არსი და მიზანი 30 წლის ასაკში წაართვა, თან უნდა გამოჰყოლოდა სამღურავი წუთისოფლისადმი, მაგრამ მის პიროვნებაში ყოველთვის ხარობდა უპირველესი საწყისი – კაცთმოყვარეობა, ურთიერთმიმტევებლობა, შინაგანი პატიოსნება, ოპტიმიზმი. ამ განწყობით გვიმასპინძლდებოდა ყოველდღიურად **სამშობლოს მონატრებული, დარდიანი და ტკივილიანი, მაგრამ იმედიანი და სიცოცხლისმოყვარე ადამიანი**. სიყვარული იყო და არის მისი ცხოვრების ძირითადი მიზანი. სწორედ ამან განაპირობა ამ ორი შესანიშნავი პიროვნების მეგობრობა. ბადრი კაკაბაძე გვერდში დაუდგა თავის მეგობარს, არ მიატოვა შუაგზაზე და დღენიადაც ცდილობს შეუმსუბუქოს თავს დატეხილი ტრაგედიით განპირობებული სულიერი ტკივილები. ამჟამად, ნუკრი აბულაძე ბადრი კაკაბაძის ფირმის მფლობელობაში არსებული კაფე „რედ“-ის დირექტორია, ხოლო მისი ორივე უღედ-მამო შვილიშვილი ბადრი კაკაბაძის ზრუნვის საგანი. ბადრი

კაკაბაძის სახლისა თუ ოფისის კარები ყოველთვის ღიაა ბედის უკუღმართობით გაუბედურებული ბატონი ნუკრის, მისი შვილიშვილებისა თუ პეტერბურგში მცხოვრები ყველა ქართველისათვის. უფრო მეტიც, საქართველოდან ჩასული ყოველი ადამიანისათვის.



პეტერბურგი, კაფე „რედი“, ნუკრი აბულაძესთან ერთად

ბადრი კაკაბაძეს არ დაკლებია თანამშრომელთა სიყვარული, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მაინც ისაა, რომ დღეს საქართველოში არიან მადლიერი ადამიანები, რომლებიც ამყობენ უცხოეთში მცხოვრები ქართველების წარმატებებითა და მაღალზნეობრიობით. მათ შორიაა ამ სტრიქონების ავტორიც.

წარმატებების მიუხედავად ბადრი კაკაბაძე ჩემს წარმოდგენაში (რომელსაც პირადად არასოდეს შევხვედრივარ) არის **თავმდაბალი, უბრალო, სამართლიანი და პრინციპული პიროვნება**. მისი თავმდაბლობის უტყუარი მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი ფირმის სამდივნოსაგან **ვერ მივიღეთ ბატონი ბადრის ვერც ფოტო და ვერც მისი მოდვაწეობის, ქველმოქმედების, სასიკეთო საქმეების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია**. შესაბამისად, სტატიაში წარმოდგენილი ზოგიერთი ინფორმაცია ინტერნეტში გამოქვეყნებულ მასალებს ეფუძნება. ვფიქრობ, რომ ეს ერთი ფაქტიც საკმარისია ქართველი ბიზნესმენის სიდიადისა და კეთილშობილების წარმოსაჩენად.

ბადრი კაკაბაძე შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუაა. სანკტ-პეტერბურგში დაიბადნენ და გაიზარდნენ მისი შვილები და შვილიშვილები. თუმცა, ქართველი ბიზნესმენი ამბობს, რომ მაინცდამაინც არ სურს, შვილებმა მისი საქმიანობა გააგრძელონ, რადგან მიაჩნია, რომ ის, რასაც თვითონ აკეთებს, საკამოდ ბევრ ენერგიას მოითხოვს. ბადრი კაკაბაძის უფროსმა ვაჟმა მომავალი საბანკო სფეროს დაუკავშირა, გოგონამ კი ტურიზმი არჩია და სწავლა ამ მიმართულებით ესპანეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში გააგრძელა.

ბატონ ბადრის უამრავი ადამიანი იცნობს და ესიყვარულემა. იგი დღესაც უზიარებს კოლეგებს თავის გამოცდილებას და მხარდაჭერას სთავაზობს მეზობელს თუ მეგობარს, ნაცნობსა თუ უცნობს.

„კაცურკაცობა ბუნების ჯილდოა, მაგრამ ძვირია.“ ამ ქართული ანდაზის ჭეშმარიტებაში დარწმუნდება ყველა, ვისაც მასთან პირდაპირ თუ ირიბად ერთხელ მაინც ჰქონია შეხვედრის შესაძლებლობა. ბუნების ეს ჯილდო ყველა დანარჩენ თვისებას სჭარბობს ქართული სიღარბაისლით გამორჩეული ბადრი კაკაბაძის პიროვნებაში.

ცხოვრება გრძელდება, „დრო კი მიდის, მიდის, მიდის მდინარესავით,“ მაგრამ ბატონი ბადრი კვლავ ჩვეული შემართებით დააბიჯებს პეტერბურგის ქუჩებში, სამშობლოზე მზრუნველი, ზნეკეთილი, დარბაისელი მოქალაქე, მომლიმარი, საღმიანი და მადლიანი, მხნე და ქედმოუტეხელი, იღწვის და შრომობს, რათა კვლავაც გაათბოს დროის უკუღმართობით გაციებული ადამიანთა გულები.

თოვლა და თბილისს ეზურა თალხი...

სამწუხაროდ, მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელიც საქართველოს ისტორიას ერთი და არც თუ ისე სქელი წიგნით VI-X კლასებში, ანუ 5 წლის განმავლობაში სწავლობდა. ბედის ირონია იყო სწორედაც, რომ ისტორია უძველესი ქვეყნისა, რომელიც დასაბამს ჩვენს წელთაღრიცხვამდე იღებს, მხოლოდ ერთ სასკოლო წიგნში იყო მოთავსებული და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მასში თავმოყრილი მასალის 80- 90 % საბჭოთა საქართველოს ეხებოდა, ადვილი წარმოსადგენია, რა მცირედით იყო წარმოდგენილი ჩვენი ერის ისტორიული წარსული და შესაბამისად რა მწირი იყო ჩვენი ცოდნაც.

ჩემდაუნებურად, ჩემში და ზოგადად ჩემს თაობაში ხშირად მწიფდებოდა პროტესტი, მაგალითად, თუ 15-ვე რესპუბლიკა თანასწორუფლებიანია რატომ მოსკოვია საბჭოთა კავშირის დედაქალაქი და არა თბილისი, ან სხვა? რატომ რუსეთია „უფროსი ძმა“ და არა საქართველო, რატომ რუსული ენა და არა ქართული? და რა თქმა უნდა ამ კითხვებზე დამაჯერებელ პასუხებს ვერ ვპოულობდი, ან კი როგორ ვიპოვიდი, როდესაც ჩვენს ისტორიულ წარსულში იყო: 1924 წლის აჯანყება, იყვნენ რეპრესირებულები და დახვრეტილები, იყო 1956 წლის 9 მარტი და დასჯილი საქართველო... შემდეგ იყო 1978 წელი- ენის დაკარგვის საშიშროება და ქართული ენის დასაცავად ფეხზე დამდგარი მთელი საქართველო. ხოლო 11 წლის შემდეგ, როცა 1989 წლის 9 აპრილს, კიდევ ერთი სისხლიანი კვირა დღე გაუთენდა საქართველოს, როცა კიდევ ერთი შავი და ტრაგიკული ფურცელი დაიწერა ჩვენი ისტორიისა, მთლიანად შეიცვალა ჩვენი ცხოვრება. იატაკქვეშეთიდან გამოსულმა დისიდენტებმა სულ უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა შემოიკრიბა და გააძლიერა ეროვნული მოძრაობა, მომრავლდა მიტინგები და გამოსვლები, ხელმისაწვდომი გახდა ოპოზიციური ლიტერატურა, რომელიც უმეტესად ხელნაწერის სახით ხელიდან ხელში გადადიოდა, თანდათანობით სამზეოზე გამოვიდა საქართველოს ისტორიის უცნობი ფურცლები.....

და აღმოჩნდა, რომ სულ სხვა ისტორია გვისწავლია, სულ სხვა წარსულიდან მოვსულვართ და რომ ჩვენი მატთანეც იმაზე ბევრად მეტი ღირსეული მეფეებისა და მამულიშვილების საგმირო საქმეებს ინახავდა, ვიდრე ჩვენს სასკოლო წიგნებსა და კომუნისტური რეჟიმისაგან ნებადართულ იმდროინდელ ლიტერატურაში ვკითხულობდით.

და სამწუხარო რეალობის წინაშე დავდექით, რადგან თურმე მთელი ეს წლები ტყუილში გვიცხოვრია და რომ 1921 წლის 25 თებერვალი და 18 მარტი- საქართველოსა და შესაბამისად აჭარის გასაბჭოების დღე- საზეიმო და უკეთესი მერმისის საწყისი კი არ ყოფილა, არამედ დღე საქართველოს ოკუპაციისა, დღე საქართველოს დიდი ხნის ნანატრი და ძლივს მოპოვებული დამოუკიდებლობის დაკარგვისა.

ჩემს ბავშვობაში ალბად ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ დადგებოდა დრო, როცა 25 თებერვლის სახელმწიფოებრივად საზეიმო განწყობა და

ზარ-ზეიმით აღნიშვნა, ტკივილითა და სხვა დატვირთვით შეიცვლებოდა და ეწოდებოდა ამ დღეს საქართველოს ოკუპაციის დღე. ამდენად ამ თარიღმა ორი დატვირთვა მიიღო: დღე გასაბჭოებისა და დღე ოკუპაციისა; მედლის ერთ მხარეს იყვნენ ბოლშევიკები თავისი იდეალებით და მიზნებით, მეორე მხარეს კი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლები. ასე იყო იუნკერების შემთხვევაშიც. თბილისისა და ბათუმის დამცველი მებრძოლებისა და იუნკერების გამირობა დიდხანს რჩებოდა ისტორიული ფარდის მიღმა და სხვა შეფასებით. მაგრამ დაუბერა საბჭოთა კავშირში გარდაქმნის, ე.წ. „პერესტოიკის“ სიომ და დიდი ბრძოლა და მონდომება აღარ დასჭირვებია აჭარაში ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს, რომ 1990 წელს ხელისუფლებისათვის გამოეთხოვათ ნებართვა - გადაეთხარათ ლენინის მოედანი და შესაბამისი პატივი მიეგოთ 1921 წელს ბათუმისათვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლებისათვის, რომლებიც სწორედ ამ მოედანზე განისვენებდნენ. სხვა ცხოვრებითა და ემოციებით ცხოვრობდა იმ დღეებში ბათუმი და ბათუმელები, რომელთაც თავის მოვალეობად მიაჩნდათ საქმით და სიტყვით მდგარიყვნენ მათ გვერდზე, ვინც ეს საშვილიშვილო საქმე წამოიწყო... ლოგიკურია, რომ ეროვნულმა მოძრაობამ მოედანისათვის სახელის შეცვლაზეც იზრუნა და 1990 წლი 23 მაისს, ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით, მას თავისუფლების მოედანი ეწოდა. ამ დღეების ამსახველი ფოტომასალა დაცულია ჩვენს არქივში.


დღეს, აჭარის საარქივო სამმართველოში საქართველოს შსს არქივის მიერ მომზადებული წიგნის „საქართველოს ოკუპაცია, ბოლშევიკური ინტერპრეტაციები“ პრეზენტაციაა.

წიგნისა, რომელიც მართალია ბოლშევიკების და მათი მომხრეების მოგონებების კრებულია, მაგრამ ვეთანხმები წიგნის შემდგენელთ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ „შსს არქივში დაცული ფაქტობრივი მასალების საფუძველზე, უახლოესი წარსული გამოცდილებოს კიდევ ერთხელ, თანამედროვე გადასახედიდან გააზრება და დაშვებული შეცდომების გაანალიზება უკეთესი მომავლის პერსპექტიული დაგეგმარების საუკეთესო თეორიულ პლაცდარმსა და მეთოდოლოგიურ-ემპირიულ წანამდღვარს წარმოადგენს.“

ჩვენს არქივში, კერძოდ აჭარისტანის ასსრ რევოლუციური კომიტეტის ფონდში მცირე, მაგრამ მაინც საინტერესო მასალაა დაცული, რომელიც 1921 წლის 18 მარტს ბათუმისათვისბრძოლაში დაჭრილ და გამოჯანმრთელებულ ჯარისკაცთა ოჯახებში დაბრუნებას, დაღუპულ მებრძოლთა დაკრძალვის ცერემონიას და მასში სამხედრო გარნიზონის მონაწილეობას ეხება.

რა თქმა უნდა უნდა ესეც ბოლშევიკური გადასახედიდან შექმნილი მასალაა, მაგრამ ჩვენი ისტორიაა და მას შესაბამისი შესწავლა სჭირდება.

როცა 1921 წლის 25 თებერვალზეა საუბარი, ჩემდაუნებურად მახსენდება კოლაუ ნადირაძის აწ უკვე ცნობილი, ჩემს ბავშვობაში კი ტაბუდადებული ლექსი:



თოვდა ...და თბილსს ებურა თაღსი,  
 ღუმდა სიონი და ღუმდა ხაღსი.  
 იმ გზით, სად წინათ ელაგდნენ ხმლები,  
 სად სამას გმირთა დაიშენა ძვლები,  
 სად ქართველის დედის ცრემლით ნანამი.  
 მძიმედ დაეშვა ჩვენი ალაში,  
 სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,  
 თოვლს დაეფარა კრწანისის ველი,-  
 წითელი დროშით, მოღერილ ყელით,  
 თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელი  
 შემოდოდა სიკვდილი ცელით!

მაგრამ „არაფერი არს დამალული, რაი არ გაცხადდესო“-დაღადებს ბიბლიური სიბრძნე და ამ ჭეშმარიტების დასტურია ის, რომ დღეს ჩვენ , 1921 წლის 25 თებერვალს შესაბამის კონტექსტში მთელი თავისი დაღებითი და უარყოფითი შეფასებებით განვიხილავთ.

არქივებში დაუნჯებულ ფონდებში კი შესასწავლი და გამოსაკვლევი ჯერ ისევ ბევრია და ამ თემით დაინტერესებულ მკვლევარ-ისტორიკოსებს ელოდება.

## რეცენზია

*სერგო დუმბაძე  
ნიკოლოზ დუმბაძე*

### *მრავალხრივ მნიშვნელოვანი ნაშრომი*

დიდი ილია ჭავჭავაძე წერს: „წარსული აწმყოს საფუძველია, აწმყო მომავლისა.“ ამ კუთხით საინტერესოა ბატონ ბორის ფოცხვერაშვილის სარეცენზიო ნაშრომი „წარსული, რომელიც დასავიწყებლად არ მემეტება“ (გამოცემულია 2014 წელს ქუთაისში). წიგნი სოლიდურია, მოიცავს 358 გვერდს, დაწერილია რწმენითი და რუდუნებით განვლილი ცხოვრების, მდიდარი გამოცდილების მქონე ავტორის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში კარგად ჩახედული პიროვნების, მაღალინტელექტუალური მოაზროვნის მიერ თვალით ნახული და გრძნობით განცდილი წარსულის შესახებ.

წიგნის სათაურიც შერჩეულია მეტად გონივრულად, ადეკვატურად გამოხატავს დროის სამი განზომილებისთვის ავტორის დამოკიდებულებას, რაც მთავარია, ავტორს იმდენად კარგი წარსული აქვს, რომ დასავიწყებლად მართლაც არაა გასამეტებელი.

წიგნის ავტორს, ბატონ ბორის ფოცხვერაშვილს ბევრი რამ აკავშირებს ქ. ბათუმთან, საერთოდ აჭარასთან. მისი დედა ქსენია პეტრეს ასული კოპალეიშვილი თბილისის რკინიგზის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბათუმის რკინიგზის სადგურში ჯერ მორიგედ, შემდეგ ვაგზლის უფროსად.

ბორისის მამას ბიქტორ დავითის ძე ფოცხვერაშვილს, კომკავშირული და პარტიული ცხოვრების საკმაო სტაჟისა და გამოცდილების მქონეს, საქართველოს ცკ-ის დავალებით სამუშაოდ ავლენენ აჭარაში და დაინიშნა პარტიის ქედის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. სწორედ აქ შეხვდნენ ბორისის მშობლები ერთმანეთს და 1934 წელს შეუღლდნენ, ცხოვრობდნენ ქ. ბათუმის რუსთაველის ქუჩის №43-ში ოროთახიან ბინაში. ბორისიც ბათუმში დაიბადა 1936 წელს, მამის სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით დედა ჩვილ ბავშვთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ბებიასთან სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში, სადაც მან განვლო ბავშვობაც და ფუძეც აქ დაიდო.

სიმბოლურია, რომ ბორისმა უმაღლესი განათლება მშობლიურ ქალაქ ბათუმში მიიღო. სტუდენტობისას ამოირჩია გულისწორი და ცოლად შეირთო სამტრედიელი ფლორა ლეკვეიშვილი, რომლის ძმა ბატონი დავით ლეკვეიშვილი აჭარაში განთქმული მოღვაწე იყო. იგი ჯერ ქობულეთში იყო რაიკომის მეორე მდივანი, შემდეგ დააწინაურეს პარტიის ხულოს რაიკომის პირველ მდივანად, სადაც ნაყოფიერად იღვაწა რაიონის კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურებისა და ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისთვის. შემდგომში ბატონი დავითი მუშაობდა აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ.

თავად ბატონმა ბორისმა თავის დროზე გამოიჩინა დიდი გულისხმიერება და იზრუნა სტიქიაში მოხვედრილი აჭარის მთიანეთიდან სამტრედიის რაიონში ჩასახლებულთა დასამკვიდრებლად და მათთვის შრომისა და

ცხოვრების ნორმალური პირობების შესაქმნელად. ამიტომაც ამისთვის დიდად ემადლიერებიან მას. ბატონი ბორის ფოცხვერაშვილი, როგორც გარკვეული რანგის ყოფილი ხელმძღვანელი (კომკავშირის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, რაიადმასკომის თავმჯდომარე), ემსახურებოდა სამშობლოს და თავის ხალხს. ამ შემთხვევაში, როცა ვაფასებთ პიროვნების მოღვაწეობას, თუ ავტორის ნაშრომს, მხედველობაში უნდა მივიღოთ სამშობლოსთვის გაწეული მისი ღვაწლი. ამ პრინციპით უნდა აიხსნას ისიც, რომ თანამედროვე მკითხველი ეცნობა ყოფილი საბჭოთა მოღვაწეების ნაშრომებს, კონკრეტულ შემთხვევაში, მემუარებს. ამის ერთ-ერთი საუკეთესო და სავსებით გასაზიარებელი ნიმუში თუ მაგალითია ბატონი ბორის ფოცხვერაშვილი და მისი მემუარები.

მემუარების გამოცემაზე ფიქრი სერიოზულად დაუწყია იმ განზრახვით, რომ შთამომავლობამ, სამწუხაროდ, ნაკლებად ან სულ არ იცის თავისი წინაპრების შესახებ, რაც გაუმართლებლად მიიჩნია ავტორს და იგი შეეცადა იმ საკითხების წინა პლანზე წამოწევას, რაც მომავალი თაობებისთვის მისაღები და გასათვალისწინებელი იქნებოდა. ავტორი პირადი ცხოვრების სახით აჩვენებს იმასაც, რომ ობლად, მარტოდმარტო დარჩენილი ავტორი არ შეუშინდა ცხოვრების სირთულეებს, ბებია-ბიძის რჩევა-დარიგებით შეეჭიდა სიძნელეებს, ნათესავთა ხელშეწყობით და თანადგომით აარჩია სწორი, ჭეშმარიტი გზა და ცხოვრება პატიოსნად, სანიმუშოდ განვლო. თავისი საქმიანობითა და მოქალაქეობრივი თვისებებით საზოგადოებაში დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი იმდენად, რომ უკან მოხედვაც არ რცხვენია.

ნაშრომის სიუჟეტი იწყება წინაპრებზე საუბრით. ავტორი წერს, რომ ისინი თუშეთიდან, ქისტაურები ყოფილან, შემდგომში, უკვე ფოცხვერაშვილების ნაწილი, XVI საუკუნეში კახეთიდან იმერეთში, კერძოდ, თერჯოლის რაიონის სოფელ რუფოთში დასახლებულან. მათგან რამდენიმე ოჯახი ღვთისმსახურებას შედგომია. ავტორის უშუალო წინაპარი, დიდი ბაბუას მამა, გიორგი ფოცხვერაშვილი ბაღდათის რაიონის სოფელ სადემეტრაოში (წითელხევში) გაუნაწილებიათ. ბაბუა დავითიც მის გზას გაჰყოლია, მუსიკალური განათლებაც მიუღია, ბებიის მოყოლით, სოფლის ბავშვებს ვიოლინოზე დაკვრასაც ასწავლიდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დავითს ანაფორა გაუხდია და თავისი მეურნეობის მოვლა-პატრონობას შედგომია.

ავტორი გულწრფელად იმასაც ამბობს, რომ ბაბუა დავითსა და მის უმცროს ძმას, კოტე ფოცხვერაშვილს, შემდგომში ცნობილ კომპოზიტორს, ქველმოქმედს, დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნის „დიდება“-ს ავტორს შორის დაპირისპირება მომხდარა, მათი სხვადასხვა იდეოლოგიური მრწამსის გამო. კოტე მენშევიკური, ხოლო ბაბუა, მიუხედავად ღვთისმსახურებისა, ბოლშევიკური ორიენტაციისა ყოფილან. კოტეს არსებული ხელისუფლებისადმი ერთგულების დასამტკიცებლად მთავრობისათვის გადაუცია სოფლად საერთო ორსართულიანი სახლი, რომელშიც შემდგომ სოფლის სკოლა გაუხსნიათ. ამ ფაქტის გამო ძმები სიცოცხლის ბოლომდე უბრად დარჩენილან.

მშობლებზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ მამა ბიქტორ დავითის ძე ფოცხვერაშვილი 1909 წელს დაბადებულია. საკმაო განათლებაც მიუღია.

1936 წელს ბიქტორი ჯარში წასულა. 1941 წელს მოხალისედ წავიდა ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1942 წელს ყირიმთან ბრძოლაში დაჭრილა. დემობილიზაციით დაბრუნდა ჯარიდან და აჭარის კურორტსამმართველოს უფროსად დანიშნეს. გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ფრონტზეა. 1943 წლის 27 ივლისს ბელგოროდთან წარმოებულ ბრძოლებში დაიღუპა. განისვენებს იქვე ახლოს, „კრაპივინსკიე დვორის“ ძმთა სასაფლაოზე. 1961 წელს პირველად, შემდეგ თითქმის ყოველწლიურად ჩადიოდა მამის საფლავს.

ავტორი დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებს დედასაც. ქსენია პეტრეს ასულ კოპალეიშვილს, დაბადებულს 1911 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში.

ავტორი გულისტკივილით იგონებს იმასაც, რომ მშობლები ადრეულ ასაკში გარდაიცვალნენ, როცა თვითონ იყო 7 წლის. უფრო მეტად ასსოვს დედა, რომელმაც იგი მიიყვანა სკოლის პირველ კლასში.

ობლად დარჩენილი შვილი არდადეგებს უფრო მეტად ასინეთ ბებიასთან, მამის დედასთან, წითელხევში ატარებდა. ბებია დაამახსოვრდა კიდევ იმითაც, რომ სტუდენტობის დროს 1 000 მანეთი აჩუქა შვილიშვილს. ობლად დარჩენილი ბორისი პიროვნებად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ანიჭებდა დედის დედას, ნატალია შალამბერიძე-კოპალეიშვილს. მის სიტყვასა და აზრს ახლობლებში მუდამ ფასი ჰქონდა, „ოთარაანთ ქვრივს“ ეძახდნენ. 25 წლის ასაკში ცალუღელად დარჩენილმა ბებიამ თავისი ცხოვრება შვილებისა და შვილიშვილების აღზრდას შეაღწია. ხელისუფლებამ მონღოლმა ობოლი ბავშვის ბავშვთა სახლში გადაყვანა, ბათუმიდან ბებიასთან სპეციალურად კაციც მისულა, მაგრამ ბებიამ კატეგორიული უარით გაისტუმრა სტუმარი.

წიგნის ერთ-ერთი ქვეთავია „ახლობლების ძიებაში“ (გვ. 11-15). რაკი ავტორი მცირე ასაკში დაობლდა, ახლო ნათესავებს არ იცნობდა და არც იცოდა, ვინ ჰყავდა. ბებიასგან გაგონილით დაიწყო ძებნა და თავის მოგვარებებთან დაამყარა კავშირურთიერთობა. ამაში მას ხელს უწყობდა მისი სამსახურებრივი მდგომარეობა, რითაც ყველა ქალაქისა თუ რაიონის კოლეგების მეშვეობით მოიძია და გაიცნო ისინი, ესტუმრა ოჯახებში, განჩნდა ნამდვილი სისხლით ნათესავური ურთიერთობა ფოცხვერაშვილებს შორის და ეს სითბო და სიყვარული გრძელდება დღემდეც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით შთამბეჭდავია ბორისის შეხვედრა ბაბუას ძმასთან. კოტე ფოცხვერაშვილთან, რომელიც ქ. ბათუმში, 1956 წელს, როცა ბორისი ბათუმის პედინსტიტუტის სტუდენტი იყო, ჩამოსულა მასწავლებელთა სახლში ლექციის წასაკითხად. ლექციის დამთავრების შემდეგ ლექტორთან მივიდა ბორისი, მისი მსმენელი, მიესალმა. ლექტორი კი თავისი სახელ-გვარით წარსდგა ახალგაზრდა კაცის წინაშე. როცა დარწმუნდა მსმენელის სადაურობასა და მის ნათესაობაში, აღმოხდა: „ჩემი პირველი ძმის ბიქტორის ვაჟი ყოფილხარო.“ მაგრად გადაეხვია და გულში ჩაიკრა.

ბორისის მეგობრების თანადგომით 1990 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კოტე ფოცხვერაშვილის სახელი მიენიჭა წითელხევის საშუალო და სოფლის მუსიკალურ სკოლებს.

წიგნის ავტორს ბევრი მეგობარი ჰყავს. ხშირად ისმის კითხვა: რამდენი მეგობარი შეიძლება ჰყავდეს ადამიანს? პასუხი სხვადასხვაა. ჩვენ კი წინამდებარე წიგნის წაკითხვის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდით იმაში, რომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში კონკრეტული ციფრის დასახელება. ეს დამოკიდებულია თითოეულ ადამიანზე, მის ხასიათსა და უნარზე.

ოჯახური აღზრდა გაადრმავე უმაღლესმა განათლებამ. ბატონმა ბორისმა დაამთავრა ბათუმის პქდაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ფაკულტეტი. იყო აღიარებული მასწავლებელი, ნიჭიერი ლექტორი, დაწინაურდა კომკავშირულ, პარტიულ და სახელმწიფო სამსახურებში პირველ კაცად. პირველ კაცობას სჭირდებოდა კანონების ცოდნა. 1972 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის იურიდიული ფაკულტეტი.

ბატონი ბორისი ნაშრომში თავისი თავის წინაშე სვამს ლოგიკურ კითხვას: რა შეიცვალა ჩემში იურიდიული განათლების შემდეგ? ღირდა კი ამისათვის ხუთი წლის „გაცდენა“? და იქვე პასუხობს: „პირველი, როგორც სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, რაიმე საკითხზე მსჯელობის თუ მომხდარი ფაქტის შეფასებას, უკვე სამართლებრივი თვალსაზრისით ვუდგებოდი... მოვლენების შეფასებისას უფრო მობილიზებული და თვითკრიტიკული გავხდი.

იურიდიულმა განათლებამ გადამწყვეტი სიტყვა თქვა ჩემს შემდგომ სამსახურებრივ კარიერაზეც, ეს იყო რაიკომი, აღმასკომის თავმჯდომარეობა, რაიონის გამგებლობა თუ სახელმწიფო ქონების მართვის (პრივატიზაციის სამმართველოს უფროსისა),“ – დასძენს ავტორი (გვ. 58).

ნაშრომის ავტორი მრავალმხრივი პიროვნებაა. კარგი ლიტერატორი, იუმორისტი, პოეზიის მოყვარული, თავისი ლექსებისა, რომლებიც ამჟვენებენ მის შემუარებს. იგი დიდი სიყვარულით საუბრობს ინსტიტუტის კურსელებზე, დენდი (იუზა ლორია), ლუკმის გამყოფი (ანზორ ციცხვაია), აჭარის ბუღბუღი (ზურაბ გორგილაძე) და სხვები.

მემუარები საინტერესოა აგრეთვე იმითაც, რომ ავტორი გამოხატავს დამოკიდებულებას გასული საუკუნის 90-იანი, მიმდინარე საუკუნის დასაწყისში საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა, აგვისტოს ომი. ამაში ავტორი ადანაშაულებს მხედრიონელებსა და გვარდიელებს, რომლებიც ატარებდნენ პარტიკულარულ პოლიტიკას და მოქმედებდნენ პრინციპით: „ძალა აღმართს ხნავს“ (გვ. 93-111). აქვე ავტორი თვითკრიტიკულად უდგება საკუთარ შეცდომებსაც.

ამგვარად, სარეცენზიოდ წარმოდგენილი ნაშრომი მემუარული ლიტერატურის კარგი შენაძენია, დაწერილია გამართული ქართულით, დახვეწილი ლიტერატურულ-მხატვრული ენით, იკითხება საინტერესოდ, არის ილუსტრირებული, მიუთითებს ბატონი ბორის ფოცხვერაშვილის, როგორც ავტორის, მაღალ ინტელექტზე, ერუდიციაზე, როგორც ხელმძღვანელის, სახელმწიფოებრივ აზროვნებასა, მრავალმხრივ საქმიან და შედეგიან მოღვაწეობაზე, რაც შეხამებულია ნაშრომის „ბოლოთქმაში“, ალბათ აჯობებდა თავიც „წინათქმა“.

ნაშრომი ატარებს დიდაქტიკის ნიშნებსაც. მკითხველი, დაინტერესების შემთხვევაში, მიიღებს ბევრ სასარგებლო რჩევასა და გამოცდილებას, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იღვაწოს, რომ საზოგადოებაში დაიმკვიდროს

კუთვნილი ადგილი. შთამომავლობამ, მომავალმა თაობამ დაიმახსოვროს შენი კარგი სახელი და კეთილი საქმე.

ავტორს, ბატონ ბორისს ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, კვლავაც გეზრუნოს შენი ოჯახის, გვარის, მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ. თქვენი სანიმუშო ოჯახის ახლობლებით, მეგობართა წრით, განვლილი გზით, ნაყოფიერი მოღვაწეობით, ქველმოქმედებითა და ბოლოს, მემუარების შექმნით საკუთარი ხელით დაიდგით ძეგლი თქვენს სიცოცხლეში.

**ახალი წიგნები**  
**(მასალები მოამზადეს პროფ. მალხაზ ჩოხარაძემ და**  
**თამაზ ფუტყარაძემ)**


**წერილები სტამბოლის ქართული**  
**საგანიდან**

მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში გამოცემული 1032 გვერდიანი ფუნდამენტალური გამოცემა „წერილები სტამბოლის ქართული საგანიდან“. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერუტუსი პროფესორი **შუშანა ფუტყარაძე**. თავადვე არის წიგნის რედაქტორიც.

წიგნი შვიდი კარისაგან შედგება და აერთიანებს სტამბოლის ქართველ-კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის ბიბლიოთეკასა და არქივში დაცულ პუბლიცისტურ და კერძო წერილებს, მემუარებს, ემიგრანტული მთავრობის საქმიანობის ამსახველ მასალებს, სხვადასხვა შინაარსის ისტორიული წყაროებს.


კრებულში მოცემულია აგრეთვე საგრანტო პროექტის მონაწილეთა (მერაბ ხალვაში, თამილა ლომთათიძე, ელზა ფუტყარაძე, როინ მალაყმაძე, ნაილე ჩელებაძე, შორენა ფუტყარაძე, ციალა ნარაკიძე, ნარგიზ ახვლედიანი ბიჭიკო დიასამიძე, ნოდარ კახიძე) ნამუშევრები სტამბოლის ქართულ საგანეში დაცული დოკუმენტებისა და ჩვენებულების შესახებ.

წიგნი საუკეთესო საჩუქარია ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, პუბლიცისტიკის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისა და ზოგადად ქართული საზოგადოებრიობისათვის. მასში გამოქვეყნებული მასალების უდიდესი ნაწილი წყაროს როლს შეასრულებს მშობლიური ქვეყნის ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ დასახელებული წიგნი მხოლოდ პირველი ნაწილია სტამბოლის ქართულ საგანეში დაცული მემკვიდრეობისა. გვჯერა, რომ სამეცნიერო ჯგუფი პროფესორ შუშანა ფუტყარაძის ხელმძღვანელობით კვლავაც გაახარებს ქართველ მკითხველს ასეთი შესანიშნავი გამოცემებით.



## ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში

ბოლო წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივმა არაერთი შესანიშნავი გამოცემით გაახარა მკითხველი. სამსჯავროზე გამოიტანა ორტომეული: „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში“, რომელშიც წარმოდგენილია შინსახკომის მიერ გამოხორციელებული სამი ძირითადი მასობრივი ოპერაციის („კულაკური“, „ნაციონალური“ და „მილიციის“) ამსახველი მასალები. მეორე ტომში ამ პროცესების ამსახველი საარქივო დოკუმენტური წყაროებია დაბეჭდილი. ამასთან, გამოკვეთილია მასობრივი ტერორის თავისებურებანი საქართველოში, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ტერორის ეროვნული მოდელი. მხედველობაში გვაქვს საზოგადოების ელიტარული ნაწილის მიმართ გამოჩენილი სისასტიკე და მასშტაბები, რაც ცენტრიდან სადამსჯელო უფლებამოსილების ნაწილის პერიფერიისათვის გადაცემითაა ახსნილი. არასასამართლო ინსტანცია დაჩქარებული წესით რიგით მოქალაქეებს, რომლებსაც არავითარი შეხება არ ჰქონდათ პოლიტიკასთან.



ნაშრომში ტერორის კიდევ ერთი „ქართული სპეციფიკის“ შესახებაა საუბარი. იგულისხმება „ნაციონალური დიასპორების“ „რბილი“ დასჯა გერმანელების გამოკლებით.

აღნიშნული პროექტი განხორციელდა ომარ თუშურაშვილისა და მარკო იუნგეს ხელმძღვანელობით, ხოლო კოორდინატორი გახლავთ დავით ალავერდაშვილი. წიგნის გამოცემამ ნათლად წარმოაჩინა საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკის არსი და შინაგანი ბუნება, პიროვნული შიში და ჭრილობები, რაც თამ ახლდა დიდი ტერორის განხორციელებას.

დასახელებულ ნაშრომს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება. ორტომეული ხელს შეუწყობს მკითხველ საზოგადოებას ადვილად დაძლიოს საბჭოთა სისტემის მძიმე მემკვიდრეობა.

## მშვიდობით ძმებო, გხვრეტენ ამაღამ!

2016 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივმა კიდევ ერთი საჩუქარი მიუძღვნა ქართველ მკითხველს. ომარ თუშურაშვილის ხელმძღვანელობით, დავით ალავერდაშვილის კოორდინატორობითა და მიხეილ ბახტაძის კონსულტანტობით დაიბეჭდა დოკუმენტების კრებული „მშვიდობით ძმებო, გხვრეტენ ამაღამ“.



წიგნში წარმოდგენილია საარქივო დოკუმენტური წყაროები 1923 წ. მარტში დაპატიმრებული „სამხედრო ცენტრის“ წევრთა შესახებ. ორთველანხევრის ძიების შემდეგ ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიათა 19 მაისის ერთობლივ სხდომაზე დაპატიმრებულებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

წიგნში სწორედ იმ დახვრეტილ მამულიშვილთა (15 კაცი) საარქივო დოკუმენტებია წარმოდგენილი.

## ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორია

საარქივო მასალებისა და სამეცნიერო-ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ეგიდით დაიბეჭდა ომარ თუშურაშვილისა და ვლადიმერ ლუარსაბიშვილის მონოგრაფია „ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორია“ (თბილისი, 2016). ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო 1953-1989 წლამდე პერიოდს მოიცავს. მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს საქართველოს თანამედროვე ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხებს, იმ დოკუმენტურ წყაროებს, რომლებიც დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში.




მონოგრაფია მოკლედ მიმოიხილავს ქართული დიდიდენტური მოძრაობის ისტორიას სხვა ქვეყნების დიდიდენტურ მოძრაობასთან მიმართებაში, ნათლად წარმოაჩენს იმ სახესხვაობებსა და მსგავსება-განსხვავებებს, რომლებიც აქასიათებდა ქართულ დიდიდენტურ მოძრაობას რუსულ, პოლონურ, ჩეხოსლოვაკურ მოძრაობებთან მიმართებაში.

წიგნი მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოცემაა. იგი დიდ სამსახურს გაუწევს პედაგოგებს, მკვლევარებს, სტუდენტებს, აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.

### ასე უყვარდათ უწინ

„ელფის გამომცემლობამ“ მკითხველს მიაწოდა სიყვარულის შესახებ პოპულარული ადამიანების აზრისა და შეხედულებების ამსახველი წიგნი - „ასე უყვარდათ უწინ“ (თბილისი, 2013).



წიგნის წაკითხვის შემდეგ მკითხველი დარწმუნდება, რომ სიყვარული-სათვის არ არსებობს ასაკი. წიგნის შემდგენლების აზრით აღნიშნული გამოცემა ხდება სიყვარულსა და სიყვარულს შორის, რომელიც „შეაყვარებს ადამიანს თავად სიყვარულს.

წიგნის რედაქტორია ხათუნა ნონიაშვილი, წერილების თარგმანი კი ეკუთვნის თამთა გრიგოლიას.

## კლარჯული ჩანაწერები

გამომცემლობა „უნივერსალმა“ დასტამბა ცნობილი მეცნიერის მამია ფაღავას ნაშრომი „კლარჯული ჩანაწერები“. წიგნში ავტორი მოგვითხრობს ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართველოლოგიის ცენტრის“ მიერ ისტორიულ კლარჯეთში მოწყობილი საველე ექსპედიციების შთაბეჭდილებებზე, საუბრობს ექსპედიციის მუშაობაზე, ექსპედიციის წევრებზე, კლარჯებზე, ხალხზე, ვისაც ჭოროხის ხეობის ქვემოწელში, მცირე ხეობებში გაუშენებიათ სოფლები და დაუცავთ ქართული ენა და ყოფა. საუბარია, ასევე, კლარჯეთში გაბნეულ მატერიალური კულტურის ძეგლებზე, მათ მოღწეულობაზე.

ნაშრომი განკუთვნილია ისტორიული კლარჯეთის ეთნოგრაფიით, ფოლკლორით, ისტორიით, კლარჯული კილოთი და ისტორიული გეოგრაფიით დაინტერესებული სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

## კლარჯული და შავშური ფოლკლორი

ისტორიული საქართველოს მოსახლეობის ხალხური სიტყვიერების საკითხებს აქტიურად იკვლევს ნაყოფიერი მკვლევარი თინა შიოშვილი. ახლახან, მკითხველმა მიიღო მეცნიერის კიდევ ერთი ახალი მონოგრაფია **„კლარჯული ფოლკლორი“**

ჟამთა სიავის გამო ქართულ წიაღს მოწყვეტილი კლარჯების ზეპირ-სიტყვიერების შესწავლა, მათი ისტორიული მეხსიერებისთვის თვალის გადევნება საინტერესო რეალობას გადაგვიშლის: კლარჯთა სულიერების ყლორტები კვლავაც მშობლიური ნიადაგის დალიან-ბარაქიანი ძუძუთი იკვებება, მათი ფოლკლორული შემოქმედება და წეს-ჩვეულებები მამა-პაპათა ჩვევებში გამობრძმედილი ძველქართული სამყაროა, რაც კლარჯი ჩვენებურების „გურჯობის“ უტყუარი ნიშანია.

ჩვენებურების ხალხური სიტყვიერების საკითხებს ეხება პროფ. თინა შიოშვილის კიდევ ერთი მონოგრაფია **„შავშური ფოლკლორი“** ( ბათუმი, 2016 წელი). მონოგრაფიაში შესწავლილია ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთერთი ძირძველი კუთხის - შავშეთის ზეპირსიტყვიერი შემოქმედება.

საუკუნეთა განმავლობაში ერთიან ქართულ სივრცეს მოწყვეტილი შავშების ფოლკლორული შემოქმედების შესწავლა ცხადყოფს, რომ მათ ისტორიულ მეხსიერებას უხვად კვებავს ტრადიციული ქართული წესჩვეუ-

ლებები და მათთან დაკავშირებული ხალხური სიტყვიერება, რაც მათი იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა.

მონოგრაფია, რომელიც პირველი ცდაა შავშური ფოლკლორის აკადემიური გამოცემისა და მისი მეცნიერული შესწავლი-სა, სათანადო სამსახურს გაუწევს ფოლკლორისტებს, ეთნოლოგებს, ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს და ყველას, ვისაც აინტერესებს და აღელვებს ისტორიული სამხრეთი საქართველო, დედასამშობლოსაგან ჟამთასიავის გამო წაგვრილი თვალწარმტაცი ქართული კუთხე.

## კლარჯეთი

ჩვენებურების ისტორიის, ყოფისა და კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი შესანიშნავი გამოკვლევა მიიღო მკითხველმა. გამოქვეყნდა 1156 გვერდიანი კოლექტიური მონოგრაფია „კლარჯეთი“ (თბ. 2016 წელი) (ავტორები: მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მათა ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე).

მონოგრაფიაში ისტორიულ კლარჯეთსა და თურქეთის რესპუბლიკის რეგიონებში გაშენებულ კლარჯ მუჰაჯირთა სოფლებში კომპლექსური საგულე ექსპედიციებით შეკრებილ მასალაზე, ქართულ და ოსმალურ საისტორიო წყაროებზე, ქართულ და უცხოურ საისტორიო ლიტერატურაზე დაფრდნობით შესწავლილია ისტორიული კლარჯეთის ქვეყანა, – კლარჯეთის ისტორია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ლიტერატურული და სამწიგნობრო სკოლები, კლარჯთა სოფლები თანამედროვე თურქეთში, ყოფა, ფოლკლორი, მეტყველება, ტოპონიმია. გამოკვლევას ერთვის კლარჯული კილოსა და ფოლკლორის მასალები ლექსიკონითურთ, რეზიუმე ინგლისურ ენაზე და ფოტომასალა.

მონოგრაფია ისტორიული კლარჯეთის ერთიანი სურათის შექმნის პირველი ცდაა. იგი დააინტერესებს საქართველოს ისტორიით, ეთნოლოგიით, ქართული მწერლობით, ფოლკლორითა და დიალექტოლოგიით დაინტერესებულ მკვლევრებსა და მკითხველებს.

## მუჰაჯირთა შთამომავლებთან

სს „გამომცემლობა აჭარამ“ დასტამბა პროფესორ მამია ფაღავას 493 გვერდიანი ნაშრომი მუჰაჯირთა შთამომავლებთან (ბათუმი, 2016 წელი). წიგნში მოთხრობილია ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ თურქეთის რესპუბლიკის პროვინციებში ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციების შესახებ. ავტორი ექსპედიციასთან ერთად „მოგვატარებს“ მუჰაჯირთა დასახლებებს, გვესაუბრება ემიგრანტ აჭარელთა, შავშთა და კლარჯთა შთამომავლების ყოველდღიურობაზე...

ნაშრომი დაინტერესებს ქართული დიალექტოლოგიით, ფოლკლორით, საქართველოს ეთნოლოგიითა და, ზოგადად, ისტორიული სამხრეთ საქართველოთი დაინტერესებულ მკითხველს.

### საუბრები ეროვნულ ცნობიერებაზე

ეროვნული ცნობიერების, როგორც სოციალური იდენტურობის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის საკითხების კვლევამ ინტენსიური ხასიათი მიიღო პოსტსაბჭოთა ეპოქასა და სივრცეში. ამ საკითხებს ეხება პროფ. მურმან გორგოშაძის უაღრესად საინტერესო წიგნი „საუბრები ეროვნულ ცნობიერებაზე“ (ბათუმი, 2016).

„საუბრებში“ მოკლედაა მიმოხილული ეროვნული ცნობიერების ცნების, შინაარსის, სტრუქტურის, ეროვნული ცნობიერების ეროვნულ თვით-ცნობიერებასთან და რელიგიასთან მიმართების რამდენიმე თეორიული ასპექტი; მოთხრობილია ეროვნული ცნობიერების სიმყარისა და მისი საფრთხეების შესახებ; მოცემულია ერისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების რამდენიმე მოდელი.

### ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში

ქართული ენის გავრცელების გეოგრაფიული არეალი ყოველთვის იყო მოქცეული მკითხველი საზოგადოების ინტერესების სფეროში. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება „ჩვენებურების“ დიდი გულშემატკივარი, მათი ისტორიისა და კულტურის საკითხებით დაინტერესებული ნიჭიერი მკვლევარის მალხაზ ჩოხარაძის ნაშრომი „ ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში“ (ბათუმი, 2016).

მონოგრაფიაში შესწავლილია მარმარილოს ზღვის რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა) ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები, აღნუსხულია „მექართულე“ სოფლები; დაზუსტებულია ამ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის სადაურობა, ანუ მათი წინაპრების საცხოვრებელი რეგიონები, ხეობები თუ ფუძესოფლები.

ნაშრომში ასახულია, ერთი მხრივ, თურქეთის შიდა პროვინციებში, მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ რეგიონებში, მეორე მხრივ, ჭოროხის აუზში განხორციელებული მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ექსპედიციების შედეგები, აგრეთვე, შესაბამისი საცნობარო და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემები.

## საარქივო დოკუმენტები

(საარქივო დოკუმენტი მოგვაწოდა არქივისტმა მათა რურუამ)

### გადაწყვეტილება

აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრისა  
№01011/1

ქართულ სახელებისა და გვარების აღდგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებაში დამატებითი შეღავათების გავრცელების შესახებ

იმ მიზნით, რომ აჭარის ასსრ მკვიდრ მოსახლეობას გაუადვილდეს თავიანთი სურვილის დაკმაყოფილება – აღიდგინონ ქართული სახელები და გვარები, - სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულების „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ – მესამე მუხლის შესაბამისად, გადავწყვიტე:

1. აჭარის ასსრ იმ მკვიდრ მცხოვრებლებისათვის, რომლებიც ქართულ სახელისა და გვარის აღდგენის მიზნით იცვლიან თავიანთ სახელსა და გვარს, დამატებით გავრცელებული იქნას შემდეგი შეღავათები:
  - ა. თუ სახელსა და გვარს იცვლის ოჯახის ერთი წევრი, მას სახელისა და გვარის გამოცვლის რეგისტრაციისათვის სახელმწიფო ბაჟი გადახდეს 50 მანეთი;
  - ბ. თუ სახელსა და გვარს იცვლიან ოჯახის ორი და უფრო მეტი წევრები, ისინი მთლიანად განთავისუფლებული იქნან სახელისა და გვარის გამოცვლის რეგისტრაციისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.
2. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრის 1947 წლის 21 ოქტომბრის №6 გადაწყვეტილება.
3. ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის დღეის რიცხვიდან.

აჭარის ასსრ ფინანსთა  
მინისტრი ს. ჯიჯეიშვილი

1950 წლის 16 იანვარი  
ქ. ბათუმი

ეგზავნება: აჭარის ასსრ მილიციის სამმართველოს, მმანის ბიუროს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, მშრომელთა დეპუტატების ყველა სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, უშიშროების რაიგანყოფილებებს, მილიციის ქალაქისა და რაიონულ განყოფილებებს, ყველა კოლმეურნეობებს. განათლების რაიგანყოფილებებს და სასწავლებლის დირექტორს.

**ფონდი რ-49; საქ. 748; ფურც. 54-56**

**დეკრეტი №53**

საქართველოდან კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის საგნების გატანის აკრძალვის შესახებ

იმ მიზნით, რომ დაცული იქნეს ხალხის კულტურული განძეულობა, განსაკუთრებული მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობის ნივთები და აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის საგნები, საქართველოს სოციალისტური კომიტეტი ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს გატანა რესპუბლიკის საზღვრებიდან, ვისგანაც უნდა იყოს, გასაყიდათ თუ შესანახად, - განათლების სახალხო კომისარიატის ნებადართველად, განსაკუთრებული მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობის ნივთებისა და აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის ღირებულებათა, როგორც არის: წიგნები, სამეცნიერო და სასწავლო – თვალსაჩინო სახელმძღვანელოები, მუსიკალური საკრავები (ინსტრუმენტები), ნოტები, თეატრალურ-სამხატვრო ნივთები, კინომატოგრაფიული და საკანცელარიო ხელსაწყო.
2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. შ. ს. რ. რეკომის კომიტეტის  
თავმჯდომარე ბ. მდივანი

განათლების სახ. კომისარი თუმანიშვილი  
რეგ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე

1921 წ., ივლისის 11.  
ქ. ტფილისი - სასახლე

**ფონდი რ- 1; აღწ. 1; საქ. 23; ფურც. 98-99**

სტამბოლის ქართულ საგანეში დაცული პუბლიცისტური წერილები  
(მასალები მოგვაწოდა პროფესორმა  
შუშანა ფუტკარაძემ)

მიხაკო წერეთელი

ოსმალეთის ქართველები

ოსმალეთის ქართველებს განუზრახავთ მისაბადი საქმის მოგვარება, „ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელ საზოგადოების“ დაარსება. ვინც ოსმალეთის ცხოვრებას იცნობს, თუნდაც ჟურნალ – გაზეთებში მოცემული ამბებით მაინც, დარწმუნდება, რომ ასეთი საზოგადოების დაარსება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო.

ოსმალეთში ყოველთვის ბლომად ყოფილა ქართველობა. შავი ზღვის პირები მოფენილია ქართველობით დასახელებულ ახალშენებით, რომლებშიც სრულიად არ გამქრალა ქართველობის ელემენტი; თვით ამიერკავკასიაშიც ბევრია გამაჰმადიანებული ქართველი, მაგრამ, როგორც სხვა და სხვა მოგზაურებს აღუნიშნავთ, ჩვენებური გამაჰმადიანებული ქართველები ნაკლებად ზრუნავენ ქართული კულტურის შესახსრავლად. . . ეტყობა, ოსმალეთში უფრო დაცული ყოფილა ქართველობა.

მაჰმადიან ქართველთა გარდა, ოსმალეთში არიან კათოლიკე ქართველებიც. სანამ ოსმალეთში ძველი წეს-წყობილება არსებობდა, მაჰმადიანი და კათოლიკე ქართველები როგორღაც გათიშულნი იყვნენ ერთიმეორისაგან. ამ ბოლოს ახალმა რეჟიმმა ხელოვნური ზღუდეები მათ ურთიერთობას ჩამოაშორა და კიდევ ჩაუსახა აზრი ისეთის ორგანიზაციის შექმნისა, რომელიც უფრო მჭიდრო კავშირს დააარსებს, როგორც მაჰმადიან და კათოლიკე ქართველთა შორის, ერთის მხრით, ისე მათსა და საქართველოს შორის მეორე მხრით.

არსებობს ერთი გარემოება, რომელსაც გაკვრით ჩვენი სტამბოლელი კორესპონდენტიც ეხებოდა ამას წინათ, კერძოდ, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სამღვდელოების ერთი ჯგუფის ტენდენციას. თურმე სტამბოლში არსებობს ქართველ კათოლიკეთა ჯგუფი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ უგრძნია დღევანდელი მომენტის სიმწვავე და ვერ გაუთვალისწინებია ის აზრი, რომ სტამბოლის კათოლიკეთა სამღვდელოებამ უნდა დაუსახოს განსახორციელებლად არა მარტო სარწმუნეობრივი, არამედ ეროვნული მიზანი. დავრწმუნდით, რომ ახალგაზრდა სამღვდელოება სწორედ ამ თავლით უცქერს თავის მოღვაწეობას და ცდილობს მთელ თავის საქმიანობას ეროვნული ხასიათი მისცეს.

ამისთანა პირობებში სარწმუნეობრივი სხვა და სხვაობა ოსმალეთის ქართველებისა და კათოლიკეთა უეჭველია, ხელს ვერ შეუშლის ისეთ საკულტურო საზოგადოების, დაწესებულების დაარსებას, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული თვითმეცნიერების შეტანას მრავალრიცხოვან გამაჰმადიანებულ ქართველებში.

საჭიროა მხოლოდ ჩვენი დახმარებაც, დახმარება არა ერთდროულად, არამედ სისტემატიური. ხელოვნურმა საზღვრებმა არ უნდა შეგვაშინოს და ჩვენც, რითიც კი მოვახერხებთ, მუდმუვეუ და თვალსაჩინო კავშირი უნდა

გავაბათ ოსმალეთისა და შემდეგ კი სპარსეთის ქართველთა საკულტურო დაწესებულებებთან.

სტამბოლის ქართველთა განზრახვა ჩინებულია, და ჩვენც წინდაწინ ვუძღვნიით საღამოს სტამბოლის ქართველთა მომავალ საკულტურო დაწესებულებას.

ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის მონასტერი – ქართველთა სავანე, 1912

წელი, 13 იანვარი, ნინოობა. სტატია დაბეჭდილია გაზეთში - „სახალხო გაზეთი“

(იხ.№606, 1912 წელი)

## თახსიმ სიმშიაშვილი

### კიდევ ფაშების აგენტებზე

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ყოფილ ყარსის მთავრობის დოკუმენტებიდან ნათლათ ჩანს, რომ ის ბუტაფორული მთავრობა, რომელიც ყარსში დაარსდა და ბოლოს ინგლისის მთავრობის მიერ დატუსაღებულ იქნა, ნამდვილი აგენტი იყო ოსმალეთის იმ ავანტიურისტებისა, რომლებსაც თავიანთი მოქმედებითი ოსმალეთი გააჩანაგეს. ამავე დოკუმენტებიდან მტკიცდება, რომ ამიერკავკასიის ერთ-ერთ რესპუბლიკა სისტემატიურ ინტრიგას ეწევა საერთო სამუსლიმანო საქართველოში და კერძოთ, ბათუმის ოლქში.

სერვერ ბეგის (სერვერ ათაბეგის) ბანდები, რომლებშიაც ოსმალოს აფიცრები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ, შესდგება ოსმალეთის დარჩენილ ასკრებისა და ბანდებში ძალით გამოწვეულ მცხოვრებლებისაგან. ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ვინც ჩვენს ჯარში არ ჩაეწერება, სიკვდილით დაისჯებაო. ეს ცხადყოფს, რომ სერვერ ბეგები ისედაც მრავალტანჯულ მცხოვრებლებს კიდევ უფრო აწვალებენ და ურჩებს სიკვდილით სჯიან. ასე დასაჯეს მათ სიკვდილით ჩვენი დაულაღავი მოღვაწის მემედ ბეგის სიძე და დისწული; დასწვეს შავშეთში ფუაატ-ბეგ ათაბაგის სახლი და მოჰკლეს ათაბაგის ორი ქალიშვილი, რომლებსც ცეცხლმოდებულ სახლიდან გაქცევით თავის შველა უნდოდათ.

ერთი სიტყვით, მთელი არდაგანის ოლქი და შავშეთ-იმერხევის რაიონი სერვერ ბეგების სათარეშო მოედნად იქცა. . . და რაც ამ ფაშების აგენტებს სურთ, იმას ჩადიან.

არდაგანის ოლქი ამჟამად ქართველთა ჯარით არის დაკავებული და ამნაირათ იქ ფაშების აგენტების ბატონობა მოისპო; მარა შავშეთ-იმერხევი, როგორც სჩანს, მოძალადეების საჯიჯგნად არის მივდებული. . . ამნაირათ შავშეთ-იმერხევი გაბატონდა ის წყობილება, რომელიც ბატონყმობის დროს აჭარბებს ზოგიერთ ბეგების თავაშვებულობით. იქ ხალხის სულსა და გულს დაპატრონებია ერთი მუჭა ფაშების აგენტები, რომელთა ხელშია ხალხის სიცოცხლე, ხალხის ქონება, ხალხის სული. რაც სურთ ამ ავანტიურისტებს ფაშების ფულებით ჯიბე გასქელებულებს, ამას სჩადიან. საშუა-

ლო საუკუნოების საშინელ სისასტიკეს მოგაგონებთ ეს გარემოება ამ მეოცე საუკუნეში, როცა ადამიანის პიროვნება ხელუხლებელი უნდა იყოს.

შავშეთ-იმერხევი საშინელ წუთებს განიცდის მოძალადეებისაგან.

რა მდგომარეობაშია ართვი-არდანუჯის რაიონი? ეს ფართე საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ გაუცნობელია. საზოგადოებამ იცის, რომ ამ ადგილებშიაც მოუკალათებიათ ფაშების აგენტებს და ეს აგენტები სერვერ ბეგების ბრძანებებს ასრულებენ. ვიცით, რომ ეს რაიონი ბათუმს არ ემორჩილება; და იქ არსებულ საბჭოებში ფაშების აგენტებია დაბუდებული. ერთი სიტყვით აქაც ხალხის სვებედს ფაშების აგენტები დაპატრონებია.

ამ აგენტებმა ბათუმშიაც მოიკალათენ. შეადგინეს „ყველა მუსლიმან თემთა ეროვნული საბჭო“ და არხეინად გრძნობდენ თავს. მათ ხელმძღვანელობს გამოცდილი ხელი; დადიან, სადაც ჯერ არს; არდგენენ მემორანდუმებს ხალხის სახელით და ირწმუნებიან, რომ მთელი ხალხი მათი მომხრეა, რომ მათ ცალკე მმართველობა სურთ და ის, რომ ასე არა იქნეს, თითქო ხალხი აჯანყდება და ქვეყანა დაიქცევა.

ხალხი კი გმინავს მათ თავგასულობისაგან; ხალხს სწყურია მათი ძაღადობისაგან თავის გამოხსნა, მარ ავერ ბედავს ამის აშკარათ თქმას; ვინაიდან იცის, რომ ამისთვის მას მოძალადეები ააწიოკებენ, დაარბევენ და სიკვდილითაც კი დასჯიან.

ამის მაგალითი ხალხს თვალწინ უდგას. მთელი ართვინ-არდანუჯი-შავშეთ-იმერხევი იმის ცდაშია, თუ როგორ დაახწიონ თავი ამგვარ მდგომარეობისაგან; მარა გამოსაალი გზა ვერ მოუნახავთ, რათგან მთელი ხალხი დაშინებულია მოძალადეობისაგან.

ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ბათუმის ოლქი ინგლისის ოკუპაციის ზონაშია. ხალხის სიცოცხლისა და ქონების უზრუნველყოფა ინგლისის მთავრობას აკისრია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები ყურადღებას მიაქცევენ შექმნილ მდგომარეობას და მიიღებენ ზომებს, რომ ოლქი გაწმენდილ იქნას ფაშების აგენტებისაგან.

ხალხი . . . გაწამებული ხალხი ამისათვის დიდ მადლობას ეტყვის დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს, ვინაიდან ამით ხალხის სიცოცხლე და ქონება უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენი ზნეობრივი დმგომარეობა იყო გვეთქვა ეს; ვთქვით კიდევ. დანარჩენი ჩვენზე არაა დამოკიდებული.

27 აპრილი, 1919 წელი.

სტატია დაბეჭდილია გაზეთში „სამუსლიმანო საქართველო“ (იხ. №90, 1919 წელი, 11 მაისი). გაზეთის ეს ნომერი დაცულია „სტამბოლის ქართული საგანის (კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის) ბიბლიოთეკაში. საქართველოში შენახული არ არის). წერილის მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი ინახება საგანის არქივში.

## ს. ბავრელი (ასლანიკაშვილი)

### ველელები

#### როგორ მიიღეს ველელმა ქართველებმა კათოლიკობა

ეს ამბავი, რომელიც ახლა უნდა გვიამბოთ, ორასი წლის ამბავია, ზეპირ გადმოცემული მამაკაპისებისაგან. ეს მოხდა 1723 წელსა სოფელ ველში, სათათრეში – არტაჰანისა ფაშალიკში.

სოფელი ველი მდგომარეობს არტაჰანის მაზრაში დასავლეთ-ჩრდილოეთისაკენ ახალციხის მხარეს. აშენებულა მალა კლდეზე გაშლილს მინდვრის, განაპირს მტკვირს პირზე. ამ სოფელში ახლა ქურთები სახლობენ.

ერთს დროს აქ სახლობდნენ ქართველები – რიცხვით სამას კომლამდის, მართალ მადიდებლობის სარწმუნეობისა და ლოცვა-წირვა ჰქონიათ ქართულ ენაზე. სენი ძველის ძველათ ყოფილიყვნენ გადმოსახლებული ზოგი ქართლიდამ, ზოგი დიდვირიდომ და ზოგი სხვა საქართველოს ნაწილებიდან. იმ დროს, ბევრი ქართველები გადასული ყოფილან მაჰმადის სარწმუნოებაზე. ასე რომ ამ სოფელს გარშემო რტყმულა თათრისა და ბერძნების სოფლები, რომლებიც ბევრი ყოფილან არტაჰანის მაშინდელი ფაშალიკში.

რომ ამათ თავიანთი სარწმუნოება დაუცავთ სიწმინდით და ხელ შეუხებლათ, ეს იმას მეიწერება, რომ თვითონ ეს ხალხი მხნე და კეთილ მორწმუნეობისა ყოფილა, ჰქონიათ მშვენიერი გამაგრებული ველი ციხე, სადაც თავს იფარავდნენ მტრის თავდასხმისაგან, აჭარლებისაგან და სადაც თვითონვე თურმე აკეთებდნენ იარაღს საომრის, მეტადრე თოფის წამალსა. ერთხელ, როცა ხალხი „მადლისის“ მთა-გორაზე, რომელიც ამართულია სოფელ ველის ზემოდგან, დღესასწაულობდა ამაღლების დღეობას, სოფლის ხალხი სადღესასწაულოთ მოკმახული მხიარულებას მისცემოდა: ახალგაზრდა ქალიშვილები სიმღერით ფერხულს და ვაჟკაცები ცხენებით ჯირითს ექცეოდნენ, მაშინ მათ ესტუმრათ ერთი ვიღაც უცხოველი კაცი.

დაღლილ-დაქანცობით ეტყობოდა, ის შორის გზიდამ იყო მოსული და მისი ერის კაცის უცნაური (არა ქართველი) ტანსაცმელი და უცხო ენა, რომელზედაც ისა ლაპარაკობდა, ამუღვენებდა მის უცხოეთელობას.

ძველს ჩვეულებისამებრ ველელებმა ეს სტუმარი მირეს დიდის ქრისტიანულის სიყვარულით და სტუმართ-მოყვარეობით, მეტადრე მაშინ, როცა მან გამოუცხადა ხალხს რომ ის არის ხელობით ჰეჰიმი.

სტუმარი მაშინათვე მიიყვანეს მღვდელთან, რომელსაც სახელად ერქვა სიმონი, რომელიც ყოფილა დვდლათ ნაკურთხი ვარძიაში, საცა მას მამულები ჰქონია.

ღვდელმა ახალი სტუმარი დიდის სიხარულით მიიღო და თავის სახლში განგებ იმისათვის ოთხი დაუთმო.

იმ დღიდან ამ უცხოელმა დაიწყო თავისი მოქმედება და საკვირველის გულ მოდგინეობით გამოიჩინა სიბრძნე ტოველა საქმეში და მეტის მეტათ ჰეჰიმობაში: არჩენდა ყოველა ავათმყოფობისაგან სულ უსასყიდლოთ; უვლიდა ავათ მყოფებს, აძლევდა კეთილ რჩევას სოფლის საქმეებში; არ არჩევდა მდიდარს ღარიბისაგან; ჰკურნავდა ზნეობით სულიერს და ხორციელს სნეულებასა. ძალიან ცოტას ხნის განმავლობაში ამ უცხოეთელმა დაიმსახურა

ისეთი პატივი და სიყვარული, რომ მთელმა სოფელმა მას ღმერთივით დაუწვესო ყურება.

სხვათა შორის ამ სტუმარმა ჰექიმმა გაჰკურნა დიდი ხნის სნეულობისაგან მღვდლის მეუღლე. ამის და მიუხედავად, მღვდლის სახლობა ამწნევადა რღაც უცნაურს მოვლენას ამ უცხოეთელი კაცის ცხოვრებაში. მუდამ დღეს დილაობით, ასე საათის ცხრაზე, კარს იკეტავდა, ოთახში მარტო შედიოდა და დიდ ხანს რაღაცასაც სჩადიოდა. ყველაზე მეტად ცნობის მოყვარეობამ შეიპყრო მღვდლის ძმა ევლამპი, რომელსაც ძალიან უნდოდა გაეგო, რას აკეთებდა ეს უცხოეთელი და რას შვრებოდა თავის ოთახში მარტო? ეს ცნობის მოყვარეობა მას მოსვენებას არ აძლევდა.

ღვდლის ძმამ ამ ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ისე მოახერხა, რომ უცხოეთელის ჩუმად იმის კარებზე ბურღით გააკეთა ნახვრეტი და მეორე დღეს იქიდან დაუწო ყურება. ღომ კარგათ დააცქერდა, დიდათ გაოცდა: უცხოეთელი ჰექიმ იდგა რაღაც სამღვდლო სამოსში, წინ ტაბლაზე ედგა ბარძიმი და მხურვალეთ ლოცულობდა, როგორც მღვდელი. ს გასაოცარი ამბავი იმ წამსვე შეატყობინეს მღვდელს, რომელიც მოვიდა, შეხედა, ისიც გაოცდა: აქ რაღაც ამბავია, იფიქრა თავის ქნევით მღვდელმა.

შიმონ მღვდელმა მეორე დღეს გულ ახდით გამოუცხადა უცხოეთელს, რაც თვალთ ენახა და მას ჰკითხა, ეს რა ამბავიაო? ამალვა აღარ შეიძლებოდა. უცხოეთელმა გამოაშკარა თავისი ვინაობა: იყო რომიდან გამოზნაენილი მისიონერი.

რადგან ქართული ენა საკმაოდ შესწავლილი ჰქონდა და ხალხისაგან დიდი პატივცემა შექენილი, თავისი კეთილის, სათნოებითა სავსე ხასიათით, მაშინ მან დაუწყო გულმხურვალეთ და ბეჯითად ქადაგება კათოლიკობის სარწმუნოებაზე. ჯერ მიაღებინა მღვდელს, ამის სახლობას და შემდეგ მთელს სოფელს. ასე ერთი მისიონერის ბრძნულის მეცადინეობით რომის ეკლესიამ შეიძინა სამასამდე კომლი კეთილ მორწმუნე ერი.

მგონია, ეს პატრი-მისიონერი ყოფილა სახელათ პოლლიკარპი.

გამარჯვებულმა მისიონერმა დაუყოვნებლივ ეს ანბავი აცნობა რომის პაპას და სთხოვა ქართულის მცოდნე პატრების გამოგზავნა, რადგან თვითონ სხვაგან უნდა წასულიყო სარწმუნოების გასავრცელებლათ.

პაპმა მაშინათვე განკარგულება მოახდინა, გამოგზავნა ქართულის ენის მცოდნე ვაჭრები და მასთან პოლლიკარპს აცნობა, რომ ვატიკანში დანიშნა სუმმა ფული, რომ ერთი ვინმე იმ სიმონ მღვდელის, ჩამომავლისა გაგზავნილი იყო რომში სამღვდლო პირათ გამოსახდელათ, მაგრამ დროთა გავლენით და სხვა და სხვა მიხეხის გამო ეს ყოველამფერი დავიწყებაში იქმნა მიცემული.

ასე, იმ დროთაგან ველელი ქართველები გადავიდნენ კათოლიკე სარწმუნოებაზე და იწვეს წირვა-ლოცვა რომის კათოლიკეს წესზე.

როცა რუსთ-თათრის ომი ატყდა, რუსებმა რომ აიდეს ჯავახეთის ახალქალაქი, მაშინ 1828 წ. ველელებმა, მობეზრებულნი თათრების შევიწროებისაგან, მოიწადინეს ახალქალაქის მაზრაში გადმოსახლება, როგორც ქრისტიანს სამთავროში, რომ ცოტა თავისუფლად ამოესუნთქათ. მაშინ ველელი ქართველები გადმოვიდნენ და ოთხ სოფლად გაიყვნენ; და დაიჭირეს ოთხი ვერნა სოფელი, მაშინ სპარსელებისაგან გაოხრებულნი: ბაგრა, კარიკანი, ხულგუმო და ტურცხი. – დანარჩენი სოფლები ამ მაზრებისა დაიხიარეს, საუბედუროთ, მემრე აზრუმიდგან გადმოსახლებულებმა სომხებმა. . .

ამ ერთმა პატარა მუჭა ხალხმა ქრისტიან სამთავროშიც მოსვენება და თავისუფლად ამოსუნთქვა ვერ ნახეს: ერთის მხრით სომხები და მეორეს მხრით მართმადიდებლის სამღვდელოება მოსვენებას არ აძლევდნენ; მართმადიდებელი სასულიერო პირნი იძახდნენ: ქართველები ყოფილხართო და კიდევ მართმადიდებლობა უნდა მიიღოთო. . .

მაგრამ კათოლიკობის სარწმუნოებას მათ გულში იმნაირათ ღრმათ ჩაეშვა ფესვები და კეთილ გონიერი მისიონერების დათესილი თესლი ისე ღრმათ იყო ჩამჯდარი იმათ სულში, რომ მაშინდელ ახალციხეში მყოფი დეკანოზის ორბელიანის მეცადინეობამ ფუჭად ჩაიარა და არას გზით არ მოინდომეს ხელ მეორედ გადმოსვლა მართმადიდებლობის წიახში. . .

ველელებმა მიჰმართეს მაშინ ახალციხის მღვდელთ უმფროსს შაჰყულოვს, რომელიც იყო სომეხ კათოლიკეს ტიპიკონზე ნაკურთხი და იყო დიდი სომხოფილი და სომხებს ძლიერ ეხმარებოდა, ამან ურჩია ველებს ქართველებს ქართული წირვა-ლოცვისათვის თავი დაენებებინათ და შემოეღოთ სომხური და გადმოსულიყვნენ სომეხ-კათოლიკების ტიპიკონზე. ასე ამ დღიდგან ველებმა ქართველებმა სამშობლო ენას თავი დაანებეს შემოიღეს სომხურათ ღვთის სამსახურის აღსრულება. იმ დროსვე განდევნეს, შაჰყულიანის წყალობით, კავკასიიდან პატრები – მისიონერები და გამარჯვებულმა შაჰყულიანმა შემორეკა და თვითონაც საჩქაროთ გამოაცხო ბევრი სომხის ტიპიკონის მღვდლები.

ასე, სათათრეში თათრის მთავრობისაგან, აქა საქრისტიანო მთავრობაში სამღვდლო პირებისაგან ქართული ენა და ქართული რელიგიური წესრიგი იქმნა ველებებში სრულობით მიგდებული და გამეფდა მაგათში სომხურ ენაზე წირვა ღოცვანი და სათათრეთიდან გადმოტანილი თათრული ენა, რომელიც იმათში ახლა ითვლება შინაურ ენათ ამ ოთხ სოფელში.

ეს ოთხი სოფელი ლაპარაკობს თათრულ ენაზე და თავიანთ თავს სთვლიან ფრანგებათ კათოლიკეს სარწმუნოებისა, მაგრამ მათ ჩვეულებაში, ენაში და სახელ-გვარებში მაინც ბჟუტავს ქართული სიტყვები და გვარები, მაგალითათ: ყარამანათი, იგიოხანათი, ბერუკათი, სუმბალათი, ხიშოთი, ასლანათი და სხვა.

ამის გარდა, ერთი მოვლენაც არის შესანიშნავი იმათში, რომ ისინი ქართველებს და ნაქართველარ თათრებს უფრო პატივისცემით ეპყრობიან, ვიდრე სომხებს და სომხის კათოლიკესაც კი. ველები ძველათაც და ახლაც ერთმანეთში უფრო ხალისით ქალს იძლევიან, ვიდრე სომხის კათოლიკეს სარწმუნოების მეზობლებთან. ამ შემთხვევაშივე ველებს უფრო ხიზაბავრელ ქართველ - კათოლიკებთან კავშირი აქვთ, ვიდრე ახლო მეზობელ სომხებთან, მეტათ ამ უკანასკნელებისაგან ძალიან შორს უჭირავსთ თავი. სავანეში სტუმრად მყოფ სოლომონ ასლანიკაშვილს-ბევრელს ეს წერილი მონასტერში დაუწერია და იქვე დაუტოვებია.

დაიბეჭდა ჟურნალში „ჯვარი ვახისა“, 1906 წ. №8.

საარქივო სამმართველოში ჩატარებული ღონისძიებების დაიჯესტი  
(2017 წ. იანვარ-სექტემბერი)

**უნიკალური წერილების გამოფენა**

22 თებერვალი, 2017

საარქივო სამმართველოს მკვლევართა დარბაზში გამოიფინა ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავრის - ივანე ჯავახიშვილისა და დიდებული პოეტის - გიორგი ლენინძის, უნიკალური პირადი წერილების რეპროდუქციები. ხელნაწერი დოკუმენტები დაცულია საარქივო სამმართველოს საცავებში, ღვაწლმოსილი მეცნიერის ჯემალ ნოღაიდელის პირად ფონდში, რომელიც მისმა ოჯახმა დიდხულოვნად გადმოსცა არქივს.



## "საქართველოს ოკუპაცია, ბოლშევიკური ინტერპრეტაციები"

2017 წლის 24 თებერვალს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივისა და აჭარის საარქივო სამმართველოს ერთობლივი ღონისძიება. დამსწრე საზოგადოებას საპრეზენტაციოდ წარედგინა დოკუმენტების კრებული **„საქართველოს ოკუპაცია, ბოლშევიკური ინტერპრეტაციები. 1921“**

ღონისძიებას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის წარმომადგენლები: გივი მიქანაძე - აკადემიის რექტორი, იაკობ ღლონტი - პრორექტორი, დავით გელაშვილი - რექტორის მრჩეველი, ეკა ალაფიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, თამაზ ახარაშვილი - რექტორის თანაშემწე, მარიამ წერეთელი პრორექტორის თანაშემწე, ომარ თუშურაშვილი - შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის დირექტორი, დავით ალავერდაშვილი - დირექტორის მოადგილე, ვლადიმერ ლუარსაბაშვილი - არქივის მეოთხე განყოფილების უფროსი, მერი ბარბაქაძე - უფროსი ექსპერტი, ეკა კაციტაძე - არქივის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე: აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ლაშა გოგინაშვილი, საპატრულო პოლიციის უფროსი კახა ბუხრაძე, აჭარის არ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: მერაბ კარანაძე, ლადო მგალობლიშვილი - ნუგზარ სურმანიძე, ნინო ჩხეტია, ხეიზა შარაშიძე, ასევე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და არქეოლოგიური მუზეუმის წარმომადგენლები.

ღონისძიება გახსნა და სტუმრებს მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი **მაია ივანიშვილი**.



სიტყვებით გამოვიდნენ: **გივი მიქანაძე**- შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი, **ომარ თუშურაშვილი** - შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის დირექტორი, **რამაზ სურმანიძე** - პროფესორი, საზოგადო მოღვაწე; **ელგუჯა გოგიბერიძე** - საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივის სამსახურის უფროსი და **თამაზ ფუტკარაძე**, პროფესორი, საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი.

ღონისძიების ორგანიზატორებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს დოკუმენტური ფილმი „1921“. პარალელურად მოეწყო გამოფენების: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ბეჭდური გამოცემების დათვალიერება.

### დედის, ქალთა დღისა და არქივისტთა პროფესიული დღესასწაული

2017 წლის 2 მარტს, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში გაიმართა დედის, ქალთა დღისა და არქივისტთა პროფესიული დღესასწაულისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. დედის, ქალთა და არქივისტის დღე მიულოცეს და მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: თამაზ ფუტკარაძე და ელგუჯა ჩაგანავა.

მისასალმებელი სიტყვის შემდეგ გაიმართა არქივისტთა დაჯილდოების ცერემონიალი. საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა წლის საუკეთესო არქივისტის საპატიო სიგელი გადასცა არქივისტებს: თამარ ნამგალაძეს და ავთანდილ ლეონიძეს, ხოლო წლის საუკეთესო ფონდის მცველის საპატიო სიგელი გადაეცა ნინო ჯაბნიძეს და მაია მელაძეს.



საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ არქივისტები: სევილია კაკაბაძე, ნარგიზ გვარამიანი, ნოდარ ზაქარიაძე, დავით ხალვაში და ნაზი შარაშიძე.

დასასრულს, ღონისძიების მონაწილეებმა გადაიღეს სამახსოვრო ფოტო.

## არქივს ელგუჯა მექმარიაშვილის პირადი ფონდი შექმნა

2017 წლის 30 მარტს, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველომ შეხვედრა მოუწყო პირველი ქართველი კოსმოსური ობიექტის გენერალურ კონსტრუქტორს - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორს, გენერალ-მაიორს ელგუჯა მექმარიაშვილს.



ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები დედაქალაქიდან, ბათუმის სხდასახვა სახელმწიფო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.



საღამო გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. მოხსენებებით გამოვიდნენ განყოფილების უფროსები, თამაზ ფუტკარაძე და მაია რურუა.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: ნოდარ წიგნაძე, რამაზ სურმანიძე, ამირან კახიძე, მზევინარ ქიქავა, ზურაბ კალანდარიშვილი, მირანდა გორგოშაძე, მედეა კეშელავა, ელგუჯა გოგიბერიძე, გურანდა შამილიშვილი.

დასასრულს, დამწრე საზოგადოებას მიმართა ელგუჯა მექმარიაშვილმა. მან საარქივო სამმართველოს სახელმწიფო შენახვაზე გადასცა პირადი ფონდის მასალები.

გენერალურ კონსტრუქტორს სიტყვით მიმართა არქივისტმა მაია რურუამ, რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ მკითხველს:

„არქივი- ერის დოკუმენტური მემკვიდრეა. ეს ფორმულირება ზუსტად და ლაკონურად ასახავს არქივის როლსა და მნიშვნელობას კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე. ამიტომაც არავისთვის არ არის უცხო, რომ რაც უფრო მეტი და ღირებული დოკუმენტი დაიდებს ბინას არქივის საცავში, მით უფრო მდიდარი იქნება არქივი და მით უფრო მეტი დაინტერესება მოჰყვება ისტორიკოს- მკვლევართა და საზოგადოების მხრიდან.

არქივებში დაცული დოკუმენტების ნაირსახეობიდან, იქნება ეს მმართველობითი, სამეცნიერო-ტექნიკური, პირადი წარმოშობის თუ პირადი შემადგენლობის, ან თუნდაც კინო-ვიდეო-ფოტო-ფონო მასალა, ყველას თავისი მნიშვნელობა და შეუცვლელი დანიშნულება აქვს, მაგრამ განსაკუთრებულად საინტერესო პირადი ფონდის საარქივო დოკუმენტებია, რომლებშიც არათუ განზოგადოებული, არამედ უმეტესად პირადი სახის დოკუმენტებია თავმოყრილი და მისი მესაკუთრის შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევიან. პირადი ფონდის განსაკუთრებულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ხშირად ფონდშემქმნელის მიერ გაკეთებულმა, ერთი შეხედვით უბრალო და არაფრისმთქმელმა ჩანაწერმა ან მინაწერმა, შეიძლება ბევრი რამ შეცვალოს არა მარტო პიროვნების, არამედ იმ პერიოდის პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურული მოვლენების შესახებ და ახალი კვლევების საწინდარი გახდეს.

აღამიანები, რომელთა დოკუმენტები არქივს სახელმწიფო შენახვაზე გადმოეცემა, ფონდშემქმნელები ანუ ფონდის მფლობელები ხდებიან, ხოლო მათი დოკუმენტები -ეროვნულ საარქივო ფონდის კუთვნილება.

დღეისათვის აჭარის საარქივო სამმართველოს სისტემის არქივებში, 55 ფონდისა და კოლექციის 2890 შ/ ერთეულია დაცული, აქედან ცენტრალურ არქივში არსებული პირადი ფონდის მოცულობა შეადგენს 39 ფონდის 2610 შ/ერთეულს.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში პირადი ფონდების პირველი შემოტანა დაფიქსირებულია 1966 წელს, მას შემდეგ კი აჭარის არქივისტების მიერ ცნობილ პიროვნებებთან და მოღვაწეებთან სისტემატიური და აქტიური მუშაობის შედეგად გაიზარდა ინტერესი და პირადი ფონდების მფლობელთა რიცხვმაც იმატა.

ჩვენთან დაცული პირადი ფონდების მფლობელები საქართველოსა და აჭარის დამსახურებული არტისტები, ექიმები, პარტიული და ხელმძღვანელი ნომენკლატურული პირები, სოციალისტური შრომისა და ომის გმირები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები არიან, რომელთა პირად ფონდებში მიმოხილულია მეტად საინტერესო ქაღალდისფუძიანი თუ ფოტომასალა მათი ცხოვრების, შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ნებისმიერი ქვეყნის არქივს დაამშვენებდა და ღირებულებას შემატებდა პირადი ფონდი, რომლის მფლობელიც კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ 100 საუკეთესო მეცნიერთა შორისაა დასახელებუ-

ლი და რომლის სამეცნიერო მოღვაწეობა-ბიოგრაფია შეტანილია მსოფლიოს უმთავრეს ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში.

დღეს, სწორედ ასეთი წარმატებული და ჩვენი სამმართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტის წინაშე ვდგავართ. აჭარის ცენტრალურ არქივში ბინას დაიდებს და ეროვნულ საარქივო ფონდს შეუერთდება მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცნიერის, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორის, გენერალ-მაიორის ელგუჯა მექმარიაშვილის პირადი ფონდი.

ჩვენთვის ეს ორმაგად სასიამოვნო და საამაყოა. ბატონი ელგუჯა ხომ ჩვენი თანაქალაქელია. ბათუმში დაიბადა, აქ აიღვა ფეხი და მას შემდეგ მტკიცე და წარმატებული ნაბიჯებით მიაბიჯებს ცხოვრებაში, პროფესიულ საქმიანობაში, მეცნიერებაში. ზღვისპირა ქალაქში გაზრდილი, ზღვაზე შეყვარებული ყმაწვილის, ნური-გელის ტბაში მცურავი გემ „პიონერი“-ს ნორჩი კაპიტნის მომავალს, ახლობლები ალბათ დიდი საოკეანო ლაინერისა და ტანკერის კაპიტნობაში ხედავდნენ, მან კი ცას მიაპყრო მხერა და საქართველოს სახელი არათუ მსოფლიოში, არამედ კოსმოსში გაიტანა!

ბათუმში დაამთავრა N1 საშუალო სკოლა და მას შემდეგ „პირველი“ მისი ცხოვრების თანამდევია. ელგუჯა მექმარიაშვილი, პირველად საქართველოში არის საქართველოს სამხედრო-საინჟინრო აკადემიის დამაარსებელი, სადაც 2004 წელს, მისივე შექმნილი პროგრამით, განხორციელდა უფროსი და უმაღლესი წოდების ოფიცერთა სწავლება და კურსდამთავრებულთა გამოშვება. მას-პირველს საქართველოში, მიენიჭა სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, მისი ხელმძღვანელობით იქმნება პირველი ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი და რაც მთავარია, ელგუჯა მექმარიაშვილი არის გენერალური კონსტრუქტორი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტისა, რომელიც 1999 წლის 23 ივლისს გავიდა ღია კოსმოსურ სივრცეში და ეს გასვლა აღიარებული იქნა კოსმოსურ ტექნიკაში ახალი პრიორიტეტული მიმართულების დასაწყისად. მის სახელთან ასოცირდება საქართველოში „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღი-ს“ დაწესება, რომელიც ყოველი წლის 23 ივლისს აღინიშნება.

თვალი გადავაკვლე შემოტანილ მასალას, რომელიც საოცარი სიფაქიზითაა დალაგებული და საარქივო წესებთან შესაბამისობაშია მოყვანილი. აქ არის ყველა საჭირო ინფორმაცია ფონდშემქმნელის ცხოვრებისა და საქმიანობის, სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, რომელიც მოიცავს სამხედრო-ტექნიკურ, სამხედრო-საინჟინრო და კოსმოსური მექანიკის დარგებს. დაინტერესებული პირები გაეცნობიან თუ როგორ გაიარა გზა ბ-ნმა ელგუჯამ სამოქალაქო ინჟინერიიდან სამხედრო ინჟინერიამდე, რასაც მოჰყვა არაერთი საერთაშორისო აღიარება და საერთაშორისო საინჟინრო საზოგადოების პრესტიჟული ჯილდოები, სერთიფიკატები -საერთაშორისო ინჟინრის წოდების მინიჭების შესახებ; მასალებში წარმოდგენილია მილოცვები და მისასალმებელი სიტყვები, მსოფლიო დონის მეცნიერთა შეფასებები ქართველი მეცნიერის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, რომელთა შორის ჩემი, როგორც ქართველისა და უბრალოდ ადამიანის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საქართველოს საპატრიარქოს ერთ-ერთმა საპატიო სიგელმა- „წმიდა სამების ტაძრის მშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის“, რომელიც

დამერწმუნებით, უფრო მეტია, ვიდრე სამეცნიერო აღიარება, რადგან ის ადამიანური და მოქალაქეობრივი წვლილისა და ღვაწლის აღიარებაა...

...და ყოველივე ამის შემდეგ როგორ შეიძლება არ იყო ამაყი და არ გახარებდეს ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილთან თანაქალაქელობა, მისი ბათუმელობა, თუმცა გული დამწყდა, როცა ელგუჯა მეძმარიაშვილის უამრავ სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ რეგალიებსა და ჯილდოებს შორის, ვერ ვიპოვე „საპატიო ბათუმელი“- ს წოდება, მაშინ როცა ბ-ნი ელგუჯა ქ. მცხეთის საპატიო მოქალაქეა. ეს ისე ინიციატივისათვის...

თქვენთან კი ბატონო ელგუჯა, ერთი მორიდებული, მაგრამ პროფესიული თხოვნა მაქვს...საარქივო წესების მიხედვით პირადი ფონდის შექმნის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა ფონდში ბეჭდურ მასალასთან ერთად ხელნაწერი და დედანი დოკუმენტების არსებობა, იქნება ეს მიმოწერა, წერილები თუ საგაზეთო სტატიები, სხვადასხვა ჩანაწერები, ე. წ. უბის წიგნაკები, ტექნიკური გამოთვლები, გაანგარიშებები, რა თქმა უნდა ფოტოები და სხვა; იქნებ, ფონდის შემდგომი ნაწილის შემოტანის დროს გადმოგვცეთ ასეთი სახის მასალა, რომელთაც შევლევით და ჩვენთვის მათი გადმოცემა არ დაგენანებათ. მერწმუნეთ, თქვენი ფონდი ამით კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას შეიძენს და საიმედოთაც იქნება დაცული.

არქივში, სახელმწიფო შენახვაზე, ყველა ფონდი თავისი სახელწოდებით შემოდის. არქივში ის თავის საარქივო ნომერს ღებულობს. ძალიან მინდოდა ფონდის ეს ნომერი სიმბოლური დატვირთვის ყოფილიყო, მაგ. დაბადების, დისერტაციის, და თქვენთვის სხვა მნიშვნელოვანი თარიღის აღმნიშვნელი, მაგრამ აღმოჩნდა რომ ოთხნიშნა ციფრებით შედგენილი ასეთი ნომრები სხვა ფონდების მიერ უკვე დაკავებულია, თუმცა თავისუფალ ნომრებს შორის მაინც გამოვინახე ნომერი: N 723, რომელსაც ასეთი სიმბოლური ახსნა მივეცი 7, ანუ მე-7 თვე და რიცხვი 23 -კოსმოსურ სივრცეში ქართული ობიექტის გასვლის დღე.

მაშ, ფეხბედნიერი ყოფილიყოს კოსმოსში ობიექტ „რეფლექტორის“ გასვლა და აჭარის საარქივო სამმართველოში ფონდ N რ-723- ის შემოსვლა სახელწოდებით: „ელგუჯა მეძმარიაშვილი-ცნობილი ქართველი მეცნიერი, გენერალ-მაიორი, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი“.

## ექსკურსია არქივში

2017 წ. 23 მარტს საარქივო სამმართველოს ბათუმის პირველი სკოლის მაღალკლასელები, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, **ლია გოლიაძის** ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული „ლიტერატურული წრის“ წევრები, ესტუმრნენ. მოსწავლეებს არქივში ჩაუტარდათ ექსკურსია-გაკვეთილი თემაზე: „საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა საარქივო მასალებში“(ფრიდონ ქარდავა). მოსწავლეები გაეცნენ დოკუმენტების საარქივო წესით დამუშავების, რესტავრაციისა და დიგიტალიზაციის საინტერესო პროცესებს, დაათვალიერეს საცავები და იქ დავანებული უნიკალური დოკუმენტები.



მოსწავლეებმა მკვლევართა დარბაზში გაეცნენ მეცნიერული მუშაობის სპეციფიკასთან დაკავშირებულ ნიუანსებს და ნახეს დოკუმენტური ფილმი „1921 წელი“.

არქივის თავისებურებებისა და მუშაობის წესებზე მოსწავლეებს ესაუბრნენ არქივის თანამშრომლები: ელგუჯა ჩაგანავა, ნაზი შარაშიძე, მზექალა გირიხიდი, ქეთი მიქელაძე, ეთერი ნათელაძე, მზია სურმანიძე და ნინო გოგიტიძე.

საარქივო სამმართველო კვლავაც გააგრძელებს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობასთან ასეთ საინტერესო და ნაყოფიერ ურთიერთობას.

### უკრაინელი და რუმინელი არქივისტები აჭარის საარქივო სამმართველოში

2017 წლის 11 მაისს საარქივო სამმართველოს სტუმრობდნენ კივის, ნიკოლაევის, ოდესის ოლქების (უკრაინა) სახელმწიფო არქივებისა და ბუქარესტის (რუმინეთი) სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელები ლილია ბელოუსოვას, ვადიმ გუზუნის, ლარისა ლევცენკოს და სოფია კამენევის შემადგენლობით. შეხვედრა ჩატარდა საქართველო-უკრაინის დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლისთავთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში.



სტუმრებს მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი ქალბატონი **მაია ივანიშვილი**. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სამმართველოს თანამშრომლები: **თამაზ ფუტყარაძე, ელგუჯა ჩაგანავა, ელგუჯა გოგიბერიძე**. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სტუმრები: **ირინა მატიაში, ლილია ბელოუსოვა და ლარისა ლევჩენკო**.

თავიანთ გამოსვლებში სტუმრებმა ხაზი გაუსვეს საარქივო დაწესებულებებს შორის შემდგომი ურთიერთობების გაღრმავებისა და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზების აუცილებლობას.

ღონისძიების დასასრულს სტუმრებმა საარქივო სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

მოგვიანებით, სამშობლოში დაბრუნებულმა **ოდესის საოლქო არქივის დირექტორმა ლილია ბელოუსოვამ** საარქივო სამმართველოში გამოაგზავნა **სამადლობელო წერილი**, რომელშიც გამოთქვა ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების სურვილი და გამოხატა მზადყოფნა „ოდესა-ბათუმის“ შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტების ერთიანი ბაზის შესაქმნელად.



УКРАЇНА  
ОДЕСЬКА ОБЛАСНА  
ДЕРЖАВНА АДМІНІСТРАЦІЯ  
ДЕРЖАВНИЙ АРХІВ  
ОДЕСЬКОЇ ОБЛАСТІ

вул. Жуковського, 18, м. Одеса, Україна, 65026  
тел. (+380 48) 722-93-65, факс (+380 48) 722-80-25  
E-mail: archive@odessa.gov.ua  
Web: archive.odessa.gov.ua

UKRAINE  
ODESSA REGIONAL  
STATE ADMINISTRATION  
STATE ARCHIVES  
OF ODESSA REGION

18, Zhukovskogo str., Odessa, Ukraine, 65026  
tel. (+380 48) 722-93-65, fax (+380 48) 722-80-25  
E-mail: archive@odessa.gov.ua  
Web: archive.odessa.gov.ua

23.05.2017 № 345/01-24

Начальнику Архивного управління  
Аджарія  
Г-же Майя Іванішвілі

Уважаемая госпожа Майя Иваншвили!

Государственный архив Одесской области выражает сердечную благодарность Вам и коллективу архива за возможность познакомиться с деятельностью Вашего учреждения и за теплый прием, оказанный украинским архивистам в рамках проведения международной научной конференции «УКРАИНА И ГРУЗИЯ: ДИПЛОМАТИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ, МЕЖДУНАРОДНЫЕ СВЯЗИ, КУЛЬТУРНАЯ ДИПЛОМАТИЯ (ИНСТИТУЦИОНАЛЬНЫЙ И ПЕРСОНАЛИСТИЧЕСКИЙ АСПЕКТЫ)», посвященной 25-й годовщине установления украинско-грузинских дипломатических отношений (Батуми, 9–13 мая 2017 года).

Особую благодарность выражаем профессору Тамазу Путкарадзе за организацию мероприятий в рамках Меморандума о сотрудничестве между Государственным архивом Одесской области и Архивным управлением Автономной Республики Аджария (Грузия), который был подписан в 2010 году начальником управления г-ном Кахабером Сургуладзе и г-ном Тамазом Путкарадзе. В продолжение этого сотрудничества предлагаем начать работу по созданию базы данных на архивные источники по теме «Одесса и Батуми: связь времен», а также обмен публикациями. С радостью мы принимаем предложение г-на Тамаза Путкарадзе опубликовать в Вашем ведомственном журнале «Arheion» материалы Одесского архива.

Горячо благодарим также г-на Анзора Тхиланшвили, г-на Зураба Дарчидзе, г-на Елгуджу Чогонава, г-на Елгуджу Гогиберидзе и г-на Романа Циншале за проявленное внимание к украинской делегации и желание продолжать наше научное сотрудничество.

Уважаемая г-жа Майя, мы всегда будем рады принимать Вас и грузинских коллег в Одессе.

С пожеланиями здоровья, успехов и всего самого наилучшего Вам и Вашему прекрасному коллективу,

И. о. директора Госархива Одесской области  Лилия Белоусова

## საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმის განხილვა

2017 წლის 5 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში გაიმართა საარქივო სამმართველოს 2018-2021 წლების საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმის განხილვა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: უმაღლესი საბჭოს პრესსამსახურის თანამშრომელი ბესარიონ შარაშიძე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების ანალიზის განყოფილების მთავარი სპეციალისტები ცირა აბულაძე და ნაირა ცინცაძე. ღონისძიება გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა.



დამწრე საზოგადოებას მიესალმა აგრეთვე საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე **ანზორ თხილაიშვილი**.

მოსხენებით გამოვიდა და 2018-2021 წწ. საშუალო ვადიანი გეგმა წარმოადგინა სამმართველოს აპარატის უფროსმა ელგუჯა ჩაგანავამ.

## ფაშიზმზე გამარჯვების დღე

2017 წლის 9 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსი **მაია ივანიშვილი**, უფროსის მოადგილე **ანზორ თხილაიშვილი**, აპარატის უფროსი **ელგუჯა ჩაგანავა**, თანამშრომლები: **ელგუჯა გოგიბერიძე**, **ნატო ქიქავა**, **ციცი ცინცაძე**, **ეთერ მიქელაძე**, **დოდო შუშანიძე** ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებას დაესწრნენ. ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, ქალაქ ბათუმის მერი გიორგი ერმაკოვი, საზოგადოებისა და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები



საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, ცნობილ არქივისტს და საზოგადო მოღვაწეს ბატონ **სერგო ტაბაღუას** მიულოცეს ფაშიზმზე გამარჯვების დღე, გადასცეს ფასიანი საჩუქრები და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

### **26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე**

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 2017 წლი 26 მაისს საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ყვავილებით შეამკეს იუნკერების საფლავი. მემორიალთან შეკრებილმა საზოგადოებამ გაიხსენა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული გმირები, მათი ღვაწლი და თავდადება.



### ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

2017 წლის 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს საარქივო სამმართველოს უფროსი **მაია ივანიშვილი**, საარქივო სამმართველოს აპარატის უფროსი **ელგუჯა ჩაგანავა**, განყოფილების უფროსები: **მადონა ცხადაძე**, **მაია რურუა**, სამმართველოს თანამშრომლები: **ციცი ცინცაძე**, **ნატალია ქიქავა**, **ლუიზა კონცელიძე**, **ნინო შავაძე**, **ეკატერინე კაკაბაძე**, **მარინა კუცია**, **მაია ბლადაძე**, **ზურაბ დარჩიძე** და **ნათია კუტალაძე**, იმყოფებოდნენ ბათუმის განათლების და დასაქმების ცენტრთან არსებულ **საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში**



საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა აღსაზრდელებს მიულოცეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, გადასცეს ფასიანი საჩუქრები და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

### ზურაბ გორგილაძე - 80

2017 წლის 31 მარტს, საარქივო სამმართველოში გაიმართა **ზურაბ გორგილაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო**. ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის შემოქმედებითი ინტელიგენციისა და სამთავრობო სტუქტურების წარმომადგენლები: **თეონა ბერიძე** (აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე), **დავით თედორაძე** (აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მწერალთა რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე), პოეტები და მწერლები: **ცისანა ანთაძე, ბადრი თევზაძე და ბელა ქებუღია, რამაზ სურმანიძე და ანზორ კუტბა**. ღონისძიებას ესწრებოდა **ზურაბ გორგილაძის მეუღლე ლეილა დავითაძე**.

ღონისძიება გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოსთქა საარქივო სამმართველოს უფროსმა **მაია ივანიშვილმა**.

ზურაბ გორგილაძის პოეზიის შესახებ მოხსენებით გამოვიდა განყოფილების უფროსი **თამაზ ფუტკარაძე**.

მოგონებებით გამოვიდნენ: **დავით თედორაძე, ანზორ თხილაიშვილი, ცისანა ანთაძე, ბადრი თევზაძე, ანზორ კუტბა, ბელა ქებუღია, პოეტის მეუღლე ლეილა დავითაძე**. ღონისძიების მსვლელობისას ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი “**ზურაბ გორგილაძის გახსენება**.”

დასასრულს ღონისძიების მონაწილეებმა გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.



### ილია ჭავჭავაძე 180

2017 წლის 20 ივნისს აჭარის არ საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო-ხელვაჩაურის არქივში გაიმართა **ილია ჭავჭავაძის დაბადები-**

დან 180 და გარდაცვალებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საჯარო ლექცია წაიკითხა საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივის სამსახურის უფროსმა ელგუჯა გოგიბერიძემ.



ღონისძიებას ესწრებოდნენ საარქივო სამმართველოსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები.

სიტყვით გამოვიდნენ და დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ: აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე **სოსო სტურუა**, საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი **თამაზ ფუტყარაძე**.

ასეთივე ღონისძიება გაიმართა საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო-ქობულეთის არქივში.

### პოლონელ არქივისტთა სტუმრობა საარქივო სამმართველოში

2017 წლის 6 სექტემბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოში სტუმრად იმყოფებოდა პოლონეთის **ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის დელეგაცია** ინსტიტუტის პრეზიდენტის, დოქტორ **იაროსლავ სუარეკის** მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: - პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის არქივის დეპარტამენტის დირექტორი, დოქტორი **მარჟენა კრუკი**, პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის არქივის **ლოძის ფილიალის** დირექტორი **დარიუს როგუტი**, საარქივო გამოცემების განყოფილების უფროსი **მარცინ მაჟევსკი**, საარქივო გამოცემების განყოფილების წარმომადგენელი **სტანისლავ კოლერი** და პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის პრეზიდენტის ასისტენტი **იაკუბ მაციჟევსკი**.

პოლონელ სტუმრებთან ერთად საარქივო სამმართველოს სტუმრობდნენ საქართველოს არქივის თანამშრომლები დირექტორის **ომარ თუშუ-რაშვილის** ხელმძღვანელობით.



საღამო გახსნა და ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი **მაია ივანიშვილი**. საარქივო სამმართველოს ისტორიისა და პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხებზე ისაუბრეს საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივის სამსახურის უფროსმა **ელგუჯა გოგიბერიძემ** და საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსმა **თამაზ ფუტკარაძემ**. დამსწრე საზოგადოებას მიესალმა აგრეთვე პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის პრეზიდენტი, დოქტორი **იაროსლავ სუარეკი**.

სტუმრებმა დაათვალიერეს არქივში დაცული პოლონეთთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების გამოფენა და დასახეს სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები.

ღონისძიების მონაწილეებმა გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

### **საარქივო დოკუმენტები რუსეთის (პეტერბურგი) სახელმწიფო ისტორიული არქივიდან**

2017 წლის ივნის-აგვისტოში, პროფესორ **თამაზ ფუტკარაძის** მიერ რუსეთის სახელმწიფო-ისტორიული არქივიდან (ანზორ თხილაიშვილის ინფორმაციის საფუძველზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ზურაბ პატარაძის შუამდგომლობით და ბიზნესმენ ბადრი კაკაბაძის დაფინანსებით) შემოტანილი იქნა საარქივო დოკუმენტების (ელექტრონული ვერსიები) ნაწილი. განყოფილებამ გააკეთა შემოტანილი დოკუმენტების ანაწერი, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს:

1	ცარიცა მარია გიორგის ასუ- ლისათვის 40 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ	1806-1828	4	
2	ნიკოლოზ პირველის წერილი პასკევიჩისადმი ბატონიშვილე- ბის მეთაურობით შეთქმულების გახსნის შესახებ	1833	5	
3	ბათუმის გიმნაზიის კვლევბი- სათვის სამშენებლო მასალის შერჩევის საკითხის განხილვა	1898	18	
4	ბათუმში სამედიცინო მოსაკ- რებლის დაწესების შესახებ	1898	51	
5	ბათუმში განათების მოწყობის შესახებ	1898	25	
6	ხულოში ეკლესიის მშენებლო- ბისათვის თანხების გამოყოფის შესახებ	1900-1906	45	
7	ბათუმის როგორც ადმინისტრატ- ციული ერთეულის შესახებ	1901	4	
8	საფაბრიკო მეთვალყურეობის დაწესების შესახებ საქართვე- ლოში	1904	32	
9	ფრანგი მოქალაქის მეუღლის პელაგია გიზანისათვის მემ- კვიდრეობის გადაცემის შესა- ხებ	1907	11	
10	საგაზეთო მასალები ქართველ მუსლიმანთა მოძრაობის შესა- ხებ	1916	22	
11.	ელექტრონული ვერსია	<u>1806-1916</u>	<u>1 დისკო</u>	

## საცავების კეთილმოწყობა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, მიმდინარე წლის 16 მაისს გაფორმებული N44 ხელშეკრულების თანახმად, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს მე-5 სართულზე არსებულ ფონდსაცავს. ძირითადად შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები: სტელაჟების მოწყობის, საცავში დახურული ტიპის ელ.გაყვანილობის, ჰერმეტიკული სანათების, ლითონის გამანაწილებელი კოლოფების, ჰერმეტიკული როხეტების და ჩამრთველების, ფონდსაცავში და სამუშაო ოთახებში ფანჯარაზე ფარდა-ჟალუზებისა და ჟალუზების მოწყობის, გათბობის რადიატორის, პირველ სართულზე 20 გრძივი მეტრი გათბობის მილის დემონტაჟისა და მონტაჟის, მთელ ფართზე სიგნალიზაციის სისტემის - სახანძრო და მოძრაობის დამაფიქსირებელი მოწყობილობების, შენობის მე-2 სართულზე ორი სამუშაო ოთახის, ფოიესა და კორიდორის, პირველ სართულზე ლაბორატორიაში წყლის გამაცხელებლის და დამატებით ერთი ცალი რადიატორის მოწყობის სამონტაჟო-სარემონტო სამუშაოები.



გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სამუშაოები წარმოება დაიწყო მიმდინარე წლის 16 მაისს და დასრულდა ამავე წლის 31 აგვისტოს. სამუშაოებს ახორციელებდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია - შპს „კაბადოკია“.





ქ. ბათუმი,

15.09.2017 წ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიასა

და

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის საქველაო დაწესებულება - საარტივო სამმართველოს

შორის

სსიპ - საქართველოს შსს აკადემია (შემდგომში - აკადემია), წარმოდგენილი რექტორის, **ბატონი გივი მიქნაძის** სახით და აჭარის ა/რ მთავრობის საქველაო დაწესებულება - საარტივო სამმართველო (შემდგომში - საარტივო სამმართველო), წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის, **მაია ივანიშვილის** სახით (შემდგომში მხარეებად წოდებულნი):

- ხელშეწყობენ რა, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით;
- გამოხატავენ რა, ურთიერთდახმარების კეთილ ნებასა და სურვილს;
- აღიარებენ რა, თანამშრომლობის მნიშვნელობასა და ერთობლივი კულტურული პროექტების განხორციელების აქტუალობას;
- ისახევენ მიზნად რა, აკადემიის სტრუქტურულ ერთეულში, შსს არქივში და საარტივო სამმართველოში დაცული მასალების პოპულარიზაციას;
- აცნობიერებენ რა, კონსულტაციებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის აუცილებლობას;
- ითვალისწინებენ რა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში თანხმდებიან შემდგომზე;

### 1. მემორანდუმის საგანი

1.1 მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის პერმანენტული ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმის დაბრუნება და შემდგომი ინტენსიფიკაცია, რაც გულისხმობს ერთობლივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას.

### 2. მემორანდუმის მიზანი

2.1 მემორანდუმის მიზანია აკადემიის სტრუქტურული ერთეულის, შსს არქივისა და აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს დაქვემდებარებაში არსებული მასალების მხარეების ურთიერთშეთანხმებით ერთობლივი კვლევა და კვლევის შედეგების განსაჯაროება.

### 3. მხარეები თანხმდებიან

3.1 მხარეები, ურთიერთშეთანხმებით, თანამშრომლობაში ჩართავენ საკუთარ მომსახურე სპეციალისტებს;

3.2 მხარეები, ერთმანეთს წარუდგენენ კვლევის საწარმოებლად დასაშვებ პირთა სიას და წინასწარ შეთანხმებულ მასში ყოველგვარ ცვლილებას;

3.3 მხარეები ერთობლივად განსაზღვრავენ კვლევითი პროცესისათვის შერჩეული თემების რეესტრს;

3.4 მხარეები, მივლინებულ პირთათვის, კანონით დადგენილ ფარგლებში და აჭარის ა/რ მთავრობასთან შეთანხმებით და წესით უზრუნველყოფენ მასალების ხელმისაწვდომობას, ხოლო დამატებითი შეთანხმების შემთხვევაში, სათანადო სამუშაო ადგილობრივ გარემოს;

3.5 წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უზრუნველყოფენ მხარეების მიერ დაგეგმილი ღონისძიებებისათვის თითოეული მათგანის გამგებლობაში არსებული საკონფერენციო, სამუზეუმო ან/და სხვა საგამოფენო-საცემპოზიციო სივრცეების უსასყიდლოდ დათმობას;

3.6 პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაჭრას მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

### 4. მემორანდუმის მოქმედების ვადა და სხვა პირობები

4.1 წინამდებარე მემორანდუმი მხარეებისათვის არ წარმოშობს დამატებით ფინანსურ ან სხვა სახის მატერიალურ ვალდებულებებს;

4.2 მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 5 წლის ვადით, ან სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას;

4.3 ვადის გასვლის შემდეგ მემორანდუმი ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადით, თუ ვადის გასვლამდე 2 კვირის ვადაში ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას;

4.4 მეზორანდუმი შესაძლოა გაუქმდეს რომელიმე მხარის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდებიდან ერთი თვის ვადაში;

4.5 მეზორანდუმში ცვლილებების შეტანა საჭიროებს მხარეთა თანხმობას და ხორციელდება წერილობითი ფორმით;

4.6 მეზორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ვგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

## 5. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის არ მთავრობის  
საქვეყნებო დაწესებულება -  
საარქივო სამმართველო

სამმართველოს უფროსი,


მაია ივანიშვილი



სსიპ - საქართველოს შსს აკადემია

რექტორი,

გივი მიტანაძე



## მემორანდუმი საქართველოს შსს აკადემიასთან

2017 წლის 16 სექტემბერს სსიპ-საქართველოს შსს აკადემიასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ითვალისწინებს საარქივო სფეროში მხარეების თანამშრომლობას, ინფრომაცების გაცვლას და გამოცდილების გაზიარებას. მემორანდუმს ხელი მოაწერეს აკადემიის რექტორმა გივი მიქანაძემ და საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა.



## ჩვენო ავტორები:

1. **თამაზ ფუტყარაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს სამსახურის უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
2. **ნატო ქიქავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
3. **რამაზ სურმანიძე** – პროფესორი; მედიცინის დოქტორი;
4. **გუბაზ ვანილიში** – ეთნოლოგი;
5. **გურამ ჩაგანავა** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ალექსანდრე ტრიგუბი** – პეტრე მოგილის სახელობის შავი ზღვის ეროვნული უნივერსიტეტი; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;
7. **ლიუდმილა ვოვჩუკი** – პეტრე მოგილის სახელობის შავი ზღვის ეროვნული უნივერსიტეტი; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი;
8. **ირინა მატიაში** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი; უკრაინის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი;
9. **მაია რურუა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს სამსახურის უფროსი;
10. **სერგო დუმბაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი;
11. **ნიკოლოზ დუმბაძე** – ჟურნალისტი;
12. **მალხაზ ჩოსარაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **შუშანა ფუტყარაძე** – ემერიტუს პროფესორი.

## OUR AUTHORS:

1. **Tamaz Phutkaradze** – Head of service of Sub-department on Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration; professor of Batumi Shota Rustaveli State University;
2. **Nato Kikava** – main specialist of Sub - department on Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
3. **Ramaz Surmanidze** – professor; MD;
4. **Gubaz Vanilishi** – Ethnologist;
5. **Guram Chaganava** - professor of Batumi Shota Rustaveli State University;
6. **Aleksander Trigub** – Doctor of historical sciences, professor Head of the Department of International Relations and Foreign Policy Black Sea National University by Petro Mohyla;
7. **Liudmila Vovchuk** – Candidate of historical sciences (PhD) Docent of Department of International Relations and Foreign Policy Black Sea National University by Petro Mohyla;
1. **Irina Matiash** – Doctor of historical sciences, professor; science worker of Institute of History of Ukraine;
2. **Maia Rurua** – Head of service of Sub-department on Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
3. **Sergo Dumbadze** – professor emeritus of Batumi Shota Rustaveli State University;
4. **Nikoloz Dumbadze** – Journalist;
5. **Malkhaz Chokharadze** - professor of Batumi Shota Rustaveli State University;
6. **Shushana Phutkaradze** – professor emeritus.

ს ა რ ჩ ე მ ე ო

1. ნატო ქიქავა, თამაზ ფუტკარაძე – საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით .....
2. რამაზ სურმანიძე – ზნეობრივი ომი ხიმშიაშვილთა ოჯახის წინააღმდეგ .....
3. გუბაზ ვანილიში, გურამ ჩაგანავა – ლაზური იდენტობის პრობლემები ლაზური მეტყველების შენარჩუნების ფონზე .....
4. თამაზ ფუტკარაძე – არტანუჯის სამეურნეო ცხოვრების ზოგიერთი საკითხი .....
5. Александр Тригуб / Людмила Вовчук – Иностраные консулы в Грузинских городах причерноморья (1840-1917).....
6. Ирина Матяш – Судьба Грузинского консула в Украине Константина Цагарели.....
7. თამაზ ფუტკარაძე – ბადრი კაკაბაძე – ქველმოქმედი, მეცენატი .....
8. მაია რურუა – თოვდა და თბილისს ებურა თალხი.....
9. რეცენზია:  
სერგო დუმბაძე, ნიკოლოზ დუმბაძე – მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ნაშრომი.....
10. ახალი წიგნები .....
11. საარქივო დოკუმენტები .....
12. სტამბოლის ქართულ საგანეში დაცული პუბლიცისტური წერილები.....
13. საარქივო სამმართველოში ჩატარებული ღონისძიებების დაიჯესტი.....